

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

დავით ეცადეიშვილი

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა
საქართველოში
XX საუკუნის II ნახევარში**

(ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი ო. გოგოლიშვილი

ბათუმი – 2012

შინაარსი:

შესავალი -----	4
0.1. თემის აქტუალობა -----	10
0.2. მიზნები და ამოცანები -----	11
0.3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის პერიოდიზაცია ----	13
0.4. წყაროების მიმოხილვა -----	14
0.5. ისტორიოგრაფია -----	15
თავი პირველი: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან --	22
§ 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1921-1923 წლებში, ანექსია, პირველი აჯანყებები სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში -----	22
§ 2. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. გადამწყვეტი ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის -----	27
§ 3. პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1930-იან წლებში. რეპრესიები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოღვაწეების წინააღმდეგ -----	30
თავი მეორე: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება -----	33
§ 1. საერთაშორისო ვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ -----	33
§ 2. 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენები თბილისში -----	35
2.1. ტრაგედიის წინაპირობები -----	35
2.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებები 1956 წლის მარტის მოვლენების დროს (სტალინური, ეროვნული) -----	39
2.3. 1956 წლის მარტის მოვლენების ქრონოლოგია -----	43
2.4. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შედეგები -----	55
თავი მესამე: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 60 – 80-იან წლებში -----	58
§ 1. პირველი დისიდენტური დაჯგუფებები -----	58
§ 2. ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჯგუფები -----	69
§ 3. 1978 წლის 14 აპრილი. ბრძოლა დედა-ენის შენარჩუნებისათვის -----	76
თავი მეოთხე: საბჭოთა კავშირის ეროზია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1980-იან წლებში -----	81
§ 1. ქართული ინტელიგენციის როლი ეროვნული სულის გამოღვიძების საქმეში -----	81
§ 2. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ქართული სულის გადასარჩენად	85
§ 3. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 1980–იანი წლების მეორე ნახევარში--	88

§ 4. 1989 წლის 9 აპრილი -----	107
§ 5. პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში და ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი დიდი გამარჯვება -----	130
§ 6. 1991 წლის 26 მაისი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ადღეა -----	133
დასკვნა -----	136
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა -----	140

შესავალი

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია განახორციელა. ახალმა ხელისუფლებამ პირველივე დღეებიდან გამოამუღავნა თავისი პოლიციური სახე. ქვეყანაში დაიწყო სასტიკი რეპრესიების გატარება. ისტორიულად მრავალჭირგადატანილ ქართველებსაც კი აოცებდათ ის არნახული ძარცვა-გლეჯა და ეგზეკუციები, რომელსაც, ვითომდა ადგილობრივი ხელისუფლების თხოვნით, ქვეყანაში დარჩენილი საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლები ახორციელებდნენ. ქართული მოსახლეობა არასოდეს შერიგებია ქვეყნის ანექსიას და დიქტატორული რეჟიმის დამყარებას. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი გულში იკლავდა ტკივილს და თავისი განწყობის შენიღბული სახით გამომუღავნებას ცდილობდა. ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა ენით აუწყრელმა ძალადობამ და რეპრესიებმა 12000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომელთა უმრავლესობა ერის საუკეთესო შვილებს წარმოადგენდნენ. ამასობაში მოახლოვდა მეორე მსოფლიო ომი, სადაც საქართველოდან 700 ათასამდე მეომარი გაიწვიეს, რომელთა ნახევარი შინ აღარ დაბრუნებულა. ომის პერიოდში საქართველოში მოქმედებდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც თვლიდა, რომ გარეშე ძალის დაუხმარებლად საქართველო ეროვნულ სუვერენიტეტს ვერ აღიდგენდა. ეს უკანასკნელი შეეცადა არსებული ვითარება გამოეყენებინა და აჯანყების მოწყობა დააპირა, მაგრამ საბჭოურ უშიშროებას მათი განზრახვა არ გამოჰპარვია და ორგანიზატორები სასტიკად დაისაჯნენ.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ აშკარად გამოჩნდა „დემოკრატიის“ გამოცოცხლების ნიშნები, მაგრამ რუსული იმპერიისათვის დემოკრატია პირობითი მცნებად რჩება, ყოველ შემთხვევაში ეროვნულ საკითხზე არ ვრცელდება, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 1956 წლის 9 მარტის საშინელმა სისხლისღვრამ. 9 მარტმა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი. ამის შემდეგაც საქართველოში ანტიიმპერიული ეროვნული მოძრაობა არ შეწყვეტილა. ცხადია, იგი არალეგალურად, იატაკქვეშეთში ხორციელდებოდა და ხან ერთ და ხან მეორე ადგილს იჩენდა თავს და

არალეგალური სტამბების, ანტიკომუნისტური გამოცემების, პროკლამაციების თუ მცირერიცხოვანი ორგანიზაციების შექმნის სახით.

მოწინავე ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ეროვნული ბრძოლა არ შეუწყვეტია. ქვეყანაში გამეფებული უმკაცრესი ტერორის ვითარებაში, მისი მთავარი საზრუნავი ერის მატერიალურ-კულტურულ ღირებულებათა გადარჩენა და დაცვა გახდა. ამასთან ერთად, იგი მეცნიერულ თუ მხატვრულ შემოქმედებაში მეთოდურად აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ნერგავდა ეროვნული სიამაყის გრძნობას, ამადლებდა ეროვნულ სულს, ავითარებდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას... მომდევნო ხანაში ეს ხაზი გრძელდებოდა და ახალ სიმაღლეზე აღიოდა. ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, მასში ეროვნული სიამაყის გრძნობის განმტკიცება, მისი მორალური თუ სულიერი გაჯანსაღება, საძულველი იმპერიული რეჟიმის მანკიერებათა მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადაგის მომზადება შეადგენდა XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის მთავარ საზრუნავს.

დისიდენტად იწოდება პიროვნება, რომელიც უარს ამბობს და არ იზიარებს სახელმწიფოში გაბატონებულ იდეოლოგიას. დისიდენტობა აღიარებდა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, მისი ძირითადი იარაღი იყო საბჭოთა ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი, ანტიხალხური ხასიათის მამხილებელი მასალების შეკრება და საზღვარგარეთ გადაცემა, რაზეც მაშინ ხალხით ნადირობდნენ დასავლეთის საინფორმაციო სამსახურები (**მჭედლური 1995:22**).

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარება არ ნიშნავდა ბრძოლას მხოლოდ სიტყვის, პრესის, მიტინგის, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თუ უფრო რეალურად შევხედავთ საკითხს, ეს იყო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარება, რაც თავისთავად დასავლური ცხოვრების წესს გულისხმობდა. აქედან გამომდინარე, იგი უპირისპირდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებს. ამდენად, დასავლეთისათვის დისიდენტები წარმოადგენდნენ იდეალურ მოკავშირეს. მეორე მხრივ, დასავლეთის ფართო საზოგადოებისათვის, რომელსაც საბჭოთა სატუსაღოს უბრალო აღწერაც კი შოკში აგდებდა, ასეთ ურჩხულთან მეზობელი ადამიანები ჰეროიკულ-რომანტიკური გმირის საბურველში იყვნენ გახვეულნი (**ძაბირაძე 2007:28**).

დისიდენტები გამუდმებულ დევნას განიცდიდნენ, მაგარამ მაინც აგროვებდნენ ინფორმაციას, ავრცელებდნენ ანტისაბჭოურ ლიტერატურას. ხშირად მათ საზღვარგარეთ აძევებდნენ ან თვითონ მიდიოდნენ ემიგრაციაში, თუმცა ეს „ბედნიერება“ უფრო მეტად ინტელიგენციის წრეებიდან გამოსულ, უკვე სახელმძღვანელო დისიდენტებს ხვდებოდათ წილად, საზოგადოებისთვის უცნობ მოწინააღმდეგეებს კი „ჩუმად“ იჭერდნენ და ხანგრძლივი დროით ათავსებდნენ საპყრობილებებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მოღვაწე დისიდენტებს შესაძლოა, სურვილი ჰქონდათ დასავლეთისთვის შეეჩვილათ ეროვნული სიდუხჭირისა და მონობის შესახებ, მაგრამ „კაპიტალის სამყარო“ სულ ბოლო დრომდე აშკარად თვალს არიდებდა ან არ ცნობდა ეროვნულ პრობლემებს და ძირითადად მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე აღმოცენებულ, სოციალიზმად წოდებულ სიმახინჯეს ებრძოდა, რომლის სამხედრო პოტენციალი და მილიტარისტული გატაცებები დიდი საფრთხის წინაშე აყენებდა დანარჩენ ქვეყნიერებას და, პირველ რიგში, განვითარებულ დასავლეთს. ამიტომ, დასავლეთის საინფორმაციო სამსახურებმა საბჭოთა სისტემას სამართლებრივი თვალსაზრისით ყველაზე სუსტი წერტილი მოუნახეს და ადამიანთა უფლებების სისტემატური დარღვევების გამო გაუმართეს ბრძოლა. საბჭოთა დისიდენტების მოძრაობაც ამ მიმართულებით წარიმართა. ისინი ეძებდნენ, აგროვებდნენ და გადასცემდნენ მასალებს საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ. ეს საქმიანობა, დიდ ხიფათთან, თვალთვალთან, კონსპირაციასთან, მუდმივ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული.

დისიდენტური მოძრაობა ავტორიტარულ რეჟიმთან დაპირისპირების მშვიდობიანი ფორმა იყო. იგი არსებული რეჟიმის დემოკრატიზაციას ესწრაფოდა და მიზნად არ ისახავდა საბჭოთა წყობილების უცილობელ დამხობას.

დისიდენტებს არ გააჩნდათ რაიმე ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა, ამიტომ, როცა მათი დრო დადგა, სრულიად უმწეონი აღმოჩნდნენ, მხოლოდ თავისი შიშველი ავტორიტეტის ამარა დარჩნენ.

დისიდენტურ მოძრაობას არც მკვეთრად ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათი ჰქონდა და იმპერიის ცენტრებში იგი მარტოოდენ ადამიანთა უფლებების დარღვევებს ამხედდა, მაგრამ ეროვნულ რესპუბლიკებში ადამიანთა

უფლებებს ეროვნული უფლებებიც ემატებოდა და შესაბამისად, მოძრაობასაც უფრო მყარი საფუძველი გააჩნდა.

ტერმინი „დისიდენტი“, ანუ „სხვაგვარად მოაზროვნე“, შედარებით გვიან 70-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა.

ეროვნული მოძრაობა საქართველოში დისიდენტური მოძრაობის გაგრძელებას წარმოადგენდა, მისი ძირითადი ბირთვი სწორედ ყოფილი პოლიტპატიმრები იყვნენ.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ცხადდებოდა ერის მოძღვარ ილია ჭავჭავაძის მიერ XIX ს. 60–იან წლებში წამოწყებული მოძრაობის უშუალო გაგრძელებად (სურგულაძე 1990:301-302).

და მაინც, ვინ იყვნენ დისიდენტები? როგორ აღიქვამდნენ მათ საქართველოში, საბჭოთა კავშირში და ბოლოს, როგორ აღიქვამდნენ ისინი საკუთარ თავს?!

ქართული დისიდენტური მოძრაობა, როგორც ზოგადი პრობლემატიკით, ასევე ობიექტური პირობების გამო, საბჭოთა კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა, რაც არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი დისიდენტების ყურადღების საგანი სსრკ-ში არსებული ზოგადი პრობლემები ყოფილიყოს. უფრო ხშირად ძირითადად ხდებოდა ქართული ეროვნული პრობლემატიკის განზოგადება. საწყის ეტაპზე, აუცილებელი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, ისინი სსრკ-ში შემოტანილი აკრძალული ლიტერატურის გავრცელებით იყვნენ დაკავებულნი, რაც კონსპირაციის არალეგალური მუშაობის ცოდნას მოითხოვდა. ამას გარკვეული, თუნდაც ბავშვური გამოცდილება კი მათ 1956 წელს დაწყებული არალეგალური საქმიანობიდან „გააჩნდათ“, თუმცა დისიდენტურ მოძრაობას ორი კაცი – მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია შემორჩა, დანარჩენებმა სხვა გზა და სხვა საშუალებები მოძებნეს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისთვის. შემდეგ გამოჩნდა თვითგამოცემის ურნალი „ოქროს საწმისი“, რომელიც, მართალია, შინაარსობრივად უფრო ლიტერატურული იყო, ვიდრე პოლიტიკური, მაგრამ ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მასში ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ქართველ კლასიკოსთა თხზულებები ქვეყნდებოდა, პარალელურად იბეჭდებოდა თანამედროვე ქართველ მწერალთა ის ნაწარმოებები, რომლებიც ცენზურამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გაუშვა (ზოგიერთი მათგანი შემდგომში იტყვის, რომ არ იცოდა, ზვიად გამსახურდია

თვითგამოცემის ჟურნალში თუ აპირებდა მისი ნაშრომის გამოქვეყნებას, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ექნება), ნახევარსაუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ ეს პირველი თავისუფალი ბეჭდვითი ორგანო იყო. როგორც უნდა ყოფილიყო ჟურნალის შინაარსი, ხელისუფლებას მაინც არ შეეძლო ამ პრეცედენტის დაშვება, რადგან დიდი გამჭვირვალობა არ სჭირდებოდა იმის მიხედვრას, რომ, თუ ამ ფაქტს შურიგდებოდა, მალევე გამოვიდოდა ისეთი ჟურნალი, რომლის შინაარსიც აბსოლირტურად მიუღებელი აღმოჩნდებოდა. პრინციპში ასეც მოხდა - „ოქროს საწმისი“ „საქართველოს მოამბემ“ შეცვალა, რასაც ლოგიკური შედეგი – დისიდენტების რეპრესირება მოჰყვა.

დისიდენტთა მოღვაწეობა მათი რეპრესირების გამო არც თუ ისე დიდი ხნით იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი აფორიაქების და აქტივობის საგანი. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთია საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის მიმართ და მეორე უფრო მნიშვნელოვანი – ის გარემო, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებრივ – პოლიტიკური სიტუაციის გააზრება უშუალოდ წინ, რომ უსწრებდა საქართველოში დისიდენტური მოძრაობის დაწყებას. მით უმეტეს, თუ გავითავლისწინებთ, რომ იმ პერიოდში დაწყებულმა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა, როგორც 90-იანი წლების მოვლენები, ასევე ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაც

დისიდენტური მოძრაობა საქართველოში თავისებურებებით ხასიათდებოდა. პირველ ეტაპზე მისი წარმომადგენლები რასაც ეყრდნობოდნენ, ეს იყო სიმართლე, ზნეობრივი სიწმინდე და ზოგიერთ მათგანს მისთვის არასოდეს უღალატია. თუმცა, შემდგომში ორიენტირები შეიცვალა, ხელისუფლებამ შეძლო დისიდენტური მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი თავისი დინებით წაეყვანა და მართვადი გაეხადა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში არ ჩაბმულა არცერთი დიდი მწერალი, მეცნიერი თუ ხელოვანი. ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები განერიდნენ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. ყოველივე ამან იმოქმედა მოძრაობის ხასიათზე, ამიტომ იგი ნაკლებად გაწონასწორებული გახდა. ქართულმა საზოგადოებამ ვერ გაიცნობიერა დისიდენტური მოძრაობის შესაძლებლობა.

საქართველოში აქტიური დისიდენტური მოძრაობა სულ რამოდენიმე კაციანმა ჯგუფმა დაიწყო, თანაც საკმაოდ მოგვიანებით. საზოგადოებამ ვერ დაიანახა რომ დისიდენტური მოძრაობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო დროებითი მოვლენა და ადამიანის უფლებების დაცვა არ იყო მცირერიცხოვან მოღვაწეთა ახირება. იგი ფართოდ არ გაშლილა საქართველოში, მას არ ჰქონია მძლავრი შენაკადები, რომლებიც გაანეიტრალებდნენ და გააწონასწორებდნენ მის დინებას. დისიდენტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ერთ მხარეს იდგა, საზოგადოება – მეორე მხარეს. ძალთა ასეთმა განლაგებამ ცუდი სამსახური გაუწია თვით დისიდენტურ მოძრაობას. მის მონაწილეებს ჩამოუყალიბა საკუთარი განუმეორებლობის კომპლექსი, რამაც შემდგომ მთელი მოძრაობის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. ეს ქართული საზოგადოების დიდი შეცდომა იყო, რომლის შედეგებმა მოგვიანებით აშკარად იჩინა თავი. დისიდენტური მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერის ზვიად გამსახურდიას შეფასებით: „მათი (დისიდენტების – დ.ე.) მოქალაქეობრივი მრწამსი ურყევია ისევე, როგორც მათი გადაწყვეტილება საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებისა კაცობრიობის საკუთრებულზე. ამით ისინი უფრო ძველი ეპოქის მოძღვრებსა და წმინდანებს გვანან, ვიდრე მე-19 საუკუნის გაორებულ გენიოსებს. ე. წ. დისიდენტური მოძრაობა დღევანდელ საბჭოეთში ამ დიდი ადამიანების (ჯონ ბრაუნისა, მარტინ ლუთერ კინგისა, ალბერტ შვაიცერისა, ამბროსი ხელაიასი და სხვათა) კვალს მისდევს. დისიდენტებმა აირჩიეს პირველი მხარე დილემისა, მაგრამ არა ერთნაირი წარმატებითა და გაბედულობით. უთუოდ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მათ შორისაც არის დონეები მსხვერპლის გაღებისა, ჭეშმარიტი გზის არჩევისა, ამ გზაზე გამბედაობისა თუ შორსმჭვრეტელობისა. იგივე გახლავთ მიზეზი მათ შორის პაექრობისა და ზოგჯერ შეუღლისა.

სახარების ფორმულის მიხედვით რომ ვთქვათ, რაოდენ ვიწროა გზა ხსნისა და რაოდენ ფართოა გზა წარწყმედისა და გადაგვარებისა. იგივე გახლავთ მიზეზი საბჭოთა კავშირში დისიდენტთა მცირერიცხოვნობისა, რომელიც ხელზე აქვთ დახვეული ჭეშმარიტებისა და სიკეთის მარადიულ მტრებს, რომელნიც ნიადაგ გაჰყვირიან: „შეხეთ ამ ერთ მუჭა გროვას, გზააბნეული და ხალხს მოწყვეტილი ადამიანებისას! ნუთუ ისინი გამოხატავენ მრავალმილიონიანი მასების ნებას? ნუთუ მათ გააჩნიათ უფლება ილაპარაკონ ხალხის სახელით? ხალხისა, რომელმაც არც კი უწყის მათი არსებობა, მათი ფიქრები და მიზან-ზრახვანი?“

დიას, დიას, მეგობრებო, ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვანო ლეგიონებო, ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევედა მრავალრიცხოვანების წყვილადს!” (გამსახურდია 1999:16-17)

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღემდე უცნობი მხარეები, შეისწავლოს ის ვნებათაღელვა და პერიპეტიები, რომლებიც თან ახლდა ამ მოძრაობას, გაანალიზოს ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის ის მეთოდები და ფორმები, რომელიც ამ მოძრაობისათვის იყო დამახასიათებელი.

0.1. თემის აქტუალობა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლა მუდამ აქტუალური იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ პრობლემას შეგნებულად უვლიდა გვერდს. ისინი ამ მოძრაობას აფასებდნენ, როგორც ანტისაზოგადოებრივს და დასავლეთის სპეცსამსახურების აგენტურული საქმიანობის შედეგს, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების საზიანო მოვლენას. ასე ფასდებოდა სვანეთის 1921-1923 წლების, ხევსურეთის 1922 წლის, 1924 წლის სახალხო აჯანყებები და გამოსვლები. მართალია 20-იანი წლების შემდეგ პირდაპირი დაპირისპირება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საქართველოში აღარ იყო, მაგრამ არალეგალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც დასავლეთში ემიგრირებულ ქართველ ემიგრანტებს შორის, ისე საქართველოში დარჩენილი პატრიოტების საქმიანობაში, მაინც შეიმჩნეოდა და მას თავისი ისტორია აქვს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებით ახალი ძალით გაჩაღდა XX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ. მართალია, პირდაპირი ბრძოლები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ არ ყოფილა, მაგრამ ქართული ინტელიგენციის ერთ ჯგუფში უკვე მომწიფებული იყო აზრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არალეგალური ფორმების საშუალებით ქართული ეროვნული იდენტობის გრძნობის გაძლიერებით შეამზადონ პირობები მძლავრი ეროვნული მოძრაობისათვის. ეს დამოკიდებლება აშკარად იკვეთება ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში (საისტორიო მეცნიერება, ფილოსოფია და ა.შ).

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები – დეკოლონიზაცია, დასავლეთ ევროპაში 60-70-იან წლებში დემოკრატიული საზოგადოებების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაცია, იწვევს საბჭოთა კავშირში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებას. იქმნება პირველი არალეგალური საზოგადოებები. ახალგაზრდობის ერთ ჯგუფში გაძლიერდა ნიჰილიზმი (მაგ. ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და სხვათა არალეგალური ჯგუფები). ჰელსინკის პროცესები ნათლად უჩვენებს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას.

ეს პროცესები უდავოდ საინტერესოა და მისი შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

დღეს ეს თემა მეტად აქტუალურია. XX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია-ჩვენი სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ლოგიკური ისტორიული პროცესია. ისტორია კი ერთიანია – მისი გაგებაა საჭირო და არა გასამართლება. ისტორია მუდამ პოლიტიკაზე მალდა დგას. ის ერის კოლექტიური მეხსიერებაა და მისი არც ერთი ფურცელი არ უნდა დაიკარგოს, არც ერთი მოვლენა შეფასების გარეშე არ უნდა დარჩეს. დღეს კი ეს პროცესები მეტად საინტერესოა, რადგან დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების წინამძღვრები უახლესი ისტორიის სიღრმეებშია საძიებელი. ამიტომ XX საუკუნის II ნახევარში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამორჩეულ მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

0.2. კვლევის მიზნები და ამოცანები. წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად ხელმისაწვდომი დოკუმენტური მასალების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ახსნას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის II ნახევარში, მასში დაფიქსირებული რადიკალური ხასიათის ცვლილებები, მისი რეალიზების მეთოდები და საშუალებები. ნაჩვენებია საქართველოში სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათი XX საუკუნის მეორე ნახევარში, ასევე ქართველი ხალხის კულტურული განვითარების თავისებურებანი, გამოკვეთილია ის ობიექტური ფაქტორები, რამაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა განაპირობა. ასევე მიზნად ისახავს წარმოაჩინოს მეოცე საუკუნის

მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღემდე უცნობი მხარეები, შეისწავლოს ის ვნებათაღელვა და პერიპეტეიები, რომლებიც თანახმაა ამ მოძრაობას, გაანალიზოს ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის ის მეთოდები და ფორმები, რომელიც იყო დამახასიათებელი ამ მოძრაობისათვის.

შეფასებულია საბჭოთა კავშირის ადგილი და როლი XX საუკუნის 50-80-იანი წლების მსოფლიოში, საბჭოთა იმპერიაში არსებული სერიოზული ეკონომიკური და სოციალური კრიზისის იერსახე და თავისებურებები, გამოკვეთილია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ხასიათი, რამაც, მნიშვნელოვნად უზრუნველყო მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა – რასაც ისახავდა მიზნად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

0.3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის პერიოდიზაცია

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის II ნახევარში შეიძლება დაიყოს პერიოდებად: უწინარეს ყოვლისა, პერიოდიზაციის კრიტერიუმთან დაკავშირებით. რა შეიძლება ავირჩიოთ ძირითად კრიტერიუმად და ეროვნული მოძრაობის პროცესის შინაგანი ეტაპების კლასიფიკაციის სისტემად? ამ სფეროში, ვფიქრობთ, ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ქართული ეროვნული იდეა – საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამ იდეის მატარებელი ადამიანები თუ სოციალური ჯგუფები წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, ცხადია, იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, საბჭოთა იმპერიაში არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალობაზე, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას. სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნული მოძრაობის ეტაპობრივი დიფერენციაცია. მაშასადამე, ეროვნული მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკა - აი, რა მიგვაჩნია ამ უაღრესად ღირებული და პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორად, მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმების პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერულ “გასაღებად”.

XX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ფაზა შეიძლება შეფასდეს, როგორც დისიდენტურ-ლატენტური ფაზა და მოექცეს ქრონოლოგიურ ჩარჩოებში 50-იანი წლებიდან 1986 წლის ჩათვლით. ეს არის ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი გენეზისის, მისი მიზნებისა და ორიენტაციების ფორმირების საწყისი, ჩანასახოვანი ეტაპი. ამ ეტაპზე ადგილი ჰქონდა კომუნისტური დიქტატურისა და მარქსისტული მსოფლმხედველობის სულიერი ბატონობის ვითარებაში მიძინებული ეროვნული თვითცნობიერების აღდგენისაკენ მისწრაფებას, ასევე დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის ტენდენციების ჩამოყალიბებას.

ამდენად, ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ-ლატენტური ეტაპი მისი დაბადების, ეროვნული იდეის ბავშვობისა და სიჭაბუკის ხანაა. ამ ეტაპზე

მოძრაობის ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენენ დისიდენტები – ეროვნულ-პატრიოტული არალეგალური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ქსელი.

ეროვნული მოძრაობის მეორე ფაზა წარმოადგენს მისი ინსტიტუციონალიზაციის, ფორმალიზაციის ეტაპს და მოიცავს პერიოდს 1987-1989წწ. აპრილს შორის. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციური საფუძვლები, მოხდა ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების ორგანიზაციული სტრუქტურირება.

ამავე ეტაპის მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათანობით, ეტაპობრივად გამოიკვეთა ეროვნული მოძრაობის მასიფიკაციის და ამ გზით მისი სუბიექტის გაფართოების უადრესად პოზიტიური ტენდენცია. დაიწყო კრებების, თავყრილობების, მანიფესტაციებისა და მასობრივი მიტინგების ორგანიზაციის ფაზა. “მიტინგური დემოკრატიის” ამ ეტაპს, მმართველი რეჟიმის პერმანენტულ დეზორგანიზაციასთან ერთად ის ღირებულება ჰქონდა, რომ განაპირობებდა ეროვნული იდეის მასობრიობას, ეროვნული მოძრაობის სოციალური ბაზის გაფართოებას და მის მიერ კონტროლირებადი საერთო-ეროვნული სივრცის კონსოლიდაციას. ამ დროს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა შეძლეს ერის ფართო მასების დარაზმვა საერთო-ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად.

შემდგომი მოკლევადიანი ციკლი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში არის მისი ლეგალიზაციის ფაზა – 1989 წ. 9 აპრილი – 1990წ. 28 ოქტომბერი. ამ ეტაპზე მასზე უდიდესი მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელმაც ერთგვარი წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეროვნული მოძრაობის შემდგომი ეტაპი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1990წ. 28 ოქტომბრიდან 1992წ. 6 იანვრამდე, წარმოადგენს მისი ლეგიტიმიზაციის ფაზას. 1990წ. 28 ოქტომბერს გამართული პირველი (საქართველოს ანექსიის შემდეგ) პლურალისტური საპარლამენტო არჩევნები ეროვნული ძალების სრული უპირატესობით დასრულდა და “მრგვალი მაგიდის” ბლოკმა საპარლამენტო მანდატების 62% მიიღო (**ჯოჯუა 2003:6**).

0.4. წყაროთმცოდნეობა: ნაშრომში ძირითადად ვყვრდნობით იმ საარქივო მასალას, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში,

ქუთაისის ცენტრალურ არქივში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცემული ჟურნალი „საარქივო მოამბე“, რომელშიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე მნიშვნელოვანი სტატიები იბეჭდება.

0.5. ისტორიოგრაფია: საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განუზომლად გაიზარდა ჩვენი საზოგადოების ინტერესი უახლოესი წარსულისადმი, რასაც რამოდენიმე ფაქტი განაპირობებს. ჯერ ერთი, კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებისაგან გათავისუფლებამ შესაძლებელი გახადა უახლოესი წარსულის ობიექტური, მიუკერძოებელი აღქმა; მეორეც, უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა მანამდე მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი, მრავალი დოკუმენტი და ისტორიული წყარო, რამაც შესაძლებელი გახადა ახლებურად გავეაზრებინა ჩვენი უახლოესი ისტორია, დაგვემსხვრია წლობით ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, ძირეულად შეგვეცვალა ჩვენი წარმოდგენები ისტორიის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე.

ერთ „ფერში“ ისტორიის სრულყოფილად აღქმა შეუძლებელია. მით უმეტეს, ეს ითქმის უაღრესად რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენს უახლოეს წარსულზე. ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობაში არის არა მარტო ის, რისგანაც გადაჭრით უნდა განვთავისუფლდეთ, არამედ ისიც, რის გარეშეც შეუძლებელია ჩვენი შემდგომი წინსვლა. სწორედ, ამიტომ, ისტორია უნდა დავინახოთ, ისე, როგორც ის არის სინამდვილეში და არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა რომ იყოს (**ბლუაშვილი 2010:371-372**).

საკვლევი პერიოდის თაობაზე ბევრი დაიწერა. თითქოს მოვლენების შეფასებაც არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ფაქტი ჯერაც უცნობი და შეუსწავლელია. მთელი რიგი დოკუმენტები, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის სრულყოფილ წარმოჩენას, გაბნეულია, დამალული ან საერთოდ, განადგურებულია. ფაქტობრივად, არ არსებობს ქართული დისიდენტური ლიტერატურაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გივი მალულარიას რომანს „უკუქცევა“ – ქართული დისიდენტური მწერლობის ერთადერთ ნიმუშს. როსტომ ჩხეიძის უკანასკნელ

წლებში გამოცემულ პუბლიკაციებს და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თვითგამოცემულ ჟურნალებსა და სხვადასხვა პროკლამაციებს.

ეჭვი არ არის, მომავალში ამ ხანმოკლე მაგრამ რთულ პერიოდზე, კვლავაც მრავალი რამ დაიწერება, ბევრი ფაქტი და მოვლენა დაზუსტდება. ვფიქრობთ, თანამედროვეთა შეხედულებები სიმართლის დასადგენად საუკეთესო წყარო არ არის, მაგრამ უსათუოდ ანგარიშგასაწვევი ფაქტორია. არაა გამორიცხადებული, რომ ამ პერიოდის ფაქტებისა და მოვლენების ავტორებისეული შეფასება ტენდენციური ან არაობიექტური იყოს, მაგრამ დროის მოკლე დისტანცია არ იძლევა მომხდარის უკეთ შეფასების საშუალებას. რადგანაც საკითხი ეხება ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულს და იმ პირებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და მეტ-ნაკლებად დიდი თუ მცირე წვლილი მიუძღვით საქართველოში XX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე პროცესებში, კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბოლო ეტაპზე. თავისთავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა მეტად ჭრელ და აზრობრივად ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანთა კავშირს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ ერთმანეთის დისკრედიტაციისათვის, სახელისა და ღირსების შელახვისათვის და გასანადგურებლადაც კი, რაც უმეტეს შემთხვევაში მიზანს აღწევდა კიდევ.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ცალკეულ ეტაპზე, მასში მოღვაწეობდნენ მეტად ღირსეული და ერისათვის თვალსაჩინო ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნულ მოძრაობაში, მის წარმატებით დამთავრებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ზოგიერთმა თავისი სიცოცხლის ფასადაც კი (ზ. ჭავჭავაძე, მ. კოსტავა). მაგრამ ავტორიტეტების გვერდით არსებობდა ამ მოძრაობას მიტმასნილი უამრავი შემთხვევითი „მოღვაწე“, რომელთაც ამ მოძრაობაში ყოფნა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმისთვის კი არა არამედ მხოლოდ პირადი მიზნების მისაღწევად უნდოდათ და მათთვის „ქვეყანა და ქვეყნის საქმე“ ყველაზე ბოლო ადგილას იდგა.

საკვლევი თემის კვლევისას მნიშვნელოვანია იგორ კვესელავას ნაშრომი: „გარდაქმნა („პერესტროიკა“) და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში“. მასში გაშუქებულია გარდაქმნის („პერესტროიკის“) პირველ წლებში (1985-1988) საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური

მოვლენები. ნაჩვენებია ხელისუფლების საქმიანობა ნეგატიური მოვლენების დასაძლევად. ნაშრომში წარმოჩენელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ნაბიჯები.

ასევე მნიშვნელოვანია იგორ კვესელავას ბროშურა **„დისიდენტური მოძრაობა საქართველოში“**, რომელშიც ავტორს განხილული აქვს საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ისტორიის საკითხები, მისი ისტორიული თავისებურებები და განვითარების ეტაპები. მკვლევარი დისიდენტურ მოძრაობას განიხილავს როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილს.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიას თბილისში ნაშრომი მიუძღვნა კინორეჟისორმა გივი ვეფხვაძემ – **„9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.“** მასში იმ პერიოდის მოვლენების ამსახველ უნიკალურ ფოტომასალასთან ერთად თავმოყრილია 9 მარტის ტრაგედიის მონაწილე ავტორთა სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, მოგონებები და მემუარები.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შესასწავლად უმნიშვნელოვანესია **ნათაძის „სისხლიანი პარასკევი“**, რომელიც წარმოადგენს ავტორის, როგორც მოვლენის უშუალო თვითმხილველისა და მონაწილის მოგონებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩანაწერების გაკეთებით ავტორს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის შესასწავლად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს უკანასკნელი უამრავ ხარვეზსა და ურთიერთგამომრიცხავ ფაქტს შეიცავს, ასევე ავტორისეული მიდგომა მოვლენისადმი მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი და არადამაჯერებელია, რაც მისი სანდოობის ხარისხს ერთი-ორად აქვეითებს. აქედან გამომდინარე მკვლევრმა ნაშრომი ძალიან ფრთხილად და მოზომილად უნდა გამოიყენოს.

მრავალმხრივი შრომა გასწავია 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შესწავლისათვის შოთა ნოზაძემ. მის მონოგრაფიაში **“1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი”** სრულყოფილადაა შესწავლილი 1956 წლის მარტის ავადსახსენებელ დღეებში საქართველოს ხელაქალაქში მიმდინარე მოვლენები და ამ მოვლენათა ტრაგიკული დასასრული.

1988-1993 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებზე ავტორის დაკვირვებები და შეხედულებები

გადმოცემულია დავით მჭედლურის ნაშრომში „თავისუფლების სახელით“. მასში მოცემული პერიოდის ქართული პრესისი მასალების მომხილვის საფუძველზე წიგნში ვრცლად არის წარმოდგენილი ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბიოგრაფია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწის ზურაბ ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა გადმოცემულია წერილების კრებულში **„ღმერთო მამული უცოცხლე“**. წიგნში თავმოყრილია მეცნიერების, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების, ზურაბის კოლეგების, თანამებრძოლების ის წერილები, რაც მოღვაწის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს ისტორიის ამსახველი მასალა, პირობითად **„მრგვალი მაგიდის ისტორია“** რომ ეწოდება, თავმოყრილია ამავე სახელწოდების კრებულში, რომელშიც სრულადაა წარმოჩენილი „მრგვალი მაგიდის“ ცნობიერებაში დამკვიდრებული დროის ამსახველი, ქრონოლოგიურად დალაგებული დოკუმენტაცია. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის დადგენილებები, სხვადასხვა დროს ეროვნული მოძრაობის მოღვაწეთა მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები და სხვა მასალები.

იგორ კვესელავას ნაშრომში **„საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“** ისტორიულ ასპექტშია განხილული ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხები, დახასიათებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ეტაპები და პერიოდიზაციის ავტორისეული სქემა. წინა პლანზეა წამოწეული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები.

დისიდენტური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია **ჰენრი კუპრაშვილის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები.“** ნაშრომში საინტერესოდაა განხილული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები, მისი გენეზისი, როგორც მოძრაობის სათავეების, ისე საბჭოთა პერიოდის პერიპეტები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნულ-რეალისტური ფრთის საქმიანობის ანალიზს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ზემოაღნიშნულ პერიოდზე წიგნი „9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიები“ დაწერილი აქვს ავთანდილ სონდულაშვილს. ნაშრომში განხილულია 80-იანი წლების მეორე ნახევარში ე.წ. გარდაქმნისა და საჯაროობის ფონზე „საბჭოთა იმპერიის“ დაშლის პროცესი. ნაჩვენებია ეროვნული მოძრაობის სიძნელეები და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის კანონზომიერება, რასაც წინ უძღვოდა XX საუკუნის უდიდესი დანაშაული – 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი აქცია. ნაშრომში ადგილი ეთმობა ქართულ-ავსტრალიური და ქართულ-ოსური დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებსა და ამოცანებს, ცნობილი მესამე ძალის როლს ადგილს დატრიალებულ ტრაგედიაში.

ასევე მნიშვნელოვანია ა. სონდულაშვილის „ისტორიული ნარკვევები“, რომელშიც საარქივო დოკუმენტებისა და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შესწავლილია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები, გაშუქებულია საქართველოს ისტორიის უკანასკნელი პერიოდის აქტუალური საკითხები, გაანალიზებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

1990 წელს ირაკლი გოცირიძის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „სიმართლის კვალდაკვალ“ თავმოყრილია ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ჟურნალისტის კერძო გამოძიებით მოპოვებული მასალა, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხება.

ადებული პერიოდისათვის გასათვალისწინებელია უჩა ბლუაშვილის „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ“. ნაშრომში ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტური და ანალიტიკური მასალის მიხედვით გადმოცემულია საქართველოში 1988-1991 წლებში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების კრიტიკული ანალიზი. ავტორი ნაშრომში აღწერილი დრამატული მოვლენების თვითმხილველი და მონაწილეა, რის გამოც ცხადია, იგი დაზღვეული ვერ იქნება სუბიექტური აღქმისაგან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესასწავლად ასევე მნიშვნელოვანია: მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი „საქართველოს უახლესი ისტორია“, მ. სამსონაძე „საქართველო 1921–1991 წლებში“, ოთარ ჯანელიძე, „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“;

გულაბერ ანანიაშვილი „საქართველო და რუსეთი ბორის გოდუნოვიდან ბორის ელცინამდე და ვ. პუტინამდე“.

ასევე, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას აღნიშნულ პერიოდს ეძღვნება პროფესორ გიორგი მჭედლიძის საყურადღებო ნაშრომი „ისტორია უდისტანციოდ“.

პ რ ე ს ა: ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ პერიოდული გამოცემები. პრესა დიდ როლს ასრულებდა ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებასა და მოსახლეობის ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვაში.

XX საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდნენ სხვადასხვა მიმდინარეობებისა და პოლიტიკური შეხედულებების პარტიები და ორგანიზაციები. ყველა მათგანს თავისი პერიოდული ორგანო ჰქონდა, რომელშიც მათი პოლიტიკური მიმართულებებია მოცემული. საზოგადოებრივ ცხოვრებას პოლიტიკური პარტიების პერიოდული გამოცემები თავიანთი პოზიციებიდან აფასებდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა მომენტების შესახებ სტატიების სიუხვით, სხვადასხვა ისტორიული მოვლენების გაშუქება-განხილვა-შეფასებით და პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვავლელი საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ გამოცემული გაზეთი „სახალხო განათლება“, რომელიც XX საუკუნის 80-90-იან წლებში გამოდიოდა.

სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი სტატიები გამოქვეყნდა საქართველოში გამომაველ ჟურნალ-გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველო“, „კომუნისტი“, „ახალი 7 დღე“, „ახალი ეპოქა“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, ჟურნალი „მიჯნა“ „ახალი ქართული გაზეთი“, „დრონი“, „სოფლის ცხოვრება“, „ასავალ დასავალი“.

მ ე მ უ ა რ ე ბ ი: საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის XX საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიის წარმოსახენად ჯეროვანი მნიშვნელობა აქვს მემუარებს, რომელშიც ასახულია არამარტო ავტორის ვიწრო ოჯახური და მეგობართა წრე, არამედ, ის საზოგადოება და სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენები, რომელთანაც ავტორს უხდებოდა ურთიერთობა. ამიტომ, მემუარები ხშირად შეიცავს ფართო საზოგადოებრივი მოძრაობის მნიშვნელოვან ფაქტებს. ამავე დროს მოგონებები კრიტიკულ დამოკიდებულებას საჭიროებს, რადგან თავისუფალი არ არის ტენდენციურობისაგან.

1956 წლის 5-9 მარტს ქ. ბათუმში გამართული ცნობილი საპროტესტო მიტინგების უშუალო მონაწილის შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გადმოცემულია იური ბიბილეიშვილის მოგონებებში „საქართველოსათვის“.

ეროვნული მოძრაობის მრავალი საგულისხმო ფაქტია ასახული ვახტანგ ძაბირაძის მემორარებში „ეროვნული მოძრაობის შექმნის დღეები“, რომლის ავტორიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეპიცენტრში იდგა და პირადად განიცადა იმ წლებში მიმდინარე მოვლენათა სიხარული და მწუხარება. ნაშრომში საინტერესო მასალაა მოცემული დისიდენტური მოძრაობის შესახებ საქართველოში, მისი თვალსაჩინო მოღვაწეებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. გადმოცემულია ავტორის შეხედულებები, შეფასებები და დასკვნები მათთან დაკავშირებით.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ანატოლი სობჩაკის „თბილისის უამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“. წიგნში დეტალურადაა აღწერილი 9 აპრილის სისხლიანი მოვლენები. გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მასალები, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მთავარი სამხედრო პროკურატურის, საქართველოს სსრ პროკურატურის დოკუმენტები. მოცემულია 9 აპრილის მოვლენათა შემსწავლელი კომისიის მუშაობის პროცესი და კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა.

9 აპრილის მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ეგორ ლიგაჩოვის „თბილისის საქმე“, რომელიც მემუარის ჟანრის ნაშრომს წარმოადგენს.

მიუხედავად ასეთი ინტესიური კვლებისა, მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ ჯერ არაა შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც მოცემული იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და მისი სრული მეცნიერული ანალიზი.

თავი პირველი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან

§ 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1921-1923 წლებში, ანექსია, პირველი აჯანყებები სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში

ოციანი წლების დასაწყისი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის მეტად მძიმე საშინაო და საერთაშორისო ვითარებით აღინიშნა: აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აშკარად მიანიშნებდა საქართველოს გასაბჭოების გარდაუვალობას. ამ პროცესს სათავე დაედო 1921 წლის 25 თებერვალს. დაიწყო თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჯარის უკან დახევა, მთავრობამ თბილისი დატოვა და ქუთაისისაკენ გაემგზავრა. ორი დღის შემდეგ კი ბათუმში ჩავიდა და იქ განაგრძო თავისი საქმიანობა **(ბენიძე 1991:3)**.

საბჭოთა ხელისუფლების გავლენის სფერო ფართოვდებოდა. 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აფხაზეთში, 5 მარტს – სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, 8 მარტს – ქ. ზუგდიდში, 10 მარტს – ქ. ქუთაისში, 11 და 13 მარტს სენაკსა და ფოთში.

ქორდანიას მთავრობამ სრული უნდობლობა გამოუცხადა ოკუპანტებს, 1921 წლის 17 მარტს ღამით მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმში დატოვა და იტალიის გემით სტამბოლისკენ აიღო გეზი. აქედან კი საფრანგეთს შეაფარა თავი და ემიგრანტული მთავრობის სტატუსი მიიღო **(ბენდიანიშვილი 1999:290)**.

18 მარტს აჭარაშიც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება და ამრიგად, საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა.

ქვეყნას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტი. მის ხელში გადავიდა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოების ფუნქციები.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით დათხოვნილ იქნა დამფუძნებელი კრება, სენატი და მენშევიკური მთავრობის ხელისუფლების სხვა ორგანოები. შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის რევოლუციური კომიტეტები.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა როდი მოჰყვა. 1921 წლის 16 მარტს, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა არტაანის, ართვინისა და ოლთისის ოლქები – 12115 კვ.კმ. ტერიტორია – 164 ათასი მოსახლით. ცოტა მოგვიანებით, შერეული კომისიების გადაწყვეტილებით, საქართველოს ჩამოართვეს და მეზობელ რესპუბლიკებს სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცეს ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3812 კვ. კმ.) და ზაქათალის ოლქი (3564 კვ.კმ.). 1921 საბედისწერო წელს საქართველომ დაკარგა თითქმის 20 ათასი კვ. კილომეტრი ტერიტორია.

ქართველი ხალხი, ბუნებრივია, ვერც თავისუფლების დაკარგვას შეურიგდა და ვერც თავის ისტორიული ტერიტორიების გასხვისებას. თავიდანვე დაიწყო ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის დასამხობად და დამოუკიდებლობის აღსადგენად **(ბენდიანიშვილი 1999: 291)**.

1922 წლის მარტში შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია. სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციულ კავშირში გაერთიანდნენ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამავე დროს თითოეული ეს რესპუბლიკა, ხელშეკრულების მიხედვით, ინარჩუნებდა ე.წ. „სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს” **(ბენიძე 1991: 6)**.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობა ეძებს გზებს ძალაუფლების დაბრუნებისათვის. მისი ინიციატივით საბჭოეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით, გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის საზღვარგარეთ მყოფ მთავრობებს შორის. 1922 წლის 10 ივნისს პარიზში აღნიშნული ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ამავე წლის ნოემბერში კავკასიის ანტისაბჭოთა ძალების წარმომადგენელთა თათბირზე აირჩიეს კომისია, რომელსაც დაევალა კავკასიაში აჯანყების მოწივობა და უცხოეთის ინტერვენციის მომზადება.

ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა – სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალ-ფედერალისტებმა და სოციალ-რევოლუციონერებმა სცადეს საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა და სადაო საკითხების შეთანხმების გზით გადაწყვეტა. ამ მიზნით 1921 წლის აპრილის დასაწყისში საგანგებო დელეგაცია გაუგზავნეს საქართველოს რევკომს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ პოლიტიკურ პარტიებთან საერთო ენის გამონახვის მაგიერ გააძლიერა მათი დევნა და რეპრესიები (ბენიძე 1991:8).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა იმდენად თავზარდამცემი იყო, რომ საზოგადოების თითქმის ყველა ფენა საპროტესტო განწყობამ მოიცვა.

ახალი რეჟიმი თავს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებად აცხადებდა, მაგრამ მის რეალურ დასაყრდენს საქართველოში რუსეთის საოკუპაციო არმია წარმოადგენდა. საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური სიმპატია კვლავაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა. დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობამ მუშათა მასების ეროვნული ტრაგედიის გარდა პიროვნული უკმაყოფილების წყაროც იყო. მუშათა გულისტკივილს მმართველობიდან მისი ინტერესების გამომხატველი სოციალ-დემოკრატიის ძალადობრივი ჩამოცილებაც განაპირობებდა.

გლეხობა ძნელად ეგუებოდა კერძო საკუთრების ხელყოფას, გაურბოდა ახალ, მძიმე გადასახადებს. საბჭოთა წყობილებამ მოსახლეობის შეძლებული ნაწილი შეურიგებელ მტრად გაიხადა მისთვის ქონების ჩამორთმევითა და უფლებების შეზღუდვით.

ფაქტობრივად კანონგარეშე აღმოჩნდა ქართველი სამღვდელთა და მართლმადიდებელი ეკლესია. მარტო 1921-1923 წლებში დაანგრიეს და გააუქმეს 1500 მოქმედი ტაძარი. ეკლესია-მონასტრების მამულები და ქონება სახელმწიფომ მიისაკუთრა. ავიწროებდნენ, აპატიმრებდნენ და აბუჩად იგდებდნენ რელიგიის მსახურთ, უხეშად შეურაცყოფდნენ ეროვნულ ტრადიებს.

მკაცრ იდეოლოგიურ წნეხში მოექცა ინტელიგენცია, რომლისაგან რეჟიმის ერთგულება და მის სამსახურში მორჩილად ჩადგომა მოითხოვეს. საზოგადოების ამ ფენამ უმალ იგრძნო საქართველოს ავი პერსპექტივა და წინააღმდეგობის ფორმათა ძიებას შეუდგა.

ახალი რეჟიმი მოსახლეობის დამორჩილებას რეპრესიების მეშვეობით შეუდგა. საქართველოს გასაბჭოებიდან 1921 წლის ბოლომდე, სულ რაღაც 11

თვის განმავლობაში, საგანგებო კომისიამ 150-მდე კაცი დახვრიტა. მასობრივი ხასიათი მიიღო უსაბუთო ჩხრეკებმა, რეკვიზიცებმა, კონფისკაციებმა და დაპატიმრებებმა. საოკუპაციო ხელისუფლების ამგვარი მოქმედება კიდევ უფრო ზრდიდა რეჟიმის საწინაარმდეგო განწყობილებას.

პროტესტის მშვიდობიანი ტალღა პირველად მუშათა წრეებში აზვირთდა. თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის დეპო-სახელსნობებისა და სხვა დაწესებულებების მუშები კრებებზე გამოხატავდნენ უნდობლობას ბოლშევიკებისადმი, იღებდნენ საპროტესტო რეზოლუციებს. 1921 წლის ოქტომბერში მუშათა დელეგაციამ მოთხოვნები საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს წარუდგინა მემორანდუმის სახით, რომელსაც 5000 ხელმოწერა ერთვოდა. მუშები მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას და სხვა.

ხელისუფლებამ მუშებს არ მოუსმინა, მათი წარგზავნილები დააპატიმრა და ციხეში ჩასვა (**ჯანელიძე 2009:157**).

1921 წლის მაისიდან თავი იჩინა გლეხთა უკმაყოფილებამ სვანეთში, ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ა.შ. რომელიც მალე ბევრგან შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა.

ეს ეროვნული მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ „პოლიტიკურ ბანდიტიზმად“ მონათლა.

კახეთსა და ხევსურეთში შეიარაღებულ გამოსვლებს სათავეში ედგა დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, ცხენოსანი დივიზიის პირველი ასეულის უფროსი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ქართლსა და კახეთში შეიქმნა და მოქმედებდნენ შეიარაღებული რაზმები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სასტიკად უსწორდებოდნენ რევკომსა და საგანგებო კომისიის მუშაკებს.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მონდომა საგანგებო ღონისძიებების გატარება. 1921 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებით რესპუბლიკის ყველა კუთხეში შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები („ჩონი“), რომლებსაც დაევალებათ დაუყოვნებლივ ჩაეხშოთ ყოველგვარი ანტისაბჭოთა აქცია.

1921 წლის მიწურულში, რამდენიმე თვის ძლიერი წინააღმდეგობის შემდეგ, შინაგამცემლების ხელშეწყობით ჩაახშეს სვანეთის აჯანყება. ასეთივე ბედი ეწია აჯანყებებს გურიასა და ფშავ-ხევსურეთში.

სვანეთის აჯანყების ექო გასცდა საქართველოს ფარგლებს და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემირირებულმა მთავრობამ გენუაში მიმდინარე კონფერენციას სთხოვა, აეძულებინათ რუსეთს ხელისფლება, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე.

1922 წლის გაზაფხულზე მენშევიკები და სხვა პოლიტიკური პარტიები დიდ იმედებს ამყარებდნენ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა ქ. გენუაში. თავის მხრივ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია გენუის საერთაშორისო კონფერენციას უგზავნის მემორანდუმს. მაგრამ, უშედეგოდ დამთავრდა ყოველგვარი ცდა საქართველოს საქმეებში ჩარეულიყო გენუის საერთაშორისო კონფერენცია. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს არ ეცალა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მისი მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ძირითადი მიზნის განხორციელებისაკენ – დაებრუნებინა ნედლეულითა და მასალებით უმდიდრესი რუსეთი საერთაშორისო ბაზრისათვის, ამავე დროს დაეთანხმებია იგი მეფისდროინდელი ვალების განაღდებაზე (ბენიძე 1991:13).

უნდა აღინიშნოს, რომ 1921–1923 წლების საპროტესტო ღონისძიებები, შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები სტიქიურ და ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ, რის გამოც საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებაში ვერ გადაიზარდა.

§ 2. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, გადამწყვეტი ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის

ქართველი ხალხის ბრძოლას საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ აგულიანებდა და იმედს მატებდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. ემიგრირებული მთავრობა და პოლიტიკური პარტიების მესვეურები თავიანთი მიმართვებითა და მოწოდებებით ამხნევებდნენ ერს. პარიზში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ სამშობლოში დროდადრო ფულსაც გზავნიდა, რომელიც საბრძოლო რაზმების შექმნასა და მომზადებას ხმარდებოდა.

სვანეთ-ფშავ-ხევსურეთის სტიქიური და ლოკალური ამბოხებების დამარცხების შემდეგ პარიტეტული კომიტეტი ახალ აჯანყებას მთელი საქართველოს მასშტაბით გეგმავდა და მას როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური კუთხით ამზადებდა. პოლიტიკური მხარე დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური და ფინანსური თანადგომის მოპოვებას, თურქეთის ნეიტრალიტეტისა და კავკასიის ხალხების მხარდაჭერის მიღწევას ითვალისწინებდა. რაც შეეხება სამხედრო მზადებას, მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად. რაიონებში დაინიშნენ სამხედრო მეთაურები და მათი თანაშემწეები. საბრძოლო ერთეულებს შეადგენდნენ ხუთეულებად, ათეულებად და ასეულებად დაყოფილი მოსახლეობის ჯგუფები. გროვდებოდა იარაღი და ტყვია-წამალი, პარტიზანული რაზმები გადიოდნენ სავლელე წვრთნებს (**ჯანელიძე 2009:159**).

1922 წლის დასაწყისში მოლაპარაკება დაიწყო მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების, ესერებისა და სხიველების პარტიებს შორის. იმავე წლის აგვისტოში აღნიშნული პარტიების წარმომადგენლები შეთანხმდნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ – „პარიტეტული კომიტეტის“ შექმნის შესახებ.

აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისათვის 1922 წლის გაზაფხულზე პარიტეტულ კომიტეტთან ჩამოყალიბდა „სამხედრო ცენტრი.“ მისი გეგმით საქართველოში უნდა მოწყობილიყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება.

„სამხედრო ცენტრის“ გეგმა ვერ განხორციელდა მის შემადგენელ პარტიებს შორის არსებული დაპირისპირებების გამო.

პოლიტპარტიებს შორის დავა ძირითადად მიმდინარეობდა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზებისა და საშუალებების, ისე გამარჯვების შემთხვევაში, დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი მთავრობის შესახებ.

„პარტიკული კომიტეტის“ არაერთი გზის ცდა თავისი წარმომადგენლების, ემისრების, აქტიური ჩარევა – შუამდგომლობის საშუალებით აჯანყებაში მონაწილეობისათვის მიემხრო ახერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასია, უშედეგოდ დამთავრდა.

აჯანყებაში დარწმუნებული პოლიტიკური პარტიები ღებულობენ გადაწყვეტილებას – დაიწყონ იგი საკუთარი ძალებით. გამოსვლის დაწყების სავარაუდო დღედ 28 აგვისტო მიიჩნიეს. ეს რიცხვი შემთხვევით არ იყო შერჩეული. იგი დაკავშირებული იყო რელიგიურ დღესასწაულთან „მარიამობასთან.“ ამ დღესასწაულს, როგორც წესი, თან ახლდა ხალხის მასობრივი თავყრილობანი. აჯანყების მესვეურნი ფიქრობდნენ, რომ სადღესასწაულოდ განწყობილი ხალხის თავყრილობები გაადვილებდა მათ ჩაბმას სტიქიური მოძრაობის ფერხულში. მაგრამ შემდეგ მოხდა ამ თარიღის გადატანა 29 აგვისტოს.

აჯანყება მიმდინარეობდა დამოუკიდებელი საქართველოს დროში., რუსეთის გაძევებისა და საქართველოს განთავისუფლების ღოზუნგით. მას მხარს უჭერდა მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია მცირე გამონაკლისის გარდა, ასევე მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა (125-130 ათასი ანუ მოსახლეობის ხუთი პროცენტი) აჯანყებულთა მხარეზე იყო.

აჯანყების ბედი უკუღმა დატრიალდა. 1924 წლის 4 სექტემბერს საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაკებმა მიაგნეს აჯანყებულთა შტაბს შიო მღვიმის მონასტერში და დააპატიმრეს (ბენიძე 1991:27).

1924 წლის აჯანყებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ანგარიშსწორებამ შეუზღუდავი ხასიათი მიიღო, რასაც შედეგად აურაცხელი უდანაშაულო ადამიანის სისხლის ღვრა მოჰყვა.

სამშობლოს დასხნის კეთილშობილურმა იდეამ მრავალთა სიცოცხლე შეიწირა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური და მეგრძოლ საქართველოს მასობრივი რეპრესიებით გაუსწორდა. მარტო აჯანყების დღეებში, ოფიციალური ცნობით, დახვრიტეს 980 ადამიანი (არაოფიციალური მონაცემებით ეს რიცხვი 4 ათასს უტოლდება). დახვრეტილთა შორის იყვნენ საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი ნოე ხომერიკი, ქალაქ თბილისის ყოფილი თავი ბენია ჩხიკვიშვილი, ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, გენერლები ს. ყარალაშვილი, ი. ფურცელაძე, ნ. გარდაფხაძე და სხვა არაერთი მამულიშვილი. ჭიათურაში სატვირთო ვაგონებში შეჰყარეს და ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს 95 კაცი. სოფელ რუისში მთლიანად ამოწყვიტეს ფანიაშვილების 24 სულიანი ოჯახი და სხვა ამგვარი. (ჯანელიძე 2009:160).

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებით ძირითადად დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი.

1924-1925 წლებიდან დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აშკარა შეზღუდვა და მალე იგი ერთიანი ტოტალიტარული სახელმწიფოს განუსაზღვრელ უფლებებში შთაინთქა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება მთლიანად განპირობებული იყო ეროვნული მოტივით. აჯანყება ქართველი ერის პასუხი იყო უცხო ძალის მიერ საქართველოს დაპყრობაზე და მიზნად ისახავდა წართმეული თავისუფლების დაბრუნებას, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და განახლებას.

§ 3. პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1930-იან წლებში, რეპრესიები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოღვაწეების წინააღმდეგ

საბჭოთა სისტემის, კომუნისტური ხელისუფლების ყველა მიღწევასა თუ დამსახურებას ჩრდილს ფენს და აფერმკრთალებს უმაგალითო რეპრესიები, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით პერიოდულად ხორციელდებოდა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1934 წლის 1 დეკემბერს ლენინგრადში, სმოლნში ტერორისტმა მოკლა ს.მ. კიროვი – ი.ბ. სტალინის უერთგულესი მხარდამჭერი და პირადი მეგობარი, ეს მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად. უკვე 1936 წელს, მოსკოვში დაიწყო საჯარო პროცესები ტროცკისტულ-ზინოვიევიური ოპოზიციის წარმომადგენლობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიები კრემლიდან იმართებოდა, იქ განისაზღვრებოდა დასახვრეტ-დასაპატიმრებელთა რაოდენობა და ზოგიერთ შემთხვევაში ვინაობაც, მაგრამ არც ადგილობრივი ხელისუფალთ უშლიდა ვინმე თავგამოდებას “გეგმის” გადაჭარბებისათვის (ჯანელიძე 2009:162).

იდეურად ყოველმხრივ შემზადებული საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია აქტიურად ჩაება ამ საქმეში. ლ. ბერია, თავისი “ჩეკისტური” გამოცდილებითა და შესაშური ენერგიით ახორციელებდა “ხალხის მტრების” აღმოჩენისა და პოლიტიკური განადგურების ნაცად პრაქტიკას.

მოსკოვის პროცესების დაწყებისთანავე, საქართველოს სამრეწველო საწარმოებსა და შრომით ორგანიზაციებში იმართებოდა მიტინგები, სადაც სასტიკად გამოხდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევიური ოპოზიციის ლიდერების ანტისაბჭოთა მოქმედებებს.

ლ. ბერიას ინიციატივით საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები და აქტივისტები, ვინც სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ სტალინის საწინააღმდეგო ფრაქციებში („ნაციონალ-უკლონისტები” და სხვ.), იყვნენ ტროცკისტები, ემხრობოდნენ ბუხარინს, პარტიულ კრებებსა და დისპუტებზე პარტიის გენერალური ხაზის გარკვეული კრიტიკით გამოდიოდნენ - „შავ სიებში” ჩაირიცხნენ.

1937 წლის ივლისში შედგა ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, მ. ოკუჯავას და სხვათა „ჯაშუშურ-დივერსიული-გამცემლური ორგანიზაციის” ღია პროცესი.

ამას მოჰყვა 1937 წლის სექტემბერში აჭარის „კონტრრევოლუციურ-სააჯანყო ცენტრის“ პროცესი. ბრალდებულებს: ზ. ლორთქიფანიძეს, გ. რამიშივილს, შ. მათიკაშივილს და სხვებს აბრალებდნენ, რომ მათ სურდათ „აჭარის დედა-სამშობლოსგან ჩამოცილება, აჭარაში კაპიტალისტური წყობის აღდგენა.“ ამ პროცესის შედეგად სხვებთან ერთად დაისაჯა ქართველი მამულიშვილი ჯემალ ქიქავა, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება სამუსლიმანო საქართველოს დედა-სამშობლოსთან ორგანულად დაკავშირების საშვილიშვილო საქმეს მოახმარა (ნათმეცნიერები 2004:145-146).

რეპრესიები საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო, მაგრამ მის მთავარ სამიზნეს ინტელიგენცია წარმოადგენდა. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ სახელოვანი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, თვალსაჩინო პოეტი ტიციან ტაბიძე, უნიჭიერესი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, აღიარებული მუსიკოსი და ღირიჟორი ეგგენი მიქელაძე, ცნობილი სწავლულები გრიგოლ წერეთელი, ვახტანგ კოტეტიშვილი და მრავალი სხვა. პროტესტის ნიშნად საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში თავი მოიკლა პოეტმა პაოლო იაშივილმა. ფიზიკურ განადგურებას გადაურჩნენ, მაგრამ წამების გზა გამოიარეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვუკოლ ბერიძე, მიხეილ ზანდუკელი და სხვები.

პოლიტიკური წმენდა და რეპრესიები შეეხო წითელი არმიის ქართულ ნაწილებს: დააპატიმრეს დივიზიის მეთაურები თუხარელი და ქუთათელაძე, პოლკოვნიკი გედევანიშვილი და სხვები.

რეპრესიები განიცადეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ხელმძღვანელებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: ვ. ლაკობამ, კ. ინალიფამ, დ. ჯერგენიამ, ს. ფილიამ, ი. ჯოჯიევმა, ვ. ხუბაევმა, გრ. სანაკოევმა და ბერემა სხვამ.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის ტოტალიტარულმა რეჟიმმა ქვეყანაში შექმნა იმგვარი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომ სხვათა უსაფუძვლო დასმენა, ცილისწამება და მისთ. დასაძრახ მოვლენად კი აღარ აღიქმებოდა, არამედ „სოციალიზმის სადარაჯოზე“ დგომად და მოსაწონ და საპატიო საქმედ მიიჩნეოდა.

პოლიტიკური რეპრესიების უამს საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაკარგა ადამიანური სახე, ჩაეფლო უზნეობისა და მორალური დეგრაზაციის ტყვეობაში.

ერთმანეთს აბეზღებდნენ ანგარების, შურის, ქონების დაუფლების სურვილითა თუ სხვა მანიკერი საბაბით. უსამართლოდ განიკითხავდნენ და ზურგს აქცევდნენ შერისხულთა ოჯახებს, გაურბოდნენ მათთან ყოველგვარ კავშირს. მსხვერპლის გამოსარჩლება უაზრო თავგანწირვას ნიშნავდა.

საბედნიეროდ, მრავალმა იმ გაუსაძლისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის პირობებშიც შეინარჩუნა ღირსება და გამოავლინა ჰუმანიზმი რეპრესირებულთა მიმართ.

მასობრივმა რეპრესიებმა მთლიანად გაანადგურა ანტისტალინური ოპოზიციის ყველა ძირითადი მიმართულება, ყველა შესაძლო პოლიტიკური ოპონენტი, განამტკიცა ი. ბ. სტალინის დიქტატურა.

თავი მეორე

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება

§ 1. საერთაშორისო ვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. საბჭოთა ჯარები იდგნენ ევროპის ბევრ სახალხო დემოკრატიის ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ზეწოლის შედეგად სოციალისტური რეჟიმები შეიქმნა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ალბანეთში.

კარდინალური ცვლილებები ხდებოდა აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში. 1945 წლის სექტემბერში გამოცხადდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ასეთივე გზას დაადგა ჩრდილოეთ კორეა, რომელიც იაპონიის ბატონობისაგან გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ. 1948 წლის სექტემბერში შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იმავე წლის 7 ოქტომბერს კი შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ამრიგად, ჩამოყალიბდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც მოიცავდა დედამიწის მოსახლეობის 1/3-ზე მეტს და ტერიტორიის 26%-ს. მსოფლიოს ამ ორი, ურთიერთდაპირისპირებული ბანაკის გარდა, ქვეყნების ჯგუფმა, რომლებშიც შედიოდნენ: ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ავღანეთი, ავსტრია, ფინეთი და სხვა, რომლებიც არ შეუერთდნენ აღნიშნულ ორ ბანაკს და შექმნეს ე.წ. ნეიტრალური ქვეყნების ბანაკი ანუ „მშვიდობის ზონა“.

აღნიშნული ცვლილებები მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ხორციელდებოდა ე.წ. „ცივი ომის“ ვითარებაში. 1946 წლის 14 მარტს აშშ-ს ქალაქ ფულტონში წარმოთქმულ თავის სიტყვაში უ. ჩერჩილმა პირველად გამოიყენა გამოთქმა „რკინის ფარდა“, რაც ნიშნავდა მსოფლიოს გამოყოფას საბჭოთა კავშირისაგან, მის საერთაშორისო იზოლაციას.

უ. ჩერჩილის გამოსვლას ფულტონში უმაღლეს მოჰყვა ი. სტალინის ინტერვიუ, რომელშიც აღნიშნული სიტყვა შეფასებულ იქნა როგორც მოწოდება

ომისაკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი მიხნეულია „ცივი ომის“ დასაწყისად.

„ცივი ომი“ ნიშნავდა დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის შემუშავებას. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პროგრამა 1947 წლის მაისში ჩამოაყალიბა პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა და იგი „ტრუმენის დოქტრინის“ სახელითაა ცნობილი. აღნიშნულმა დოქტრინამ სათავე დაუდო ფართო სამხედრო დახმარებას მთელი რიგი ქვეყნებისადმი, რის შედეგადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე იქმნებოდა ამერიკის სამხედრო ბაზების ფართო ქსელი (**ნათმეგობე 2004: 257**).

1947 წელს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, ევროპას ეკონომიკის აღდგენის პროგრამა შესთავაზა. მარშალის გეგმა ითავალისწინებდა ასევე დახმარებას საბჭოთა კავშირისა და მისი ევროპელი „მოკავშირეებისათვის“. საბჭოთა კავშირმა უარყო ეს დახმარება.

1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ორმა ამერიკულმა (აშშ, კანადა) და ათმა ევროპულმა (ბრიუსელის პაქტის წევრი 5 ქვეყანა, იტალია, დანია, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია) სახელმწიფომ შეკრა „ჩრდილო ატლანტიკური კავშირი“ – „ნატო“.

1955 წელს, ნატო-ში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაწევრიანების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა სასწრაფოდ შექმნა საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია – „ვარშავის პაქტი“ (1955 წლის 14 მაისი), რომელშიც შევიდნენ: პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, გდრ და ალბანეთი.

„ნატო“-ს შექმნით და „ვარშავის ხელშეკრულების“ გაფორმებით მსოფლიოში დასრულდა ბიპოლარიზაციის პროცესი.

§ 2. 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენები თბილისში

2.1. ტრაგედიის წინაპირობები

ი. სტალინის გარდაცვალებამ 1953 წლის 5 მარტს გამოიწვია ავტორიტარული სისტემის კრიზისი. ხელისუფლების სათავეში მოექცა ნ. ხრუშჩოვი (**ნათმეღაძე 2004:264**).

ქვეყანაში აშკარად გამოჩნდა დემოკრატიის გამოცოცხლების ნიშნები, მაგრამ რუსეთის იმპერიისათვის დემოკრატია პირობითი მცნებაა და ყოველ შემთხვევაში, ეროვნულ საკითხზე იგი არ ვრცელდება, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 1956 წლის 9 მარტის საშინელმა სისხლისღვრამ. ახალმა ლიდერმა ცვლილებების პოლიტიკა პიროვნების ანუ ი. სტალინის კულტის მკაცრი კრიტიკით დაიწყო.

1956 წლის თებერვალში, მოსკოვში სკკპ XX ყრილობა შეიკრიბა. ყრილობის დასკვნით სხდომაზე ხრუშჩოვმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა „სტალინის პიროვნების კულტის შესახებ“. ახალი „ბელადი“ ძველს 30-50-იან წლებში სსრ კავშირში განხორციელებულ მასობრივ რეპრესიებში ამხელდა და ბრალს სდებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის უგულვებელყოფაში, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში და სხვ. ნ. ხრუშჩოვი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმმა სტალინის ხელში „დეფორმაცია“ განიცადა. თითქოს საბჭოთა ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალ-ეკონომიკური თუ სხვა სიძნელეები განპირობებული იყო სტალინის პირადი თვისებებით და არა საბჭოთა ტოტალიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის უვარგისობით.

ხრუშჩოვის შეფასება არ ეფუძნებოდა საკითხის სიღრმისეულ ანალიზს. იგი მოვლენის მხოლოდ ცალმხრივი, ზედაპირული ახსნა იყო. შესაბამისად, კრიტიკის მახვილიც რეჟიმის მანკიერებათა დაძლევის ნაცვლად, ერთი პიროვნების, – სტალინის წინააღმდეგ მიიმართა. სტალინის კრიტიკა ნაგვიანებ ანგარიშსწორებას დაემსგავსა და ბევრგან ანტიქართული გამოსდომებითაც შეივსო (**ჯანელიძე 2009:186-187**).

ეს კამპანია პირად და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, სოციალისტური ეკონომიკის მოახლოებულ კრიზისის ვითარებაში განტევების ვაცის ძიების აუცილებლობითაც იყო განპირობებული. თავისთავად წამოწყებული კამპანია პოზიტიურად და მისასალმებლად ჩაითვალებოდა, მაგრამ მისმა ავტორმა იგი

ერთი მხრივ გაუგონარი ბრალდებით და ცილისწამებით, მეორე მხრივ კი საკუთარი პერსონის შელამაზების მცდელობით დაამძიმა **(სამსონაძე 2001:15)**.

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა ნ. ხრუშჩოვმა სტალინისადმი პირადი სიძულვილის გამო დაიწყო. ეს რა თქმა უნდა, გულუბრყვილო მოსაზრებაა. შეიძლება იყო პიროვნული სიძულვილიც, მაგრამ პოლიტიკაში ზოგადად და, მით უმეტეს, დიდ პოლიტიკაში პირადი სიმპათია-ანტიპათია მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ამ თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის და ქვეყნის ინტერესია.

მაშ, რა ამოძრავებდა ხრუშჩოვს?!

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მისი უპირველესი მიზანი პოზიციების გამაგრება იყო. ამ მხრივ, მისთვისაც და პოლიტბიუროს დანარჩენი წევრებისთვისაც, ყველაზე სახიფათო ლ. ბერიას ფიგურა ჩანდა და ამიტომ ყველამ ერთად, სტალინის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში, მოიშორა იგი. ამით პირველი ეტაპი ხელისუფლების შენარჩუნებისა დასრულდა, მაგრამ ნ. ხრუშჩოვი მთლად მშვიდად ვერ იქნებოდა – ვინ-ვინ და მან ხომ მშვენივრად იცოდა, რომ მისი ავტორიტეტი პოლიტბიუროს შიგნითაც და ქვეყანაშიც გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე პოლიტბიუროს სხვა წევრებისა, ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე უფერული ფიგურა იყო სტალინის გარემოცვაში. ეტყობა, ამიტომაც, ერთმანეთისაგან ურთიერთდაზღვევის მიზნით, ყველაზე უხიფათოდ დანარჩენებმა ის მიიჩნიეს ცკ-ს მდივნის პოსტზე. ამდენად, ნ. ხრუშჩოვს რომ თავი სრულფასოვან ხელისუფლად ეგრძნო, აუცილებლად უნდა გადაეჭრა ორი პრობლემა – პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა მოეშორებინა სტალინის ძველი გვარდია და მეორე – როგორმე გაეღვივა დასავლეთის ქვეყნების მიერ ოფიციალურად გამოუცხადებელი, მაგრამ ფაქტობრივად არსებული ეკონომიკური ბლოკადა. ამ ორივე პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება იყო პიროვნების კულტის კრიტიკა. ადვილი მისახვედრია, რომ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა თავისთავად ვრცელდებოდა მის ყოფილ გარემოცვასა და თანამებრძოლებზე, რომელთა რიცხვსაც, თავისი უფერულობის გამო, ხრუშჩოვი არაფრით მიეკუთვნებოდა საზოგადოების თვალში. ეს, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევდა შეეღაზა მათი ავტორიტეტი როგორც პარტიის შიგნით, ასევე საზოგადოებაში და შემდეგ უმტკივნეულოდ ჩამოეცილებინა გზიდან (ასეც მოხდა), ხოლო მეორე მხრივ, ეს იყო განაცხადი

დასავლეთისათვის, რომ საბჭოების ახალი ხელისუფლება, გმობს რა სტალინის პიროვნების კულტს, რაც, ფაქტიურად, სტალინის საგარეო პოლიტიკის დაგმობასაც ნიშნავს, უარს ამბობს მსოფლიოში კომუნისტური რევოლუციისა და იდეოლოგიის ძალისმიერ ექსპორტზე. აი, რეალური მიზეზი სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკისა (ლაპარაკია მხოლოდ კოსმეტიკურ და საკადრო ცვლილებებზე), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბერიას დახვრეტით მთავრდება პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და პარტიის წმენდის სტალინისტური მეთოდი, ახალი ხელისუფლება უფრო ღმობიერი და მიმტკეპელია და მეტოქეთა მხოლოდ პოლიტიკური განადგურებით კმაყოფილდება (**დაბირაძე 2007: 40**).

ლ. ბერიას დახვრეტის შემდეგ მისი ბედი ბევრმა კოლეგამ გაიზიარა როგორც ცენტრში, ასევე რესპუბლიკებში. ამიტომ გარკვეული პერიოდი ეს ორგანო თითქმის პარალიზებული იყო, რამაც ხელისუფლება დაარწმუნა, რომ იმპერიის შენარჩუნება ამ ორგანოს გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია მისი გარკვეულწილად მოდერნიზება. საზოგადოებაში უნდა აღდგენილიყო ამ ორგანოსადმი სტალინის პერიოდში არსებული შიში და ძრწოლა. ამასთანავე სუკ-ს უნდა მოეხდინა ყოველგვარი ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება, რაც ინფორმატორთა გაცილებით ფართო ქსელის შექმნას საჭიროებდა, ვიდრე საკუთარი ინიციატივით მეზობლის დაბეზღებაა, ხოლო შეგროვილი ინფორმაციის გადამუშავება – სპეციალისტს; თუნდაც სულით ხორცამდე ერთგული, ორთოდოქსი მარქსისტი და ბრძანების უსიტყვოდ აღმსრულებელი, მაგრამ გაუთვალისწინებელი პიროვნება ამ საქმეს ვერ შეასრულებდა. სუკ-ში იწყება საკადრო ცვლილებები, მოჰყავდათ რა თქმა უნდა ერთგული და შემოწმებული, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში არსებულიდან შერჩეული, შედარებით განათლებული და ნიჭიერი სპეციალისტები.

1953 წლის შემდგომ პერიოდში, საბჭოეთის ხელისუფლების სათავეში ე. წ. რეფორმატორ-დემოკრატების მოსვლის შემდეგ, ქვეყანაში იწყება სუსტი მხარეების გამოვლენა, რესპუბლიკებში იზრდება ეროვნული სულისკვეთება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით კიდევაც იჩენს თავს (**კვესელავა 1999ა:5**).

სოციალისტური სისტემის ხალხები რამდენადმე დააბნია კომუნისტური პროპაგანდის მიერ წლების განმავლობაში დანერგილი და ნალოლიავები მითის ერთბაშად და მოულოდნელად დამხობამ. მაგრამ ქართველმა ახალგაზრდობამ ეს ფაქტი განსაკუთრებით მძიმედ განიცადა.

პიროვნების კულტის საწინააღმდეგოდ ხელისუფლება ხაზს უსვამდა ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპის მნიშვნელობას, მაგრამ იგი რჩებოდა ფორმალურ მოთხოვნად.

ამგვარად, საბჭოთა იმპერიის ცენტრში პოლიტიკური მესვეურების მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ვითარებამ მოამზადა პირობები 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიისათვის.

2.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებები 1956 წლის მარტის მოვლენების დროს (სტალინური, ეროვნული)

პიროვნების კულტის კრიტიკა სკკპ XX ყრილობაზე მიმართული იყო არა პროსაბჭოურ სივრცეში დიქტატორული რეჟიმის, არამედ მხოლოდ ი. სტალინის პიროვნების წინააღმდეგ, რასაც დიდი რეაქცია მოჰყვა საქართველოში. ი. სტალინის სამშობლოში მისი კრიტიკა მიიჩნეეს რწმენისა და იდეალის ხელყოფად, ქართველი ერის დამცირებად და შეურაცხყოფად, რადგან სტალინის სახელი ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ იყო აღქმული.

პიროვნების კულტის დაგმობამ, რომელიც დაემთხვა ი. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს, გამოიწვია თბილისის, გორის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების ახალგაზრდობის გამოსვლა-მანიფესტაცია. განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო თბილისში სტალინის მონუმენტთან გამართული მიტინგი. ახალგაზრდობა გამოვიდა სტალინის დასაცავად, რადგან მისთვის ძნელი იყო ერწმუნა სტალინისათვის მიწერილი ბოროტმოქმედებანი ხალხის ინტერესების საზიანოდ. სტალინის კრიტიკა აღქმულ იქნა ეროვნული ღირსების დამცირებად **(ნათმეცადე 2004:265-266)**. ამიტომ, უსაზღვრო იყო ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება, როდესაც 1956 წლის დასაწყისში გავრცელდა ხმები სტალინის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული „დახურული წერილის“ შესახებ.

თბილისისა და საერთოდ, საქართველოს მოსახლეობა მოიცვა „დახურული წერილის“ მიმართ საპროტესტო განწყობამ. ქართველი საზოგადოება ამ პერიოდში სტალინის კრიტიკას აღიქვამდა ეროვნული თავმოყვარეობის, ეროვნულ გრძნობათა შელახვად. არც უამისობა იყო. ადრე პატივსაცემი ქართველობა თითქმის საღანძღავად იქცა. არც ხრუშჩოვი იყო კეთილგანწყობილი ქართველების მიმართ **(გვასალია 1990: №10)**.

სიძულვილის აპოგეად შეიძლება მივიჩნიოთ ის თარიღი, როცა ხრუშჩოვმა დიდი ბელადის მავზოლეუმიდან გამოტანა და მისი გვამის დაწვის ბრძანება გასცა. ასეთმა უგუნურმა გადაწყვეტილებამ მთლიანად გააცოფა ქართველი ხალხი. საპროტესტო მიტინგები დაიწყო როსტოვში, ბაქოში, კიევში და სხვა ქალაქებშიც **(ქირია 2003:№065)**.

1956 წლის მარტის დასაწყისში, თბილისში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. მოვლენები თითქმის სტიქიურად ვითარდებოდა, მაგრამ ჰქონდა ერთი სისტემური ორგანიზაცია. ყველაზე მეტად აქტიურობდა თბილისის

უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობა. ასევე, საქართველოს ზოოვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები (ჯანელიძე 2009: №42).

სტალინის ხსოვნისადმი პატივის მიგება მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო. 1954 წლის მარტში სტალინის სიკვდილის დღეებში, ძეგლთან სანაპიროზე ხალხი მიდიოდა და ყვავილები მიჰქონდათ (ცოტ-ცოტა მანამდეც მიჰქონდათ, მას შემდეგ, რაც მისი მხილების კამპანია დაიწყო). ეს სვლა არც წინასწარ დაგეგმილი ყოფილა ვინმეს მიერ და არც ცნობილი. იგი სტიქიური იყო და მისი ერთადერთი მოტივი იყო პროტესტი (ნათაძე 1991: 7). მისუღნი ყვავილების დაწყოების შემდეგ ერთხანს დგებოდნენ ბაღში ძეგლის წინ. და, ამგვარად, იმ ექვსი დღის მანძილზე აქ დღისით თითქმის განუწყვეტელი უსიტყვო მიტინგი იყო – პირველი არაოფიციალური და მთავრობის კურსის საწინააღმდეგო მიტინგი საბჭოთა კავშირში მას შემდეგ, რაც სტალინური რეჟიმი დამყარდა.

მომდევნო 1955 წელს ძეგლთან ხალხი შეუდარებლად მეტი იყო და უტყვი მიტინგიც შეუდარებლად უფრო დიდიც. იგი მონაწილეთა და არამონაწილეთა მიერ უკვე სავსებით გაცნობიერებული იყო, როგორც მიტინგი და არსებული ვითარებისადმი, როგორც ასეთისადმი, პროტესტისა და წინააღმდეგობის ფორმა. ბოლო ერთი წლის მანძილზე სტალინის წინააღმდეგ მიმართული კამპანია უფრო ფართოდ გახდა და უფრო თვალში საცემად უსამართლოც იმ მხრივ, რომ სტალინის პიროვნების მაგინებელი ხელისუფალნი არც მის შექმნილ იმპერიაზე ფიქრობდნენ ხელის აღებას, არც მისი მეთოდით აგებულ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, არც მის შექმნილ დიქტატურაზე, არც კოლმეურნეობაზე, არც ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეჟიმის რომელიმე სხვა ძირითად ფორმაზე. ანტიქართული გამოსტომებიც არათუ არ კლებულობდა სიხშირით ამ ხნის მანძილზე, არამედ იზრდებოდა...

ამ მდგომარეობას ახალი გარემოებებიც დაერთო, – სტალინის უფრო და უფრო მზარდი და ოფიციალური გინება (XX ყრილობა). რუსეთის მოსახლეობის ნაწილის თვალში ეს ოფიციალური პოზიცია გადატყდა როგორც ისტორიის საბოლოო განაჩენი ქართველობის მიმართ, რომელსაც „კარგი“ ცხოვრებისათვის სხვა არავითარი საფუძველი არ მოეპოვებოდა, გარდა სტალინის თანამემამულეობისა. ქართველის თვალში კი ეს გადატყდა როგორც

გადამწყვეტი იერიშის სიგნალი საქართველოს წინააღმდეგ (ნათაძე 1989: №28), რამაც მოამზადა კიდევ ტრაგედიის საფუძვლები.

1956 წლის მარტის დღეებში საქართველოში ორი ტრაგედია მოხდა. პირველი – ქართველი ახალგაზრდობა პარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ გამოვიდა ი. სტალინის პიროვნების დასაცავად, რადგან მის კრიტიკაში ყველაფერ სხვასთან ერთად დაინახა ქართველთა ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფაც.

მეორე – ამ გამოსვლის წინააღმდეგ მცირეოდენი გაურკვევლობისა და დაყოვნების შემდეგ, ხელისუფლებამ ირადი იხმარა. დაიღუპა და დასახიჩრდა მრავალი ადამიანი.

თუ პირველი ტრაგედიის ახსნა კიდევ შეიძლება სხვადასხვა რეალური ვითარებითა და მოსაზრებით, მეორე ტრაგედია აუხსნელი და უპატიებელია.

ამას დაემატა მესამე ტრაგედია, უფრო სწორად, ტრაგიკომედია. მარტის ამბების განხილვის დროს პარტიის მაშინდელ უმაღლეს ინსტანციაში ეს გამოსვლები შეფასდა როგორც ნაციონალისტური გამოსდომა, ქართველ ხალხს დაბრალდა ნაციონალიზმი. სხვებთან ერთად ამ მხრივ განსაკუთრებით იაქტიურეს ნ. ხრუშჩოვმა, ვ. მოლოტოვმა და ა. მიქოიანმა, ხოლო ვ. მუჟაფანაძეს დაავალეს რესპუბლიკაში ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება! (ბუაჩიძე 1998: №15)

რაც შეეხება იოსებ სტალინის მოღვაწეობის ეროვნულობას, იგი არასოდეს ყოფილა ვიწრო, ეროვნული, საქართველოს თუ ამიერკავკასიის მასშტაბის მოღვაწე. ზოგადად აღებული იგი საერთაშორისო რანგის რევოლუციური მოღვაწე იყო. მთელი თავისი ენერჯია, ნიჭი და ორგანიზატორული ტალანტი უძღვნა საერთაშორისო და რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას. არაერთგზის პირადი აღიარების თანახმად, იგი რუსი ბოლშევიკი იყო და მშობლიურ ენად რუსულს თვლიდა და აცხადებდა.

რას იცავდა, თუნდაც უნებურად, ქართველი ახალგაზრდობა, როცა მარტის იმ დღეებში ი. სტალინის დასაცავად ქუჩებში და მოედნებზე გამოვიდა?

ცხადია, ხალხი არ შეიძლებოდა გამოსულიყო სტალინისდროინდელი რეპრესიების მომხრედ, ათასობით უდანაშაულო ადამიანთა მოსპობის მომხრედ.

აქ გადახლართულია სულ სხვადასხვა, ერთი შეხედვით შეუთავსებელი, მომენტები და გარემოებანი. თვით ცოცხლად დარჩენილ, ათასობით რეპრესირებულ, შორეულ ჩრდილოეთში, ციმბირში, შუა აზიაში უდანაშაულოდ

გადასახლებულთაც კი სწამდათ, რომ სტალინიმა უბრალოდ „არ იცოდა“ რა ხდებოდა ქვემოთ, რომ იგი შეცდომაში სწორედ მტრებმა შეიყვანეს. სჯეროდათ, რომ სტალინი დიდ ისტორიულ საქმეს იყო შეჭიდებული, პირნათლად ასრულებდა ლენინის ანდერძს და ახალ სამყაროს ქმნიდა.

მაგრამ, შესაძლებელია მარტის ამბებში ეროვნული გრძნობების გამორიცხვა? არადა, არა, ქართველი ხალხი იმ დღეებში მართლაც, რომ ამაცობდა სტალინით, მისი როლით, მისი პიროვნებით, მისი საქმეებით, იმით, რომ სტალინი წარმოშობით მაინც ქართველი იყო.

აი ეს იყო ტრაგედია, ხოლო, ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა და ნაციონალისტური იმ გამოსვლებში არაფერი ყოფილა.

2.3. 1956 წლის მარტის მოვლენების ქრონოლოგია

1956 წლის მარტის ტრაგიკულ მოვლენათა ქრონოლოგია ასეთია:

1956 წლის 3 მარტს, დილის 8:30 წუთზე, დიდმა ქართველმა მსახიობმა სპარტაკ ბაღაშვილმა მიიტანა პირველი გვირგვინი ბელადის ძეგლთან **(მაჭავარიანი 2007:№9)**.

1956 წლის 5 მარტს, შუადღის 12 საათისათვის, სტუდქალაქიდან უნივერსიტეტისაკენ ახალგაზრდების კოლონა ჭავჭავაძის პროსპექტით დაიძრა. ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით: „დიდება დიდ სტალინს“, სტალინის სურათები და გვირგვინი. უნივერსიტეტთან მანიფესტანტებს შეუერთდა სტუდენტთა დიდი ჯგუფი. მოზრდილი კოლონა მედიქიშვილის, ლენინის ქუჩებისა და რუსთაველის პროსპექტის გავლით გაემართა ლენინის მოედნისაკენ. გზადაგზა დემონსტრანტებს უერთდებოდა მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდობა. ლენინის მოედანი დემონსტრანტებით გაივსო. ისინი შეჩერდნენ ქალაქის საბჭოსთან, ხელოვნების მუზეუმთან (სასულიერო სემინარიის ყოფილი შენობა, სადაც სწავლობდა სტალინი) ლოზუნგები ასეთი იყო: „დიდება დიდ სტალინს“, „უარი ვუთხრათ „დახურულ წერილს“, უკან წაიღონ დახურული წერილი“. ხალხი პუშკინის ქუჩისა და კოლმეურნეობის მოედნის გავლით მივიდა სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან და გვირგვინებით შემაკო ძეგლის კვარცხლბეკი. აქ დემონსტრანტები, ძირითადად სტუდენტი ახალგაზრდობა, სტალინის იდეებისადმი ერთგულების ფიცს სდებდა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითს ქალაქის სხვა სასწავლებლის სტუდენტებმა და მოსწავლეებმაც მიბაძეს. 5-8 მარტს თბილისში ფაქტიურად შეწყდა მეცადინეობა. გვირგვინებითა და ლოზუნგებით დარაზმული ახალგაზრდობა მიემართებოდა სტალინის ქანდაკებისაკენ, როგორც მექას შავი კვისაკენ. მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდა. ქალაქში შეძახილებითა და სირენების გამაყრუებელი ხმაურით დაქროდნენ ახალგაზრდები. ცხოვრება პარალიზებული იყო. მომიტინგეები ჯერ „ყოფით“ პრობლემებს უყენებდნენ ქალაქის პარტიულ ხელმძღვანელობასა და ადმინისტრაციას. მაგალითად, ითხოვდნენ სტალინის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიისა და ლენინის მოედნის რადიოფიცირებას, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა **(ჯანელიძე 2009:№42)**.

საყურადღებოა, რომ ღამეც კი, როცა ძეგლთან 1500–2000 სულზე მეტი ადარ რჩებოდა ხოლმე, რადიოქსელის ჩამოგლეჯა არ უცდიათ.

ოფიციალური ცნობებით, 50–60 ათასი კაცი შეიკრიბა. მიტინგები დაიწყო აგრეთვე გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში (**საქართველოს რესპუბლიკა 2006: №48**).

9 მარტს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტობა გამოვიდა ყვაილებით მოწნული არაჩვეულებრივად დიდი გირლიანდით. ხალხის სიმრავლე იმანაც გამოიწვია, რომ დილიდანვე გახდა ცნობილი, რომ მიტინგს პარტიის საოლქო და საქალაქო ხელმძღვანელობა ჩაატარებდა. მართალია, მომიტინგეთა შორის გადაცმული სამართალდამცავებიც კი მრავლად იყვნენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ მოსულა მომიტინგეებთან და არ მოუთხოვიათ ან მიტინგის შეწყვეტა და დაშლა ან რაიმე სხვა სახით გაფრთხილება. აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლებაც სოლიდარობას უცხადებდა მომიტინგეებს სამშობლოს ღირსების დაცვაში. (**მ.ს.დ.ა.ს.ს., პარტიული ფონდი 18^ა, აღწ. 1, საქ. 51, ფურ. 40**)

9 მარტს დილის 11 საათზე ი. ბ. სტალინის ძეგლთან დაიდგა სამთავრობო მიტინგისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი. გაიმართა მიტინგის რადიოფიცირების სისტემა და დაიწყო ი. ბ. სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავისადმი მიძღვნილი ოფიციალური საქალაქო მიტინგი. პრეზიდენტში იდგნენ საქართველოს კპ აჭარის საოლქო და საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები, მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის დავით მამულაძის მეთაურობით. (**ბიბილეიშვილი 2011:22-23**)

ბათუმში მიმდინარე მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა 9 მარტის საღამოს 8 სათზე. თბილისში მიმდინარე მიტინგის დარბევისას დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ბათუმში მიმდინარე მიტინგის მონაწილეებმა მხოლოდ მეორე დღეს დილით შეიტყვეს. (**ბიბილეიშვილი 2011:33**)

იმ დღეებში ხშირად თოვდა, წვიმდა მაგრამ ზღვა ხალხი დაჩოქილი მღეროდა ბელადის საყვარელ სიმღერას – „გაფრინდი, შავო მერცხალო“. ყვაილებით იყო მორთული ქალაქის ცენტრალური – დღეს თავისუფლების მოედანი. იქ შეკრებილ ახალგაზრდებს ხშირად უჩვენებდნენ მხატვრულ ფილმს „ლენინი ოქტომბერში“ – სადაც პროლეტარიატის ორი ბელადი – ლენინი და და სტალინი ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ქალაქის სხვა ადგილებიც (პირველ ყოვლისა, სადგურის მოედანი) ხალხით ივსებოდა, თუმცა სხვაგან, გარდა ზემოხსენებული ორი ადგილისა (სანაპიროზე ძეგლთან და ლენინის მოედანზე), ტრიბუნა არ გაუმართავთ **(ნათაძე 1989: №28)**.

სტალინის სურათის დემონსტრაციაზე გამოტანით დემონსტრანტებმა გამოიყენეს ეშმაკური იარაღი, რუსეთის ისტორიაში ყოფილა მსგავსი სხვა შემთხვევებიც. მაგალითად: 1905 წლის 9 იანვარის კარგად ცნობილ დემონსტრაციას წინ მიუძღოდა ნიკოლოზ II-ის სურათი **(ცომაია 2003: №40)**.

მიტინგით ისარგებლეს უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებმაც და თავიდან მხოლოდ სტალინის ღირსების დამცველ ამ მრავალათასიან თავყრილობაზე უკვე მესამე-მეოთხე დღეს გაჩნდა შემოგდებული მოწოდებებიც. და, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოიკვეთა საერთო აზრი, და განწყობილება, გამოვეყოთ საბჭოთა სახელმწიფოსო.

დემონსტრაციებისა და მანიფესტაციების დღეებში გამოჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო ხელნაწერი ფურცლები. ამას მოჰყვა დაბეჭდილი პროკლამაციებიც, მცირე ფორმატის ბროშურები, თვით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ახალი, არასაბჭოური, გერბიანი ფერადი პროკლამაციები, ფურცლები სოლიდური ტექსტებით, რომელშიც დაგმობილი იყო სკკპ, საბჭოთა მთავრობა. მათი შემდგენელ-გამავრცელებლები ხალხს მოუწოდებდნენ ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის **(ნოზაძე 1992:103)**.

ერთი სიტყვით, დამოუკიდებელ საქართველოზე დაიწყო ლაპარაკი. ეს კი უკვე ის საკითხი იყო, რომელზეც მაშინ ილუზიასაც ვერავინ შექმნიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ინფორმაციის სხვადასხვაობა მიტინგის მონაწილეთა შორის. 1956 წლის მარტის დღეებში სტალინის პიროვნებისა და ქართველი ერის ღირების დასაცავად ქ. ბათუმში გამართული მიტინგის უშუალო მინაწილე იური ბიბილეიშვილი თავის მოგონებებში წერს შემდეგს: „ახლა ხშირად წერენ, რომ თბილისსა და სხვა ქალაქებში გამართულ მიტინგებზე ისმოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნები. მე არ შემიძლია ამის დადასტურება. მაშინ ნამდვილად არ იდგა საბჭოთა კავშირის დაშლის მოთხოვნა. საქართველოს სხვა ქალაქებიდან მიღებული ინფორმაციებიდან ვიცი, რომ ყველგან, სადაც საპროტესტო მიტინგები იმართებოდა, ხალხი მოითხოვდა მოსკოვის მხრიდან საქართველოს მიმართ

ღირსეულ დამოკიდებულებას, პატივისცემით მოპყრობას” (ბიბლიეშიელი 2011:29).

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის ვ. მუავანაძის, ერთი არცთუ რიგითი (როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა) რეაქცია... შესთავაზეს, მომიტინგე ახალგაზრდობას დაეშლით წყლის ჭავლითო, ბრანდსპოიტებითო. რას ამბობთ, დაცივდებიან ბავშვებითო. აი, ასეთი პასუხი მისცა.

6 მარტს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს სხდომა. რა თქმა უნდა, თბილისსა თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში შექმნილ მდგომარეობაზე იყო მსჯელობა. მითითება ერთადერთი იყო, რამენაირად უნდა მიღწეულიყო არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

მაგრამ ისე მოხდა, რომ 7 მარტიდან ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. ერთი შეხედვით, ამის საბაზად იქცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მარშალ ჯუ დეს და მის თანმხლებ პირთა თბილისური ვიზიტი. მომიტინგეებმა შეიტყვეს, რომ საპატიო სტუმრები კრწანისში დააბინავეს და დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს, რომ სწვეოდნენ ჯუ დეს და მიტინგზე სიტყვის წარმოსათქმელად დაეპატიუებინათ

მიტინგის ერთი ნაწილი აიშალა და კრწანისისკენ წავიდა. ეს იყო არა დელეგაცია, არამედ 500-600 კაცი (ნოზაძე 1992:13). რადგან შორს იყო, ქალაქის ავტობუსები გააჩერეს და კრწანისში წაყვანა მოსთხოვეს. ლესელიძის ქუჩაზე დემონსტრაციას გზა გადაუღობა ქუჩის გარდი-გარდმო დაყენებულმა საბარგო მანქანებმა და თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებმა. დემონსტრანტებმა წაართვეს მათ ავტომატები და იქვე მანქანებზე მიუმტვრიეს. კურსანტებს სროლა არ უცდიათ. დემონსტრაცია მივიდა კრწანისში.

დემონსტრანტთა ჯგუფში იყო სტუდენტი კონსტანტინე ციციშვილი. იგი ჯუ დეს მიესალმა, დიდი პატივისცემით მოიკითხა მათ ძე-დუნი და ორივეს ჯანმრთელობა უსურვა. ამასთან, აუწყა, რომ რაკიდა მისი ჩამოსვლა სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის აღნიშვნას დაემთხვა, სთხოვეს საპატიო სტუმარს, მობრძანდეს სტალინის მონუმენტთან გამართულ მიტინგზე და იქ გამოვიდეს სიტყვით.

ჯუ დემ დელეგაციის წევრებს აუხსნა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს ხალხის თხოვნის შესრულებას, მაგრამ თბილისში, მიტინგზე სიამოვნებით გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

ხალხმა დაუჯერა და თბილისისკენ შემობრუნდა. მას თან ახლდნენ მ. გიორგაძე, ჯუ დეს წარმომადგენელი და თარჯიმანი. სანაპიროზე გამართულ მიტინგზე ჯუ დეს წარმომადგენელმა სულ რაღაც ხუთწუთიანი სიტყვა წარმოთქვა. აღნიშნა, რომ ჯუ დე და ჩინეთის მთელი დელეგაცია კმაყოფილები არიან საქართველოში ჩამოსვლით და თავის რეზიდენციაში, კრწანისში დაბრუნდა.

7 თუ 8 მარტს დილით, სტუდენტული (სადაც მოძრაობის ცენტრი იყო) ძეგლისკენ მძლავრი დემონსტრაცია წამოვიდა. უნივერსიტეტის ქუჩაზე მათ რაღაცა განგებით დაეწია წყნეთიდან მომავალი საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის, ვასილ მუავანაძის მანქანა. მანქანამ დემონსტრაციის გარღვევა და გასწრება მოინდომა, იგი არ გაუშვეს, გააჩერეს, მუავანაძე გადმოიყვანეს და აიძულეს დემონსტრაციასთან ერთად, ლოზუნგების „გაუმარჯოს სტალინს“ და ა.შ. ძახილში გამოეგლო ის ხუთასიოდე მეტრი, რაც უნივერსიტეტამდე რჩებოდა (იქ დემონსტრაცია ცოტა ხნით შეჩერდა ძეგლისკენ წასვლამდე). მილიციის გენერალი ჯანჯღავა, რომელიც მუავანაძეს ახლდა და მისი ბედი გაიზიარა, ბრაზით ხორცს იგლეჯდა და თავხედებთან ანგარიშის გასწორებას ითხოვდა, მაგრამ მუავანაძემ აიძულა იგი, უხმოდ გადმოსულიყო მანქანიდან მასთან ერთად და დემონსტრაციაში მასთან ერთად გაეგლო. ეს ფაქტი ცნობილი გახდა მაშინვე და არა შემდეგ, როცა ჯანჯღავა დემონსტრანტთა დახვრეტის ბრძანების გაცემის ერთ-ერთი თანამონაწილე გახდა. (დღეს იგი საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია) **(ნათაძე 1989:№28)**.

9 მარტს დილით 5 საათსა და 30 წუთზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ გაჩერდა სამი თუ ოთხი სატვირთო მანქანა. მათ ახალგაზრდები მოიყვანეს, ზოგიერთი ფეხითაც მოსულიყო. მათ, გამოყვეს 5-6 კაციანი დელეგაცია და წამოაყენეს თავინთი მოთხოვნები, რაც ითვალისწინებდა შემდეგს:

9 მარტს დილით საქართველოს რადიოგადაცემები დაწყებულიყო საქართველოს ჰიმნით. არა მარტო მუსიკით, არამედ ტექსტით, როგორც ეს ადრე იყო, შემდეგ დღის განმავლობაში გადაცემათა პროგრამაში გაეთვალისწინებინათ ქართული სიმღერები, მათ შორის „გაფრინდი შავო მერცხალო“.

ახალგაზრდებს შედგენილი ჰქონდათ დეპეშის ტექსტი სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქის ახალგაზრდობისათვის გასაგზავნად, რითაც მოითხოვდნენ

მხარდაჭერას. ტექსტი მთავრდებოდა სიტყვებით: „გაუმარჯოს ლენინს, სტალინს!”

დილით 6 საათზე რადიომ გადაცემები ისე დაიწყო, როგორც ახალგაზრდების დელეგაციამ მოითხოვა. დღის ბოლომდე კავშირგაბმულობის სახლში სიმშვიდე იყო **(ეცადაშვილი 1989:№114)**.

ამ დღეს სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, დილიდან თავი მოიყარეს თბილისელებმა და რაიონებიდან ჩამოსულებმა, ძირითადად ახალგაზრდობამ. დაახლოებით დღის პირველ საათზე სტალინის ძეგლის კვარცხლბეკთან გამართულ ტრიბუნაზე მოვიდა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ვასილ მჟავანაძის მეთაურობით. მასთან ერთად მოვიდნენ მსახიობები, მათ შორის აკაკი ხორავა, თამარ ჭავჭავაძე, ისინი გამოვიდნენ მოგონებით სტალინზე, წაიკითხეს მისდამი მიძღვნილი ლექსები.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს ემანუელ აფხაიძეს მიტინგზე წარმოთქმული სიტყვა ასე დაუმთავრებია: „დიდო სტალინ, ყრილობაზე შეგადარეს ტო კუდას (იაპონიის კომპარტიის ლიდერი) ერთი წუთით წამოდექი, დაინახავ კტო კუდა”...

კარგად წერდა იმ დროს ერთ-ერთი ინდოელი ჟურნალისტი: „საბჭოთა კავშირში პირველი თავისუფალი დემონსტრაცია გაიმართა იმ ადამიანის სამშობლოში და იმ ადამიანის პატივსაცემად, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე ახშობდა დემონსტრაციებს”.

იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა შესანიშნავი ლექსი „მამავ, ძვირფასო”. მაშინ სტუდენტის, ახლა კი ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯანსუღ ჩარკვიანის გამოსვლა, მან შესძახა, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო. ვაშა, იქუხა ხალხმა, იყო ტაში **(საქართველო 1997:№5)**.

მიტინგზე 818 შეკითხვა, წინადადება, რჩევა, მოთხოვნა იქნა აღრიცხული და ფიქსირებული. მათი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ეხებოდა სოციალურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, ეროვნულ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს. ერთ-ერთ შეკითხვაში ღიად არის მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ასე უღერდა: „შეიძლება თუ არა კონსტიტუციის საფუძველზე, საქართველო გამოეყოს სსრ კავშირს?” იყო მოწოდებებიც თავისუფლების ბრძოლით მოპოვების შესახებ.

ქალაქში სატვირთო მანქანებიც მოძრაობდნენ, რომლებზეც მსახიობები „ლენინს” და „სტალინს” ანსახიერებდნენ. აქა-იქ პოლიტბიუროს წევრების

სურათებიც მოხანდა. იყო ხრუშჩოვის სურათიც, მხოლოდ ის თავდაყირა ეკიდა. (რუსულად) ია ხრუშჩევ! ასეთი წარწერით დარბოდნენ ქალაქში ჩასუქებული ღორები (ურუშაძე 2005:№54).

არც ერთი დაწესებულება, საწარმო, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, სკოლა არ მუშაობდა. მთელი ქართველი ახალგაზრდობა ქუჩაში იყო. წესრიგს ხალხის მიერ გამოყოფილი რაზმელები იცავდნენ (ლურჯი ზორტები ჰქონდათ მკლავზე). ჩამოდოდნენ და ჩამოდოდნენ წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, არავითარი არეულობა არ იყო!

საოცარი ის იყო, რომ არავითარი ხელმძღვანელობა არ არსებობდა, არავითარი ცენტრალური კომიტეტი ან მსგავსი რამ. ყველაფერი მიტინგებზე ხმის მიცემით და ხელის აწევით წყდებოდა. ნამდვილი სასწაული იყო.

მერე, თანდათანობით და საკმაოდ სწრაფად საპროტესტო მიტინგების საერთო წამყვანი თემა გახდა საქართველო და ქვეყნის დამოუკიდებლობა. სულ უფრო ხშირად გაისმოდა „ქართველო ხელი ხმაღს იკარ“ და სხვა ამ ხასიათის სიმღერები! მიტინგებზე სიტყვით გამომსვლელები მსჯელობდნენ იმაზე, ვინ დაუდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას მხარში. ზოგი ჩინეთს იძახდა (ჩინელი კომუნისტები ამ დროს უკვე მაგრად იყვნენ წაკიდებულები რუსებთან) და ზოგი კი ამერიკას (შედარებით ნაკლები).

იმ დღეებში თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე შიკინი – ველიკოდერჟაველი შოვინისტი და ანტისტალინისტი, რომელმაც მარტის მოვლენების ტრაგიკულად განვითარებაში მთავარი როლი შეასრულა. მას თავისი ძველი არმიული ხელქვეითი ვ. მუავანაძე ძლიერი გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ პარტია დართავდა ნებას, პროცესების მიმდინარეობაზე გარკვეული ზემოქმედების მიზნით, სათავეში მოქცეოდნენ ამ საპროტესტო გამოსვლას და ამ წინადადებით რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობას მიმართეს კიდევც.

მაგრამ, ეს წინადადება არ გაითავლისწინა საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რადგან სწორედ შიკინის მოსაზრებამ ითამაშა მთავარი საპირისწონის როლი: შიკინის აზრით – კომკავშირი ანტიპარტიულ და

ანტისამთავრობო გამოსვლებს უჭერდა მხარს და XX ყრილობის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

თამაზ ჯანელიძეს და უშიშროების მინისტრს – ალექსი ინაურს დაეკალა მომიტინგეებთან მოლაპარაკება. მიტინგის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო რუსთავეში მცხოვრები ზაურ მაჭავარიანი (ის 19 მარტს დააპატიმრეს ლექციაზე). ისინი სანაპიროზე ჩავიდნენ და მოელაპარაკნენ ზაურ მაჭავარიანს, რომ 9 მარტს, სტალინის დასაფლავების საათისათვის დანიშნულ სამგლოვიარო მიტინგის დამთავრებისთანავე, მომიტინგეები შეწყვეტდნენ თავიანთ აქციას.

9 მარტს მთავრობის მხრიდან კურსი უკვე მდგომარეობის გამწვავებისკენ იყო აღებული. დღის 10 საათისათვის მიტინგზე მუავანაძე მოვიდა და ნახევარსაათიანი სიტყვა თქვა (დამტვრეული ქართულით). მან ქებით ილაპარაკა სტალინზე და სიტყვის დასასრულს მანიფესტანტებს მოუწოდა, დაშლილიყვნენ.

მუავანაძის გამოსვლით მიტინგის მონაწილეებმა დაიჯერეს, რომ მიტინგი აღიარებული იქნა ხელისუფალთა მიერ და მთავრობამ უკან დაიხია.

მუავანაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა დატოვეს ტრიბუნა, მაგრამ მიკროფონებისათვის ხელი არავის უხლია. სანაპიროზე შეკრებილმა მანიფესტანტებმა თანდათანობით იწყეს დაშლა, დაიცალა თითქმის მთელი მოედანი. ძეგლისწინა ტერიტორია მიატოვეს მილიციელებმაც, რომლებიც წესრიგის დასაცავად იყვნენ მოხმობილნი.

მალე დაშლილმა ხალხმა კვლავ იწყო მობრუნება. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები. მათ გამოსვლებში ისმის სტალინის ქება–დიდება და ხრუშჩოვის კრიტიკა. სადამოსთვის კრიტიკული გამოსვლები უფრო გამწვავდა და მის ლანძღვაში გადავიდა. ტრიბუნებიდან ისმოდა: „გაუმარჯოს სტალინს“, „უკან გაიგზავნოს დახურული წერილი“, „ხრუშჩოვი მიეცავს პასუხისგებაში“, „წავიდეთ არსენალზე და ავიღოთ იარაღი!“, „აქვეა თურქეთი.“

დაახლოებით, დღის 3 საათზე, გორის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სტალინისა და ლენინის შეხვედრის სცენა ტამერფორსში და ზოგმა მაყურებელმა მოსთხოვა მსახიობებს, ერთმანეთს გადაეხვიეთო. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ სცენას მასის ძირითად ნაწილში წარმატება არ ჰქონია.

ამასობაში, საქმეში ჩაერთვნენ სამხედროები – ძირითადად მესაზღვრეები. სულ „კარგით რა, ბიჭებო“ იძახეს, გეყოთ, დაგამთავროთ, დავიშალოთ - ასე დაყვავებით ცდილობდნენ ეგზალტირებული ახალგაზრდების დაშოშმინებას.

განსხვავებით მე-8 პოლკის ჯარისკაცებისაგან – ბავშვთა სახლებისგან აკრეფილი, უსამშობლო, გაბოროტებული ბიჭებისაგან, რომლებიც, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, სასტიკად უსწორდებოდნენ ადამიანებს.

ასეთ სახიფათო ვითარებაში გაისმა პირველი გასროლის ხმა. მის მერე ჰაერში სამხედროებმაც გაისროლეს, ავტომატებიც კი აკაკანდა. დაიშალა კავშირგაბმულობის სასახლის შენობისკენ დაძრული მთელი კოლონა, მაგრამ, სანაპიროზე სტალინის ძეგლთან ისევ 2000 კაცამდე იდგა და იქიდან ფეხსაც არ იცვლიდა.

შიკინმა რომ დაინახა იოლად გაემარჯვეთო, დაჯდა ჯავშანტრანსპორტიორზე და დაუყოვნებლივ ჩააკითხა სანაპიროზე თავშეყრილებს. ახლა უკვე სანაპიროს მთელი ძეგლის ირგვლივი მიდამო მოაქცია ალყაში მე-8 პოლკმა, თუმცა მომიტინგეებმა მაინც სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და არ დაიშალნენ. მაშინ გაიცა ბრძანება: ხალხი დაშალეთო, ბიჭებს ტყვიებით და ხიშტებით გაუმასპინდლენ.

ვიღაც კუთხოვანი სახის ბიჭმა „დუგლას ფერნბექის“ უღვაშით ვიღაცას გასძახა, ნიკოლოზ, მოხსენი ერთი 2000 კაცი და კავშირგაბმულობის სახლისკენ გაუშვი, გავაგებინოთ ერთი ამბავიო. ამ განკარგულების გაცემისთანავე დაიძრა ხალხი კავშირგაბმულობისაკენ. ალექსი ინაურმა მაშინვე დარეკა: შეამოწმა, რამდენად დაცული იყო კავშირგაბმულობის სახლი, მთავრობის სასახლე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, რომ მათში ხალხის შევარდნის ალბათობა გამოერიცხა.

სადამოს 8 საათისთვის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. შეადგინეს მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდებისადმი მიმართვის ტექსტი მხარდაჭერის თხოვნით. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც მიმართვა უნდა გაეგზავნა კავშირგაბმულობის სახლიდან. ისმოდა მუქარა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ხელში აიღებდნენ ფოსტა-ტელეგრაფს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. სანაპიროზე, ჩამწკრივდნენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები (**საარქივო 2010: №9**).

დაახლოებით ცხრის ნახევარზე დემონსტრანტთა ერთი ჯგუფი გაემართა კავშირგაბმულობის სახლისკენ. მათ კარი დაკეტილი დახვდათ. ახალგაზრდებმა, როდესაც ძალით მონინდომეს შესვალა კავშირგაბმულობის სახლში, იქ მყოფმა ჯარისკაცებმა ორი მომიტინგე ხიშტებზე ააგეს. ახალგაზრდებთან ერთად იყო ქუთაისელი გოგონა, რომელიც მთელი დღის

მანძილზე ძლიერ აქტიურობდა. გოგონამ გასისხლიანებული პერანგი გახადა მოკლულ ამხანაგს და ჯორჯიაშვილის ქუჩით დაეშვა სანაპიროსკენ. იგი სტალინის ძეგლთან, ტრიბუნაზე აფრიალებდა გასისხლიანებულ პერანგს და მომიტინგეებს მოუწოდებდა შურისძიებისაკენ. ჯარისკაცებმა ქუთაისელი გოგონა, ნანა აკაკის ასული ჭოლოშვილი ხიშტებზე ააგეს, თუმცა ის არ დაღუპულა (ნოზაძე 1992:226).

გახელებული და გამძვინვარებული ხალხი ჯორჯიაშვილის ქუჩით დაიძრა კავშირგაბმულობის სახლისკენ. აქ, ახლოს მისულებს, სახურავიდან დაუშინეს ტყვიამფრქვევის ჯერი. პროსპექტზე მყოფ ჯარისკაცთა დაწოლით ხალხის ტალღამ უკან დაიხია სანაპიროსკენ. აქ მდგომმა ტანკებმა გასრისა სტალინის ძეგლის წინ მყოფი ხალხი. ტანკებს გადარჩენილი დემონსტრანტები სანაპიროს ჯებირებს მიაწყდნენ, რომელმაც ვერ გაუძლო მოწოლას და ადამიანები მტკვარში გადაცვივდნენ, თითქმის ყველა მათგანი დაიხრჩო.

როდესაც 9 მარტს (ალბათ, 2 საათი იქნებოდა) სროლის ხმა მოგვესმა (იგონებს მჟავანაძის ყოფილი თანაშემწე გ. მელაძე), პირველი მდივნის კაბინეტში შევევარდი, მაგიდაზე დამხობილ მჟავანაძეს ტელეფონი ეკავა ხელში და ბღაოდა – არ ისროლოთ!...

რამდენიმე თვის შემდეგ იგივე მჟავანაძის ხელმოწერით კრემლში ისეთი ინფორმაცია იგზავნება, რის მიხედვითაც ყველა ცოდვა უდანაშაულო მომომტინგეებს აქვთ მიწერილი.

აი, ეს ინფორმაცია: კავშირგაბმულობის სახლთან შეიკრიბა დაახლოებით 2-3 ათასი კაცი. პროვოკატორებმა ადამიანების დიდი ჯგუფი აიძულეს შეჭრილიყო კავშირგაბმულობის სახლში. შენობის ძირა სართულზე ჩაამსხვრიეს ფანჯრები, მოითხოვეს დაცვის მოხსნა, პისტოლეტიდან სროლით დაჭრეს ორი მებრძოლი, გაისმოდა ყვირილი: „მოვკლათ გენერალი გლადკოვი“ (გენერალი შენობას იცავდა) რამდენიმე მებრძოლმა ჰაერში გასაფრთხილებელი სროლა მოახდინა. ერთ-ერთ მებრძოლს ავტომატი წაართვეს, მხოლოდ ამ მომენტში ოცეული იძულებული გახდა იარაღი გამოეყენებინა, რადგან ბრბოს შეჩერებისა და ალაგმვის სხვა გამოსავალი არ იყო ...

იმდროინდელი კაკებეს შეფი ალექსი ინაური კი ასე ამარტივებს საქმეს: „იმ ტრაგიკული საღამოს, მიტინგის ერთ-ერთ მონაწილეს, კავშირგაბმულობის სახლის ხელში ჩაგდების ცდისას, ჯარისკაცისთვის დროშის ტარი

მოუხვედრებია თვალში. ამ ჯარისკაცს ისე, რომ მისთვის ბრძანება არავის არ მიუცია, ავტომატის ჯერი გაუსროლია. ამის გამო ამტყდარა სროლა.

დაჭრილები და დახოცილები საავიაციო ტექნიკუმის პირდაპირ, დღევანდელი ალადაშვილის სახელობის კლინიკის ფოიეში ეყარნენ ტომრებივით.

სულ მალე საავადმყოფოს კარიბჭე დაიხშო თვით ჭირისუფლებისთვისაც კი და თუ ზოგიერთი მათგანი მაინც ახერხებდა ფოიეში შეღწევას, ეს მხოლოდ იქაური ერთი მაღლიანი ექიმის წყალობით. (საქართველოს რესპუბლიკა 2005:№54)

ოფიციალურად 300 მოკლული გამოაცხადეს და არც ერთი მოკლულის დატირების საშუალება არ მისცეს. თვითონ დამარხეს დაბეჭდილი ცინკის კუბოებით მხოლოდ ოჯახის თანდასწრებით (მორგიდან)!

საერთოდ, ისე დაშინებული იყო ხელისუფლება, რომ მერე არც რამე დიდი რეპრესიები და არც დიდი პროპაგანდისტული აუიოტაჟი არ ყოფილა. მიაჩნიათ, ვითომც არ მომხდარა “

1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა და დაჭრილთა ზუსტი რაოდენობა ჯერაც არ არის ცნობილი. შსს-ს საარქივო სამმართველოში დაცული მასალების საფუძველზე ამ სტრუქტურის გამოცემამ „საარქივო მოამბე“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მაშინდელი ოფიციალური მონაცემებით, ჯამში, ოფიციალური ინფორმაციით, სროლის შედეგად, 27 ადამიანი დაიღუპა და 54 დაიჭრა, თუმცა, „საარქივო მოამბე“ და თვითმხილველებიც აცხადებენ, რომ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო და იმ დღეს 70-დან 100 კაცამდე დაიღუპა **(ბერულავა 2011)**.

უშიშროების კომიტეტში არსებული მონაცემებით პირველი შეტევის დროს ცეცხლსასროლი იარაღით დაიღუპა 22 კაცი, შემდეგ მიემატა კიდევ 5 (არსებობს დაღუპულთა სახელობითი სიებიც –დ.ე.), დაიჭრა რამდენიმე ათეული **(გოგუაძე 2007:3)**.

9 და 10 მარტს საბჭოთა არმიის ჯარების ქვედანაყოფების მიერ, რომლებიც ახდენდნენ პატრულირებას ქალაქში წერივის დასამყარებლად, დაკავებულ იქნა 300 კაცამდე. ხოლო შემდეგი 12 დღის განმავლობაში სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ დასაკავებლად წარმოებდა გამოძიება, რის შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიესცეს 39 კაცი:

ა) მიტინგებზე პროვოკაციული, ანტისაბჭოთა გამოსვლების, ასევე ე. წ. მიტინგის “საქმიანი პრეზიდუმის” წევრობისათვის: ვ. გ. კაჭარავა, შ. დ. ბერუაშვილი, ზ. ნ. მაჭავარიანი, ი. ა. კუხიანიძე, ი. ფ. ქინქლაძე, ა. ი. ჟორდანიას;
ბ) საბჭოთა მთავრობის მიმართ შედგენილი პროვოკაციული მოთხოვნების ინიციატორები და მონაწილენი: ვ. ზ. მჭედლიძე, კ. ს. ჩხეიძე, კ. ი. ოსაძე, კ. დ. ციციაშვილი, ა. პ. მირიანაშვილი და სხვები.

1956 წლის სისხლიანი დღეების განმავლობაში სულ დაპატიმრეს 375 კაცი, მათ შორის: სკკპ წევრი – 34, ალკკ წევრი -165, უპარტიო – 142. დახოცილთა და დაზარალებულთა რიცხვი დღემდე უცნობია (**საარქივო 2010: №9**).

მიტინგის მონაწილეთა სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ ძალიან ბევრი სვამდა კითხვას, ვინ გასცა ბრძანება მომიტინგეებისთვის ცეცხლი გაეხსნათ. ამ კითხვას სვამდნენ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგაც, თუმცა, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. რაც შეეხება 9 მარტს, რასაკვირველია, ბრძანებას სსრკ-ს გენმდივნის გვერდის ავლით ვერავენ გასცემდა, ბრძანების გამცემთა სამკუთხედი კი მაშინ ასე გამოიყურებოდა: ხრუშჩოვი (სსრკ გენმდივანი) - ჟუკოვი (თავდაცვის მინისტრი) - ფედიუნინსკი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი).

2.4. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შედეგები

თანამედროვე ისტორიკოსთა შორის დღემდე სადაოდ რჩება საკითხი 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მონაწილე პირთა როლისა და მათი ქმედების შეფასების შესახებ. გაურკვეველობას ქმნის შემდეგი გარემოებანი: ერთი მხრივ საქმე გვაქვს ეროვნული თვითგამორკვევისა და იდენტობის შეგრძნების აშკარა გამოვლინებასთან, მაგრამ ამავე დროს ის მიზეზი, რომელიც დემონსტრანტებმა საბრძოლო ღოზუნგად ააფრიალეს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს სტალინის კულტია. სწორედ, იმ სტალინისა, რომელიც რუსის ჯარით გარშემორტყმულ თბილისთან მდგომ ორჯონიკიძეს სწერდა: „ახლავე შეუტიე, დასტურია. გიბრძანებ, აიღე ქალაქი“...

აღსანიშნავია, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აქციები მიმდინარეობდა არა მარტო უშუალოდ 5-9 მარტის დღეებში, არამედ სისხლიანი ტრაგედიის შემდეგაც, რაც იმის მკაფიო მიმანიშნებელი იყო, რომ ხოცვა-ჟლეტამ ვერ დააშინა ქართველი ხალხი, როგორც ხელისუფლება ვარაუდობდა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სასწრაფოდ შექმნა ამ ფაქტების შემსწავლელი კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა მიხეილ გიორგაძე, ყოველმხრივ სანდო და ღირსეული პიროვნება, ხოლო ცეკადან მის შემადგენლობაში შევიდა ნათელა ვასაძე. კომისიამ დათვალია მსხვერპლი 83 კაცი, თუმცა ეს ციფრი არასოდეს გამოქვეყნებულა.

ტრაგედიის „შესასწავლად“ მოსკოვიდან კომისია გამოგზავნეს, რომელსაც სსრკ-ს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოვსიანიკოვი ხელმძღვანელობდა. მან მოითხოვა, რომ საქსპერტო კომისიის აქტებში ჩაეწერათ, თითქოს ყველა დაღუპულს ტყვია წინიდან ჰქონდა მოხვედრილი. ჩვენი მედპერსონალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოვსიანიკოვის ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. პირიქით, მაშინდელმა მთავარმა ექსპერტმა პროფესორმა გიორგი მათიაშვილმა გაბედულად მოაწერა ხელი დასკვნებს, სადაც ახალგაზრდებს სიკვდილის მიზეზად ზურგში ნასროლი ჭრილობები დაუფიქსირდათ.

მოგვიანებით ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელიც მომიტინგეებში ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა და ამისათვის შეიძლება მკაცრად დასჯილიყო, ქალაქის აქტივზე, სადაც საბჭოეთის ოფიციალურმა პირებმა მეტად მკაცრი შეფასება მისცეს (ქალაქის გარნიზონის

უფროსმა – გლადკოვმა, ოლქის ჯარების სარდალმა ფედიუნინსკიმ და ჩამოსულმა მაღალჩინოსნებმა) მარტის მოვლენებს და ამასთან ერთად ქართველი ერიც გალანძღეს, როგორც ნაციონალისტები და სეპარატისტები, ადგა და პირდაპირ მიმართა მათ: ბატონებო, თუ თქვენ გაივლით ჩვენი ქალაქის ძველ ნაწილში, შეუძლებელია ვერ შეამჩნიოთ, რომ ერთ მტკაველ მიწაზე, რომელიც თბილისის ადრინდელ ცენტრს წარმოადგენდა, თითქმის ერთმანეთის გვერდით დგას სხვადასხვა რწმენის ხალხთა სალოცავები – მეჩეთი, სინაგოგა, მართლმადიდებლური, გრიგორიანული, კათოლიკური ეკლესიები. შეიძლება ერს ეწოდოს ნაციონალისტი, თუ ის სხვა ხალხებს აძლევს ამის საშუალებას? მითხარით, თუ არის სადმე ანალოგი? მისი გამოსვლა იმდენად შთაბეჭდილი იყო, რომ რუსების აგრესია სწრაფად ჩაცხრა.

აპრილის მეორე დეკადაში თბილისში ჩამოსულა „ნიუ იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შვარცი, რომელმაც გამოკითხვით დაადგინა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 160–მდე იყო. ეს რიცხვი არ იქნება სწორი, აღნიშნავს თვითონ შვარცი, ვინაიდან, უამრავი გვამი მტკვარში გადაყარეს, ნაწილი კი ოჯახებმა დამალეს, რადგან რეპრესიების შეეშინდათ. ამიტომ დაღუპულთა რაოდენობის დაზუსტება შეუძლებელიაო **(ურუშაძე 2005: №54)**.

10 მარტს ქალაქი ნაომარს ჰგავდა. ქუჩები სამხედროებით იყო სავსე. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ერთი სიტყვითაც არ არის ასახული საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. ჯანჯღავას ყოველდღიურ საიდუმლო მოხსენებებში, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილისადმი. მოხსენებებში აღნიშნულია, რომ „1956 წლის 6, 7 და 8 მარტს ქ. თბილისში ყურადღების მისაქცევი შემთხვევები დარეგისტრირებული არ არის“ **(ს.უ.ი.ც.ა., ფ. 600, აღ. 18, საქ. 95, გვ. 81,82,83)**.

9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებს მაშინ დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, – მართალია საბჭოთა კავშირის რომელიღაც ქალაქში სტუდენტებიც გამოსულან, საზღვარგარეთიც თითქოსდა შემფოთებულა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო საბჭოთა მანქანის საბრძოლო თუ იდეოლოგიური შეიარაღება, ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა... **(ჯახუა 2007: №44)**.

ქართველი ახალგაზრდების 1956 წლის 9 მარტის გამოსვლა იყო ანტისამთავრობო პროტესტი ეროვნული შეფერილობით. ცენტრმა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია თბილისში შეაფასა, როგორც ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსვლა.

9 მარტის გამოსვლამ თბილისში სტიმული მისცა ტოტალიტარიზმის დაგმობას, ისტორიულ ღირებულებათა გადასინჯვას, ქართველი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებას, რასაც მოჰყვა იმუამინდელი ხელმძღვანელის ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოსადმი. ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით დაშლილ იქნა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის უმძიმეს პერიოდში საგმირო საქმეებით გამორჩეული ქართული საჯარისო შენაერთები. ქართველი გენერლები და ოფიცრები იძულებითი წესით ჩამოაშორეს შეიარაღებულ ძალებს, გადააყენეს.

სხვათა შორის, იმპერიის ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაშიც ზუსტად ჩასწვდა საქმის რეალურ არსს, რაზეც მეტყველებს ხელისუფლების მიერ ამ მოვლენის შემდეგ გატარებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ღონისძიებები: გაუქმდა ნაციონალური სამხედრო შენაერთები (მანამდე საბჭოთა არმიაში იყო ასეთი ნაწილებიც), მოკავშირე რესპუბლიკებში ცკ-ს II მდივნად დაინიშნა რუსი, როგორც მეთვალყურე ერთიანი რუსული იმპერიისა (მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენა სხვა ფორმით შეუძლებელი იყო!) ამავე პერიოდიდან იწყება ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, რათა, საჭიროების შემთხვევაში თუ კი იმპერიის ერთიანობას საფრთხე დაემუქრება, ისინი გამოყენებული იქნან, როგორც სახელმწიფოს პლაცდარმი მოცემულ რეგიონში. ეს, ასე ვთქვათ, ხელისუფლების ის რეაქციაა, რაც უშუალოდ მოჰყვა 1956 წლის მოვლენებს და შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს.

1956 წლის 9 მარტის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა კრემლის კარნახით ყველა საშუალებით ცდილობდა ახალგაზრდობაში ჩაეკლა ეროვნული დამოუკიდებლობის მისწრაფებნი, მაგრამ ეს ბოროტი მიზანდასახულობა ვერ განხორციელდა. მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობის მცირე ჯგუფები კონსპირაციულად ეწეოდნენ ეროვნული იდეალებით ახალგაზრდობის იდეური და ორგანიზაციული დარაზმვის საქმეს.

თავი მესამე

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XX საუკუნის 60-80-იან წლებში

§ 1. პირველი დისიდენტური დაჯგუფებები

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაზე გაზა გაუხსნა ეროვნულ მოძრაობას საბჭოეთის რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში. პროტესტანტმა-პატრიოტებმა სცადეს შეემნათ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, “სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი” და სხვა არალეგალური ორგანიზაციები, რომელთა წამოწყება მალევე აღკვეთა ხელისუფლებამ და მათ შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა შემორჩა.

აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი იყო ორგანიზაცია „საგ“-ი - სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია, რომელიც 1956 წლის 10 ან 11 მარტს შეიქმნა სიღნაღში, კოწო ბეჟაშვილის, ლერი ჯოხარიძის, გივი ყორღანაშვილის, თენგიზ ზურაშვილის, ჯემალ ქიტიაშვილის, ომარ ნატროშვილის და გაიოზ სულხანიშვილის მონაწილეობით. ჯგუფს თბილისში დახოცილი ახალგაზრდების იდეები უნდა გაეგრძელებინა. ეს იყო ახალგაზრდა მოსწავლე პატრიოტთა ჯგუფი, რომელთა მოქმედება ძირითადად ხრუშჩოვის პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ნ. ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლება. ხრუშჩოვის მომხრეებმა სკკპ XXII ყრილობას (1961 წლის ოქტომბერი) მიაღებინეს კომუნისტური პარტიის ახალი, უტოპიური მესამე პროგრამა. იგი 1980 წლისათვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა.

მსოფლიოში კოლონიური სისტემის ინტენსიური რღვევა მიმდინარეობდა. ქართული ეროვნული ძალები ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების ძიებაში იყვნენ. ასეთ ვითარებაში კი პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა 1980 წლისათვის ერების გაქრობას და ერთიანი საბჭოთა ერის ჩამოყალიბებას გეგმავდა (სამსონაძე 2001: 16).

თავიდან ბოლომდე ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ვარაუდობდა სულ რაღაც ოც წელიწადში, ქვეყანაში

ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას, რის საფუძველზედაც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოელს – მოთხოვნილების მიხედვით!“ (ნათმეცნიერ 2004: 295).

ერთი მხრივ დემოკრატიის სუსტი ნიავის, მეორე მხრივ კი ცენტრის მიერ იმპერიაში წაქეზებული აშკარა ანტიქართული, შოვინისტური განწყობილების ფონზე, ქართული ეროვნული სულისკვეთება კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრმა, მისი მიღწევის გზების ძიებამ ერის უკეთესი ნაწილის გონება მოიცვა. მოაზროვნე ქართველთა ცნობიერებაში ეროვნულმა პრობლემამ ყველა სხვა გადაფარა.

საქართველოში ეროვნული მოძრაობის ახალი ეტაპი იწყებოდა.

ეროვნული თავისუფლების სულისკვეთების არსებობას სხვა არალეგალური ორგანიზაციების საქმიანობაც ადასტურებს. ერთი მათგანი იყო 1961-1964 წლებში თბილისში ჩამოყალიბებული „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კავშირი.“ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტივისტი იყო იგორ პატარიძე (კვესელავა 1999ბ:5-6).

1961 წელს რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდებისაგან შეიქმნა ორგანიზაცია, რომლის პირველი წევრები იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ენვერ გელდიაშვილი, ადილარ გუგულაშვილი, ლერი ნოზაძე, ია მალლაკელიძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან დავით კაპანაძე და მუშა-მოსამსახურე გივი ნატრიაშვილი.

კავშირი 1964 წლისათვის 16 წევრს ითვლიდა. მისი პროგრამა რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა და ითვალისწინებდა ბრძოლას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი და ნეიტრალური რესპუბლიკის შესაქმნელად; მომავალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეკონომიკური კონცეფცია ეფუძნებოდა პრინციპს: „ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით, ყველას გამომუშავების მიხედვით.“

თავდაპირველად ორგანიზაციის სახელწოდება იყო: „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორგანიზაცია – ამიერკავკასიის ხალხთა რუსეთის ბორკილებისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლთა კავშირი“, რომელსაც ექნებოდა ფილიალები კავკასიის ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიურ ერთეულში. ორგანიზაციას მოგვიანებით „საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხსნის კავშირი ეწოდა“, რომელიც უშუალო ამოცანად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ ეტაპზე ორგანიზაციის ცალკეული წევრები გაიტაცა ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკამ და საბჭოთა იმპერიის მმართველი ბირთვის ფიზიკური განადგურების აუცილებლობის ღოზუნგმა. მაგ. ეს ჯგუფი გივი ნატრიაშვილის მეთაურობით გეგმავედა ტერორისტულ აქტს ნ. ხრუშჩოვზე, რაც ვერ განხორციელდა 1964 წლის ოქტომბერში “კრემლის გადატრიალების” შედეგად ამ უკანასკნელის თანამდებობიდან გადაყენების გამო.

უკვე 60-იანი წლების დასასრულს თბილისში შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება“ (ვ. ღლონტი და სხვ.). ახალგაზრდა ინტელიგენტთა ეს დაჯგუფება უშიშროების ორგანოების რეპრესიის მსხვერპლი გახდა.

1961 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-40 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო დღესასწაულზე დაგეგმილი იყო ნ. ხრუშჩოვის სტუმრობა საქართველოში. ანტისაბჭოურად განწყობილ პირებს, შინაგანი და საგარეო პოლიტიკის შეცვლის მიზნით, გადაწყვეტილი ჰქონდათ საბჭოთა მეთაურის ლიკვიდაცია. ამ მიზნით შეიქმნა ტერორისტული დაჯგუფება. დაჯგუფების დაარსების ინიციატორი იყო შ. მექვაბიშვილი, რომელიც 1960 წლის ივნისში მიზანმიმართულად დაუკავშირდა ციხეში გაცნობილ ა. მელაძეს და გააცნო თავისი ჩანაფიქრი. საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილით განმსჭვალულ ა. მელაძეს შ. მექვაბიშვილის იდეა ჭკუაში დაუჯდა. მოილაპარაკეს, გაეზარდათ თანამზრახველთა რაოდენობა. თითოეულს 2-3 სანდო პირი მაინც უნდა მოეძებნა. მიზნის მისაღწევად შეარჩიეს ფეთქებადი საშუალება – ბომბი.

ა. მელაძე დაუკავშირდა თავის მეგობარს ა. ბათოშვილს. ისინი შრომა-გასწორების კოლონიაში ერთად იხდიდნენ სასჯელს. იგი დაიყოლია ბოროტმოქმედებაში მონაწილეობაზე. შ. მექვაბიშვილმა ტერაქტის მოწყობის შესახებ განზრახვა გააცნო თავის შორეულ ნათესავს ა. მდინარაძეს, რომელსაც დაევალა ბომბის კორპუსის დამზადება. მათი გეგმის მიხედვით თავდასხმა განხორციელდებოდა ნ. ხრუშჩოვის ქუჩაში მოძრაობის დროს. შეთქმულებმა იმსჯელეს ტერორისტული აქტის ჩადენის შემდეგ მიმალვისა და მომხდარის შესახებ ეთერში გადაცემის საკითხებზე. თითქოს ყველაფერი აწონდაწონეს და დეტალებში გათვალეს, მაგრამ მათი ქმედება, ფაქტობრივად,

საუბარს ვერ გასცდა. ჩანაფიქრის პრაქტიკულად განხორციელება მათ ვერ შეძლეს.

კგბ-ს თანამშრომლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მათი საეჭვო შეხვედრები და შედეგმაც არ დააყოვნა: 1960 წლის 14 დეკემბერს დაპატიმრეს სამი ეჭვმიტანილი: შოთა (ოთარ) ბიქტორის ძე მექვაბიშვილი, ალბერტ (ალეკო) შალვას ძე მელაძე და აბრამ (აბერკი) შაბათის ძე ბათოშვილი. ხოლო, 1961 წლის თებერვალში მათი კიდევ ერთი თანამოაზრე აკაკი პლატონის ძე მდინარაძე. გასამართლების შედეგად შ. მექვაბიშვილს დახვრეტა მიესაჯა, ა. მელაძეს – 15 წელი, ა. ბათოშვილს – 10 წელი, ა. მდინარაძეს – 10 წელი.

მოგვიანებით, მსჯავრდებულთა და მათი დამცველების თხოვნა-საჩივრებისა და პროტესტების შემდეგ, ბრალდებულებს სასჯელის ზომა შეუმცირდათ და ბოლოს გათავისუფლდნენ კიდევ ბრალეულობის გადაკვალიფიცირების გამო, რადგანაც, ფაქტობრივად, შ. მექვაბიშვილის ჯგუფის წევრებს ტერორისტული აქტის ჩასადენად არავითარი დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენიათ და არც იარაღი ან სხვა ფეთქებადი საშუალებები ჰქონდათ შექენილი. ისინი მხოლოდ მსჯელობდნენ, თუ როგორ შეძლებდნენ ტერორისტული აქტის ჩადენას.

1964 წელს თბილისში შეიქმნა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომლის წევრები საიდუმლოდ იკრიბებოდნენ საზოგადოების წევრის დავით ალადაშვილის სახლში, საუბრობდნენ პატრიოტულ საკითხებზე და ავრცელებდნენ პროკლამაციებს. უშიშროებამ წევრები დააპატიმრა და ოთხ მათგანს: დ. ალადაშვილს, ვასილ მარგველაშვილს, გიორგი ახალაიას და ნოდარ მეგრელაძეს მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (**ქ. ც. ა., ფ. 186, აღწ. 1, საქ. 210, ფურც. 22-26**).

60-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში სათავე დაედო ეროვნული პრობლემატიკისადმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ყურადღების გამახვილებას. მეტი გაბედულობით გაისმა სისტემის კრიტიკა, წინა პლანზე წამოიწია ჰუმანიზმი, ზოგადკაცობრიული ღირებულებანი. ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ეტაპის მეკვლედ გამოვიდა სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლის მოთავე და წინამძღოლნი იყვნენ მ. კოსტავა და ზ. გამსახურდია. მათი თაოსნობით შეიქმნა თვითგამოცემანი. მათ არალეგალურ ჟურნალებში („ოქროს საწმისი“. „საქართველოს მოამბე“, „საქართველო“, „მატიანე“) წარმოდგენილი იყო ეროვნული სუვერენიტეტის იდეალები, დაგმობილი იყო კომუნისტური იდეოლოგია, მისი ფუნქციონერები.

ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა ცხადდებოდა ერის მოძღვარ ილია ჭავჭავაძის მიერ XIX ს. 60-იან წლებში წამოწყებული მოძრაობის უშუალო გაგრძელებად. რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მისი უშიშროების ორგანოები დაუნდობლად ებრძოდნენ ამ ახალგაზრდებს. განსაკუთრებით მწვავე რეპრესიები იწვნის მ. კოსტავამ და ზ. გამსახურდიამ, რომლებიც 70-იან წლებში არაერთხელ იყვნენ დაპატიმრებულნი და სასჯელს იხდიდნენ შორეულ საპატიმროებსა და გადასახლებაში (სურგულაძე 1990: 301).

60-იანი წლების დასაწყისში აშკარა გახდა, რომ ნ. ხრუშჩოვის ინიციატივით 50-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული რეორგანიზაციები არაეფექტური იყო.

ეკონომიკური რეფორმების ჩაშლამ და საგარეო ურთიერთობაში წარუმატებლობამ, საბოლოოდ შეარყია ხრუშჩოვის პოზიციები. 1964 წლის 14 ოქტომბერს, ფორმალურად საკუთარი თხოვნით, იგი თანამდებობიდან გადააყენეს. მისი ადგილი ლ. ბრეჟნევმა დაიკავა. „დათბობის“ პერიოდი „უძრაობის“ პერიოდით შეიცვალა. ახალმა ხელმძღვანელობამ თანდათან გააუქმა ნ. ხრუშჩოვის წამოწყებები და სიახლეები და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა კომუნიზმის ნათელი მომავლის რწმენისა და ქვეყანაში გლობალური შიშის სინდრომის დაბრუნება. ახალმა ვითარებამ და ასპარეზზე ახალი თაობის გამოსვლამ კომუნისტური ფასეულობებისადმი მასობრივი ნიჰილიზმი განაპირობა. სისტემის კრიზისის მაჩვენებელი კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის აშკარა დაცემა იყო, რამაც ხელისუფლება აიძულა მისი მმართველი პრეროგატივა კონსტიტუციურად დაეკანონებინა.

70-იანი წლებში აშკარად გამოიკვეთა, რომ კომუნისტური მმართველობის სტილი არ შეესაბამებოდა ცხოვრების მოთხოვნებს. ცენტრალიზებულმა მართვის სისტემამ, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ბელადების თეორიულ წარმოდგენებზე იყო დამოკიდებული, აზრი დაკარგა. სოციალიზმს ჩამოცილდა შემოქმედებითი სულისკვეთება და დოგმატიზმის ჭაობში ჩაეფლო. „ჩვენს მაგივრად ბელადები ფიქრობენ“, „უნდა შევათანხმოთ, ყველაფერი ჩვენზე როდია დამოკიდებული“, „ჩვენ ხელქვეითები ვართ, გადაწყვეტა ჩვენი საქმე არ არის“... ამ და სხვა ამდაგვარი აზრის საფუძველზე მიმდინარეობდა მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბება წლების განმავლობაში

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. საშემსრულებლო საწყისი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნება.

დამკვიდრდა უზადო შემსრულებლის სინდრომი; ხელმძღვანელებს, რომელთაც არ სურდათ მიეღოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, თავის ამ ნაბიჯს უსუსრობით კი არ ხსნიდნენ, არამედ მაღალი პასუხისმგებლობით, დისციპლინით, რომელიც იცავდა ადამიანს და საზოგადოებას შეცდომებისაგან. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო ზღვარის გავლება შემსრულებლობასა და დემაგოგიას შორის. არ იყო გამართლებული პასუხისმგებლობის პირწმინდად პოლიტიკურ კატეგორიად მონათვლა. ამ ფონზე პროფესიონალიზმისათვის შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება მაშინ, როდესაც წინ წამოიწია „კარგი ორგანიზატორის“ გაგებამ და მისი ავტორიტეტის წინაშე პროფესიულმა ავტორიტეტმა უკანა პლანზე გადაიწია.

აქცენტების აღრევა მოხდა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, ადმინისტრაციულ თუ სხვა სფეროებში. სწორედ კადრების ასეთი შერჩევის და განაწილების პირობებში, პროფესიონალიზმის ორგანიზატორული მხარეებით შეცვლამ დაარღვია მართვის დემოკრატიული საწყისები, დაბადა უფროსის განსაკუთრებული ტიპი, რომელმაც საერთო ჯამში ძლიერ შეაფერხა პოლიტიკური, სამეურნეო-ეკონომიკური და იდეოლოგიური მუშაობა რესპუბლიკაში. ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობამ ნებისმიერი პირობები გადააქცია ექსტრემალურ, კრიტიკულ პირობებად. ნორმალური მუშაობა გადაიქცა წვალებად, იერიშად, ბრძოლად გეგმისათვის, მოსავლისათვის, შრომისსაყოფიერებისათვის.

ოფიციალური სტატისტიკით, 70–იანი წლების მეორე ნახევარი და 80–იანი წლების დასაწყისი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის პერიოდი იყო, რის გამოც საქართველო მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში და პერმანენტულად იღებდა გარდამავალ წითელ დროშას. მოწინავე ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ეროვნული ბრძოლა არ შეუწყვეტია. ქვეყანაში გამეფებული უმკაცრესი ტერორის ვითარებაში, მისი მთავარი საზრუნავი ერის მატერიალურ-კულტურულ ღირებულებათა გადარჩენა, დაცვა იყო. ამასთან ერთად, მეცნიერულ თუ მხატვრულ შემოქმედებაში იგი მეთოდურად აღვივებდა ეროვნულ თვითშეგნებას, ნერგავდა ეროვნული სიამაყის გრძნობას, ამადლებდა ეროვნულ სულს, ავითარებდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას...

მომდევნო ხანაში ეს ხაზი გრძელდებოდა და ახალ სიმაღლეზე ადიოდა. ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა, მასში ეროვნული სიამაყის გრძნობის განმტკიცება, მორალური და სულიერი გაჯანსაღება, იმპერიის რეჟიმის მანკიერებათა მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ნიადაგის მომზადება შეადგენდა XX საუკუნის II ნახევრის ქართული ინტელიგენციის მოღვაწეობის მთავარ მიზანს (**სამსონაძე 2001: 18**).

1970-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ანტისაბჭოთა ჯგუფი, რომლებიც სტუდენტებში ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას.

ქუთაისში 1972-1973 წლებში მოქმედებდა ანტისაბჭოთა ჯგუფი, რომლის წევრები ფილოლოგები ვახტანგ ნადარაია, სიმონ ამაღლობელი, ექიმი კახა მენტემაშვილი და ისტორიკოსი მერაბ ლორთქიფანიძე ავრცელებდნენ ანტისაბჭოთა მოწოდებებს მოსახლეობაში და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას. მასალებიდან როგორც ირკვევა, ისინი ქუთაისში ვახტანგ ნადარაიას ბინაში შეხვდნენ ინგლისელ და ამერიკელ ჟურნალისტებს მაიკლ სანდერსს და პიტერ კლარკს და გადასცეს ანტისაბჭოთა ხასიათის მასალები. ამ ჯგუფს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებაში ყავდათ თანამზრახველები. ისინი დააპატიმრეს და სხვადასხვა ვადით მიუსაჯეს პატიმრობა.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ-ლატენტური ფაზის ერთი ნიშანდობლივი ფურცელია დისიდენტ ვლადიმერ ჟვანიას მიერ მოწეობილი ტერორისტული აქტები სოხუმსა და თბილისში 1975-1976 წლებში. საბჭოთა სივრცეში ეს იყო დაუჯერებელი, წარმოუდგენელი ფაქტი. მსგავსი რამ კონტრრევოლუციურ ეპოქასაც არ ახსოვს. პირველად, 1975 წლის 22 ივნისს, 10:50 სთ-ზე, სოხუმში, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობის მთავარი ფასადის მარცხნივ, ენგელსის ქუჩის მხრიდან, გაისმა აფეთქების გამაყრუებელი ხმა. იყო მსხვერპლიც - დაიღუპა დამსვენებელი, ლენინგრადელი სერგეი ლევიტინი. რამდენიმე თვის შემდეგ, 1976 წლის 12 აპრილს, 17:05 სთ-ზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის ფასადთან, იმავე ხელწერით, კვლავ მოხდა აფეთქება. ოთხი დღის შემდეგ კი, 14 აპრილს, 10:12 სთ-ზე, აფეთქების ხმა გაისმა ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის ცენტრალურ ბაღში. მთელი ტრაგედია ის იყო, რომ უძლეველი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების აპარატი უძღური აღმოჩნდა, დანაშაული გაეხსნა.

საკავშირო უშიშროების კომიტეტი უკმაყოფილო იყო საქართველოში საგამოძიებო კომისიის მუშაობით და მკაცრ დირექტივებს იძლეოდა. საქმის გახსნას პირი არ უჩანდა. მოსკოვიდან მოსული ექსპერტიზების დასკვნებით აფეთქების ადგილებზე ნაპოვნი ასაფეთქებელი მოწყობილობები კუსტარულად იყო დამზადებული, ამფეთქებელის შესაძლო პროფესიები გამნადმველი, სეისმოლოგი, სამთო მომწყობი ან ფიზიკოსი უნდა ყოფილიყო. გადამოწმდა ყველა შესაძლო ვერსია და საეჭვო პირთა კარტოთეკა, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანდა. საგამოძიებო ჯგუფი მხოლოდ ერთადერთ ღირებულ ინფორმაციას ფლობდა: სამივე შემთხვევის დროს, თვითმხილველთა ჩვენებებით, დივერსიული აქტის ჩამდენი გამხდარი, საშუალოზე მაღალი, მარჯვნივ თმაგადაგარცხილი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. ...მაგრამ ვინ იყო და რატომ აფეთქებდა სახელმწიფო ობიექტებს - გაურკვეველი რჩებოდა. სამართალდამცავი და სახელისუფლებო ორგანოები პანიკამ მოიცვა. აფეთქებების საქმე გაუხსნელ საქმედ მიიჩნიეს და საქმის შეწყვეტასაც კი ფიქრობდნენ...

ბოლო აფეთქებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელზე შემოვიდა 1976 წლის 19 აპრილით დათარიღებული "საქართველოს განმათავისუფლებელი ფრონტის" მიმართვა, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ეროვნულ დეკლარაციას დამოუკიდებლობის მიღწევის საკმაოდ ორიგინალური ვარიანტით – საბჭოთა კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში რეფერენდუმის მოწყობის გზით. დეკლარაციის პრეამბულა განმარტავს 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტებს და ხაზს უსვამს იმას, რომ “ფრონტის” მთავარი მიზანია საქართველოს სსრკ-დან გამოყოფა და სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. შემდგომ დეკლარაცია მოითხოვს დამოუკიდებლობის საკითხზე საერთო-ეროვნული რეფერენდუმის მოწყობას (1976წ. ბოლო თვეებში), “ფრონტისათვის” წინასარეფერენდუმო კამპანიაში სრულფასოვანი მონაწილეობის უფლებას. თუ რეფერენდუმის მონაწილეთა 70%-ზე მეტი ხმას მისცემს სსრკ-დან გამოყოფას, მაშინ უნდა მოიწვიონ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია და მან უნდა დაადგინოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება; ქვეყნიდან რუსეთის ჯარის გაყვანა; საქართველო ნეიტრალიტეტის აღიარება; დემოკრატიული პარტიის

ცნობა; საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დაუყოვნებლივ დანიშვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიკაციებისა და მაღალი ძაბვის ანძების აფეთქებით იმუქრებოდა. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აპარატი შოკში ჩავარდა. ყველა ქალაქში საგანგებო კონტროლი დაწესდა. 1976 წლის 11 მაისს "ბათუმის სურსათვაჭრობის" დირექტორს წერილი მოუვიდა. იგი მეტად უცნაურად იწყებოდა და ავტორი ნაციონალური ფრონტის სახელით 1000 მანეთს ითხოვდა. წერილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მოხვდა... ორივე ზემოაღნიშნული წერილის ხელწერა ემთხვეოდა.

14 მაისს, 11:00 სთ-ზე, "ბათუმის სურსათვაჭრობის" დირექტორის კაბინეტში გამოცხადდა "გამხდარი, საშუალოზე მაღალი მამაკაცი...". ორგანოს მუშაკები დირექტორის კაბინეტიდან გამოსულ "გამხდარ, საშუალოზე მაღალ მამაკაცს..." იქვე ახლოს, ავტობუსის "საზღვაო ვაგზის" გაჩერებაზე წამოეწივნენ და საბუთები მოსთხოვეს. უცნობმა პასპორტი გაუწოდა. პასპორტი ეკუთვნოდა ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანიას. მას თან აღმოაჩნდა: პატიმრობიდან გათავისუფლების ცნობა, 17 ცალი კაფსული დეტონატორი, წერილები, ბარათში ჩადებული 300 მანეთი და კიდევ 4 მან. და 50 კაპ.. იმავე დღეს ბათუმის რკინიგზის შემნახველ საკანში დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებები იქნა ნაპოვნი... მისი დაკავება აფეთქებების საქმის გახსნას არ ნიშნავდა. გამომძიებლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამფეთქებელი და ორგანიზატორი საკმაოდ დიდი და ორგანიზებული ჯგუფის წევრები იქნებოდნენ. გამოძიებას დაკავებული ჰყავდა მარტოხელა, უსახლკარო, გამხდარი უსინათლო, რომლის მხედველობა -14 იყო. მისთვის ბრალის დადება დაუჯერებელი იყო. ეჭვიმტანილმა უარყო აფეთქებათა ციკლში მონაწილეობა... ასაფეთქებელი ნივთიერებების საჭიროება თევზაობის სიყვარულით ახსნა.

დაკითხვებზე, გამომძიებელ ა. მირიანაშვილის პროფესიონალიზმისა და მიზანმიმართული მიდგომის შედეგად, ვლ. ჟვანია გატყდა. მან დრო ითხოვა, რათა გულწრფელად ეღიარებინა ყველაფერი... მართლაც, ვლადიმერ ჟვანიამ 1976 წლის 23 მაისს 30 გვერდიანი განცხადებით მიმართა გამოძიებას, რომელშიც ავტორი აცხადებდა, რომ მან ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახა ბატონ ა. მირიანაშვილის დახმარებით და მთლიანად მიენდო მას. ეჭვიმტანილი სთხოვდა გამოძიებას, სწორად აღექვათ მისი ქმედებები და არ გამოეყვანათ იგი "ხულიგნად, ბოროტად ან გიჟად". იგი აღიარებდა, დანაშაულს ჩადიოდა და

დამნაშავედ იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ იბრძოდა ბოლშევიკური რუსეთის კლანჭებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის.

გამოძიება ინტენსიურად გრძელდებოდა. ჩატარდა არაერთი საგამოძიებო ექსპერიმენტი, დაზუსტდა ეჭვიმტანილის ბიოგრაფიული მონაცემები, გაანალიზდა მისი განვლილი ცხოვრების გზა. გაირკვა, რომ 1935 წელს ქ. ქუთაისში დაბადებული ვლ. ჟვანიას მამა 1938 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი იყო. ის კი, მე-9 კლასელი, სკოლიდან გარიცხეს თამაშის დროს საკლასო ოთახში კედლებიდან ბელადთა შემთხვევით ჩამოყრილი სურათების გამო. 18 წლის იყო საზღვრის გადაკვეთა პირველად რომ სცადა. მერე ცუდ ამინდში სწრაფმავალი კატარდა „გლისერით“ უნდოდა თურქეთში გადასვლა. შეამჩნიეს, ესროლეს, უკან მობრუნდა და მიიმალა. საბჭოთა კავშირიდან ვლ. ჟვანიას გაქცევის მცდელობა ჭოროხზე გადასვლით 1955 წლის 6 დეკემბერს საბედიწეროდ დასულდა. სასაზღვრო პატრულმა ის საგუშმაგოზე დააკავა და 3 წელი მიუსაჯეს. გათავისუფლების შემდეგ იწყება ვლ. ჟვანიას აფეთქებების სერია...

საბოლოოდ დადგინდა, რომ ვლ. ჟვანია მეტად უცნაური დამნაშავე იყო. მისი ქმედებები არ ჯდებოდა კლასიკური დამნაშავის ჩარჩოებში. იგი თავიდან ბოლომდე მარტო მოქმედებდა და იმისი დაჯერება, რომ საბჭოთა იმპერია ვლ. ჟვანიას მიერ ერთი ხელისმოსმით გახდა უსუსური, შეუძლებელი იყო. ასევე წარმოუდგენელი იყო ასეთი მასშტაბის აფეთქებები ერთსა და იმავე პიროვნებას მარტოს შეესრულებინა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა. ეჭვიმტანილის ვარაუდმა კი - აფეთქებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება მოჰყოლოდა - ფიასკო განიცადა. სამაგიეროდ, შეიკერა 15 ტომისაგან შემდგარი სისხლის სამართლის საქმე 118. 1997 წლის 17 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე ბრალდებული სიტყვით გამოვიდა, მაგრამ მისი გულწრფელი აღიარება, ისევე როგორც სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, სასამართლო განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-304 მუხლებით ვლ. ჟვანიას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა... 1977 წლის 7 თებერვალს გახეთ "კომუნისტის" ბოლო გვერდზე "საქინფორმმა" გამოაქვეყნა შეტყობინება "დამნაშავე დაისაჯა", რომელშიც მოკლედ იუწყებოდნენ ვლ. ჟვანიას ბრალეულობას და მის მიმართ დამდგარ განაჩენს,

რომელსაც "სხდომათა დარბაზში მყოფნი კმაყოფილები შეხედნენ" (ქ. ც. ა, ფ. 186, აღწ. 1, საქ. 210, ფურც. 22-26).

საქართველოში ასევე აღმოცენდა რადიკალური ეროვნული მოძრაობაც. მეორე მიმდინარეობას რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, რომლებიც ვერ ითვალისწინებდნენ საბჭოური წარსულის გამოცდილებას და თვლიდნენ, რომ შეუპოვარი ბრძოლით დაასუსტებდნენ რუსეთის იმპერიას, შემდეგ კი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით, ჩაგრულ ხალხებთან კავშირში, შეძლებდნენ მწავრელის უღლისაგან თავის დაღწევას. ეს გზა მეტად სარისკო და ამბიციური იყო. ბუნებრივად მიმდინარე პროცესების რამდენადმე დაჩქარების მოტივით, იგი საფრთხეში აგდებდა ათასობით პატრიოტის სიცოცხლეს. მაგრამ მისი მიმდევრები ხშირად, უკომპრომისო, თავგანწირული მოქმედებით, მასების სიმპატიას იხვეჭდნენ და წამებულის გვირგვინებითაც იმოსებოდნენ. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ რადიკალური მიმართულების მომხრეები არავითარ სხვა გზას, ალიანსს, ინტეგრაციას არ სცნობდნენ. არა თუ რაიმე თანამშრომლობაზე არ თანხმდებოდნენ, არამედ განსხვავებული აზრის მქონეთ დაუნდობლად ნათლავდნენ ეროვნული მოძრაობის მტრებად, კრემლის აგენტებად და ა.შ.

§ 2. ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ჯგუფები

1956 წლის 9 მარტის ამბებით გაღიზიანებული ზვიად გამსახურდიას ყოფილი არალეგალური ჯგუფის წევრები კვლავ შეიკრიბნენ. სექტემბერ-ოქტომბერში ჯგუფს უკვე ორგანიზებული სახე ჰქონდა და წევრთა რაოდენობაც გაზრდილი იყო. ორგანიზაციას “გორგასლიანი” ეწოდა. მათ შექმნეს ფულადი ფონდი საწევროს სახით. შეაგროვეს 30-30 მანეთი და შეიძინეს საბეჭდი მანქანა, რომელზედაც 1956 წლის 1 დეკემბრის ღამეს შვიდი ანტისაბჭოური შინაარსის წერილი დაბეჭდეს. 2 დეკემბერს, დილით, რუსთაველისა და პლესანოვის გამზირზე ადამიანებმა უცნაური შინაარსის წერილები იხილეს კედლებზე გაკრული, ჯგუფის წევრებმა საბჭოთა რეჟიმის მიმართ პროტესტი პროკლამაციების გავრცელებით გამოხატეს.

მისია წარმატებით დასრულდებოდა, რომ არა ერთი ინციდენტი. ჯგუფის წევრები წარმატების აღსანიშნავად რესტორან “ღარიალში” შეიკრიბნენ, საღამოს კი რუსთაველის გამზირზე გ. დოჩანაშვილსა და თ. მეტრეველს ჩხუბი მოუვიდათ, რის შედეგადაც დოჩანაშვილი ზურგში მძიმედ დაიჭრა.

1956 წლის 15 დეკემბერს კი უშიშროების კომიტეტმა დააკავა ანტისაბჭოთა არალეგალური ჯგუფის წევრები: ზვიად გამსახურდია, თბილისის 42-ე საშ. სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; ანატოლი მიქაძე, 42-ე საშ. სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; მერაბ კოსტავა, თბილისის მუსიკალური სკოლის მეათე კლასის მოსწავლე; თეიმურაზ ცერცვაძე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თამაზ გუნჯუა, თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე; ვლადიმერ სიხარულიძე, პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე; თემურ მეტრეველი, თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

1956 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გრიფით “სრულიად საიდუმლო” წერილი მოსკოვში გაიგზავნა, რომლის ადრესატი გახლდათ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი, იუსტიციის გენერალ-მაიორი მ. პ. მალიაროვი. წერილი იუწყებოდა, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში განვითარებული მოვლენების შემდეგ უკმაყოფილო ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა არალეგალური ფორმირება შექმნა, რომლის მიზანი საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო საქმიანობა იყო. ჯგუფის წევრები

ნაციონალისტურად იყვნენ განწყობილი, ამჟღავნებდნენ რუსი ეროვნების მიმართ აგრესიას და მართავდნენ ქუჩებში დებოშს. ფაქტად, ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის დროს მძიმედ დაიჭრილ ჯგუფის წევრ გ. დონანაშვილის შესახებ და დანარჩენების დააპატიმრებაზე მიუთითებდნენ. დაიწყო გამოძიება, რათა სრულად გამოვლენილიყო ამ დაჯგუფების საქმიანობა, შემადგენლობა და მათი მოკავშირეები მართლაც, “გორგასლიანის” წევრები დაიკითხნენ, გასამართლდნენ კიდევ, მაგრამ საბოლოოდ ისინი მაინც საკუთარი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ. რადიკალურად განწყობილი ეს ახალგაზრდები საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხდება ქართველი დისიდენტების ორგანიზაციული შეკავშირება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელთან არის დაკავშირებული (კვესელავა 1999ბ :7).

70-იან წლებში მსოფლიოში, ასევე, თითქმის დასრულდა დეკოლონიზაციის გლობალური პროცესიც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს ეგიდით აზიის, ამერიკის, აფრიკის კონტინენტებზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პროცესი თავის ლოგიკურ დაგვირგვინებას ელოდა და მოსკოვის განუსაზღვრელ დიქტატურაზე მთლიანად დამოკიდებული (მოკავშირე რესპუბლიკების) და ნახევრად დამოკიდებული (სოციალისტური ბანაკის) ქვეყნების ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში იმედებს აღძრავდა, რომ უკვე შორს არ იყო სანუკვარი თავისუფლება.

70-იანი წლების მეორე ნახევარში აშკარად შესამჩნევი გახდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ჩამორჩენა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით. ძვირად უჯდებოდა საბჭოთა ქვეყანას „ზესახელმწიფოს“ პოლიტიკური იმიჯი. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მოსკოვისადმი ლოიალურად განწყობილი რეჟიმების (ლიბია, ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა და სხვები) მხარდაჭერა, მატერიალური და, რაც მთავარია, სამხედრო დახმარება.

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობდნენ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემდგომი ექსპანსიის შეჩერებასა და ტერორისტების მფარველი დიქტატორული რეჟიმებისათვის მხარდაჭერისა და დახმარების შეწყვეტას.

ამ მიზნით შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მიზნად დაისახა შემაჯამებელი დოკუმენტის შემუშავება. 1973–1975

წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკება ევროპისა და ჩრდ. ამერიკის სახელმწიფოებს შორის. 1975 წლის 1 აგვისტოს, ჰელსინკში, კონგრესების სასახლეში ხელი მოაწერეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის დასკვნით აქტს“, რომელიც აღირებად ომის შემდგომი სახელმწიფო საზღვრების ურღვეობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მოთხოვნების უპირობო აღიარებას, შესრულებას, ინფორმაციის გაცვლას და ა.შ. (ნათმეცნიერული 2004:323 – 324).

ჰელსინკში ხელმოწერილ დოკუმენტს, შეიძლება ითქვას მეტად არც კი შეშრობოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში, მოსკოვსა და ლენინგრადში შეიქმნა ჰელსინკის კავშირი. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები იმდენად ყოველმხრივად თემაა, რომ, როგორც ცალკეულ პიროვნებათა პრობლემებზე საუბრის, ასევე ზოგადად ეროვნული პრობლემების განხილვისა და გააზრების საშუალებას იძლევა.

70-იანი წლების ბოლოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების მიუხედავად, სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია ახალი დისიდენტური ტალღა, რომელიც თავისი გეოგრაფიული არეალითაც და რაოდენობრივადაც უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე 60-იან წლებში.

ჰელსინკის კავშირი იმპერიის ცენტრსა და განაპირა რეგიონებში როგორც ორგანიზაციული ფორმით, ასევე მუშაობის სტილით და პრობლემატიკით ერთი შეხედვით თითქოს არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ საბოლოო მიზანი აშკარად სხვადასხვა იყო.

ქართული დისიდენტური მოძრაობის მთლიანად გამოყოფა სსრკ-ში მოქმედი სხვა ანალოგიური ჯგუფისაგან და მისი ცალკეული განხილვა, განსაკუთრებით 70-იანი წლების შუა პერიოდში, ვფიქრობ, სწორი არ იქნება.

ობიექტური მიზეზების გამო, მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი ჰელსინკის კავშირის წევრები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საშუალებას დაკავშირებოდნენ დასავლეთის საინფორმაციო და პოლიტიკურ წრეებს. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტებს მხოლოდ მოსკოვში ჰქონდათ შედარებით თავისუფალი გადაადგილების საშუალება. კვბ-ს აგენტურის თვალთვალი არც იქ აკლდათ,

მაგრამ მოსკოვს გარეთ გასვლისთვის სპეციალური ნებართვა სჭირდებოდათ. გარდა ამისა საბჭოთა კავშირში არალეგალური ლიტერატურის შემოტანა მოსკოვში ხერხდებოდა და შემდგომ ხდებოდა მისი განაწილება. ყოველივეს ისიც ემატებოდა, რომ, როგორც, უკვე ავლნიშნეთ, დისიდენტური მოძრაობის საწყის ეტაპზე პრობლემატიკა იდენტური იყო, რაც, როგორც, ქვეყნის შიგნით რუს დისიდენტებში, ასევე ქვეყნის გარეთ, დასავლეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცენტრებში, ქმნიდა დისიდენტური მოძრაობის ერთიანობის და აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი ქვეყნის აღქმის ილუზიას. გამონაკლისს მხოლოდ ბალტიისპირა ქვეყნები წარმოადგენდა და ისიც ნაწილობრივ.

დასავლეთი პირველ ეტაპზე მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემათა გადაჭრითა და ამ ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებით დაკმაყოფილდა **(ძაბირაძე 2007:26)**. მათი მხრიდან ბალტიისპირა რესპუბლიკების საკითხის წამოჭრა საბჭოთა ქვეყნის ლიდერებთან უფრო დიპლომატიური პაექრობის პროცესში „დასათმობად“ გამიზნულ პაკეტს ჰგავდა, ვიდრე პრინციპულ პოზიციას. საბჭოთა იმპერიის ასეთ სწრაფ რღვევას ისინი, ეტყობა, ყველაზე რადიკალურ თეორიულ ვერსიებშიც კი არ იხილავდნენ, ამიტომ, როცა პროცესი დაიწყო, დასავლეთი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახლადშექმნილი პოლიტიკური რეალობის წინაშე და იმასაც კი შეეცადა, როგორმე შეეჩერებინა ეს პროცესი (გარეგნულად მაინც – გავისხენოთ პრეზიდენტ ბუშის განცხადება კიევში, რომ საბჭოთა კავშირი ერთიანი სახელმწიფოა).

სწორედ ამიტომ, თუ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შედარებით იოლად გადაიტანეს გარდამავალი პერიოდი, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებში ეს პროცესი გაცილებით გაჭიანურებული და მტკივნეული იყო, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ დასავლეთმა ამ ქვეყნებისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრა, პოლიტიკური კურსის შემუშავება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

სსრკ–მ და მისმა სატელიტებმა ევროპაში, მართალია ხელი მოაწერეს ამ დასკვნით აქტს, მაგრამ არც კი უცდიათ მისი პრინციპების რეალიზება, განსაკუთრებით კი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების დამკვიდრება. მაგრამ საბჭოთა კავშირში უკვე

არსებობდა ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. მათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შექმნეს ანტისაბჭოთა პოზიციებზე მდგომი არალეგალური ჯგუფები.

1974 წელს ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ და ვიქტორ რცხილაძემ დაარსეს „ადამიანის უფლებათა დამცველი საინიციატივო ჯგუფი საქართველოში“. მას შემდეგ, რაც 1976 წლის 12 მაისს, მოსკოვში ჩამოყალიბდა „ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი“, ხსენებული ქართული ჯგუფი მოგვიანებით „ჰელსინკის ჯგუფად“ გადაკეთდა, ისევე, როგორც ეს მოხდა უკრაინაში და სხვაგან (**გამსახურდია 1990:№7**).

1975 წლის მაისში გამოვიდა ჟურნალ „ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი, რომლის გამოცემაც გაგრძელდა 1976 წელს. სულ გამოვიდა 4 ნომერი – ორი 1975, ორიც – 1976 წელს. მასში იბეჭდებოდა კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები: ივ. ჯავახიშვილის „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სტატიები და ლექსები, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა – „მტრების მეგობრობა“. აქვე იბეჭდებოდა საბჭოთა გამოცემების მიერ უგულვებელყოფილი მწერლებისა და პოეტების – გაბრიელ ჯაბაშნაურის, ადამ ბობღიაშვილის, ოთარ მაისურაძის, შოთა ჩანტლაძის, ასევე ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ლადო ასათიანის და სხვათა გამოუქვეყნებელი და უცნობი ნაწარმოებები. (**ოქროპირიძე 2010:117**)

1975-1976 წლებში ამ ჯგუფმა გამოუშვა ორი ნომერი პოლიტიკური ჟურნალისა „საქართველოს მოამბე“.

დღეს საქართველოში „ჰელსინკის ჯგუფს“ ბევრი „ჰელსინკის კავშირში“ ურევს. საქმე ის არის, რომ ეს უკანასკნელი ზ. ამსახურდიამ შექმნა მ. კოსტავას გარდაცვალების შემდეგ, როგორც თავისი მხარდამჭერი პარტია, „ჰელსინკის ჯგუფთან“ მას არაფერი ესაქმება (**იმნაძე 1989: №1**).

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი რესპუბლიკაში პირველი არალეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია იყო, რომელიც იბრძოდა ქართული ენის, ეკლესიის, კულტურის ძეგლების დასაცავად. იგი ასევე იცავდა პატიმართა და დევნილთა უფლებებს, ჰქონდა არალეგალური ოფსეტური გამომცემლობა, უშვებდა

არალეგალურ ჟურნალებს, თანამშრომლობდა მოსკოვის დემოკრატიულ მოძრაობასთან და არალეგალურ ჟურნალ „მიმდინარე ამბების ქრონიკასთან”.

70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა მწვავე კრიტიკის საგნად აქციეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს სასულიერო პირთა „მოღვაწეობა”. ისინი „ააშკარავებდნენ” ეკლესიაში გამეფებულ ანარქიას, უწესრიგობას, მამათმავლობას, მხარცველობას, სასულიერო პირთა აგენტურულ საქმიანობას. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 279, გვ. 1) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მიმართ მიწერილ ღია წერილებში ზ. გამსახურდიას მიერ მკაცრად იქნა დაგმობილი 1980 წლის აპრილში საქართველოში ილია II-ის მოწვევით ჩამოსული ვაზგენ სომეხთა კათალიკოსის ვიზიტი და მისი წირვაზე დასწრება სიონის ტაძარში. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 386, გვ. 7) გამსახურდიას აზრით სომეხთა კათალიკოსი ხელს უწყობდა ანტიქართულ (პროსომხურ – დ.ე.) საქმიანობას საქართველოში, რაც გამოიხატებოდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ქართველი ბავშვების გრიგორიანული წესით მონათვლაში, მათთვის სომხური სახელებისა და გვარების დარქმევაში. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 386, გვ. 7¹) ეპისტოლეებში მრავალმხრივ გაკრიტიკებულია ილია II-ის მოღვაწეობა, რის გამოც დიალოგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებსა და საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოს შორის შეწყვეტილი იყო. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 386, გვ. 14) საპატრიარქო ზ. გამსახურდიას საქართველოს ეკლესიაში ნაციონალური შეუღლის ჩამოგდებასა და ქართველი, სომეხი და რუსი ერების ერთმანეთისათვის გადაკიდებას აბრალებდა. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 279, გვ. 9)

1977 წლის 1 აპრილს გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო” გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფის წერილი „არა ცილი სწამო”, რომელშიც უარყოფილი იყო ზ. გამსახურდიას და მისი ჯგუფის პრეტენზიები ქართული ეკლესიის ზოგიერთი მღვდელმსახურის მიმართ და გამოთქმული იყო საპასუხო ბრალდება. კერძოდ, თვითდნენ რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიერ ხალხში ეროვნული გრძნობების სპეკულაცია და რადიო „თავისუფლების” საშუალებით ქართულ ენაზე მოციქულთა, მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მთელი რიგი დადგენილებანი და ეკლესიის უმაღლეს იერარქიულ პირთა პირად ღირსებათა ხელყოფა და მათ

წმიდა სამწყსოში შფოთისა და არეუდარევის შეტანის მცდელობის მიზეზი საქართველოს ეკლესიის ზ. გამსახურდიას ჩარევისა და „ჭკუის“ კითხვის გარეშე დამოუკიდებლად საქმიანობააო. (ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1, საქ. 279, გვ. 4-8)

ნიშანდობლივია, რომ ქართული ეკლესიის გარშემო ატეხილი ხმაურის გამო ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა“ კამათი გამართა აღნიშნულ პრობლემაზე. იმუამად ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა დ. ლანგმა და სხვებმა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი დაიცვეს.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, საქართველოს ეკლესიაში შექმნილი ვითარება მართლაც არასახარბიელო იყო. ადგილი ჰქონდა დატაცებებს, ზოგიერთი მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირის უზნეო საქციელს, სეკლესიო ქონების განიავების ფაქტებს. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ საქმეში საქართველოს საგამომძიებლო ორგანოებიც ჩაერივნენ, საბოლოოდ, იგი ერთ-ერთი საეკლესიო მაღალჩინოსნის დაპატიმრებით დამთავრდა.

ცეკას აპარატში ბევრი თანაუგრძნობდა ზ. გამსახურდიას ბრძოლას საპატრიარქოში მოხდარი ინციდენტის გამოძიებასთან დაკავშირებით.

§ 3. 1978 წლის 14 აპრილი, ბრძოლა დედა-ენის შენარჩუნებისათვის

XX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ბრძოლა დედა-ენის შენარჩუნებისათვის.

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზოგადი რიტორიკის გარდა დიდად არ განსხვავდებოდა 1936 წლის კონსტიტუციისაგან, განსაკუთრებით პიროვნების, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიების თვალსაზრისით. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში „სტალინური“ კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. ამ ფაქტმა უკიდურესად ააღელვა ქართული მოწინავე ინტელიგენცია. უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, საქართველოს კპ ცკ წარმომადგენლებს განუმარტავდნენ ასეთი გადაწყვეტილების მანვე ხასიათს (ნათმეცნიერ 2004:311–312).

მშობლიური ენის დასაცავად პირველ რიგში აღსდგა თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეთაურობით. 1978 წლის 12 აპრილიდან თბილისში დაიწყო დემონსტრაციები და მიტინგები. სტუდენტებს სკოლის მოსწავლეებმა დაუჭირეს მხარი – რუსთაველის პროსპექტზე მოეწყო „მჯდომარე გაფიცვა“.

განსაკუთრებულ აქტიურობას მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა იჩენდა. იმართებოდა მსჯელობა თუ როგორ აეძულებინათ ცენტრალური ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო. უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, დისიდენტ გელა ნიკოლაიშვილის მოგონებით სტუდენტთა მსჯელობაში ის აზრიც ფიგურირებდა, რომ მოეწყოთ მასობრივი მსჯელობა ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დაცვის მოთხოვნით, თუმცა, იმის შიშით კჰონდათ, რომ ხელისუფლება ქუჩაში გამოსულ ხალხს ძალადობით უპასუხებდა. ამიტომ შეადგინეს პეტიცია რამდენიმე ეგზემპლარად, რომელიც გაეროშიც უნდა გაეგზავნათ. იგი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ მიგვაჩნია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ქართული და მოვითხოვთ ამის აღიარებას საქართველოს სსრ ხელისუფლების მიერ“.

ცხადია, ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ რჩებოდა უშიშროების ორგანოებს. თვით უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტისა და განსაკუთრებით, კომკავშირული აქტივისტების მხრიდან, ადგილი ჰქონდა სტუდენტთა მიმართ მუქარას, დევნას, ბინის გაჩხრეკვას. მაგალითად. 1978 წლის 11 აპრილს ძირფესვიანად გაჩხრიკეს ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, თამარ ჩხეიძის ბინა.

ხელისუფლება ყველა საშუალებას მიმართავდა იმისათვის, რომ სტუდენტებს შეეწყვიტათ ანტისაბჭოური პროპაგანდა და არ მიემართათ საპროტესტო აქციებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1978 წლის 14 აპრილს უნივერსიტეტიდან მთავრობის სახლისაკენ ათასობით ახალგაზრდა დაიძრა. მათ შორის პროფესორ-მასწავლებლებიც იყვნენ. აქციის მონაწილეებს გზადაგზა უერთდებოდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც, წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდობა. საბოლოოდ მთავრობის სახლთან ათიათასობით კაცი შეგროვდა. ამავე პერიოდში მთავრობის სახლის გვერდითა ქუჩიდან გამოჩნდნენ საბჭოთა ჯარის შეიარაღებული კოლონიები, რომლებიც მწყობრად იწყებდნენ გადაადგილებას და მთავრობის სახლის გარშემო პოზიციებს იკავებდნენ (კვესელავა 1999გ: 23-24).

რესპუბლიკის ხელისუფლებამ ხალხთან დიალოგი გამართა და დაშლისაკენ მოუწოდა, მაგრამ დემონსტრაციას ახალ-ახალი ჯგუფები ემატებოდა. მათ გვერდით იდგნენ მოსწავლეები, რომლებიც პერანგებს იხდიდნენ და მასზე წერდნენ: „ენა“, „მამული“, საქართველო, „აი ია“ და სხვა.

1978 წლის 14 აპრილამდე ქართულმა ეროვნულმა-პატრიოტულმა მოძრაობამ არაერთი მძიმე ტვირთი ზიდა. იყო მიტინგები, გამოსვლები, სისხლიანი 1956 წლის 9 მარტი, არალეგალური ორგანიზაციების შექმნა, პირველი დისიდენტური წარმატებული საქმიანობაც და მსხვერპლიც, მაგრამ 14 აპრილი ერთ-ერთ გამორჩეულ მოვლენად რჩება ეროვნულ მოძრაობაში. გარდაქმნის და საბჭოეთის დაშლის პერიოდის საქართველოში უკვე იკვეთებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის მომენტი, პოლიტიკური ძალები იწყებდნენ ყველა საშუალების გამოყენებას ხელისუფლების შესაცვლელად. მაგრამ 1978 წლის 14 აპრილს ყველას მხოლოდ ერთი, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება აერთიანებდა - სრულიად უანგარო ბრძოლა ქართველი ერის შელახული უფლებებისათვის, ფანატიზმის, ფსიქოზისა და ინტრიგების გარეშე.

სამართლიანად შენიშნავს თამარ ჩხეიძე: „იქ არ იყო ამა თუ იმ „ბელადის“ გარშემო შეკრებილი ბრბო, რომელსაც ბელადი თავისი

პოლიტიკური ინტერესებისათვის იყენებს, არამედ თავისუფალი ადამიანების შეკრება, რომელითაც სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი მოთხოვნაც და ისიც, რაც შეიძლება იქ ყოველ წუთში დატრიალებულიყო.

1978 წლის 14 აპრილს ერთი ცენტრი არ არსებობდა. დემონსტრაციაზე გადაწყვეტილება არავის მიუღია, ანუ გადაწყვეტილება მიიღო ყველამ ერთად. დაბაბულ, კრიტიკულ სიტუაციაში ხშირად მოქმედებს მექანიზმი: ვინმე წამოისვრის იდეას, რომელიც მომენტალურად პოულობს მხარდაჭერას და ყველანი იწყებს მის რეალიზებას ისე, რომ რეალურად აღარავის ახსოვს, ვინ იყო ავტორი.

აქვე აღსანიშნავია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების გამოძახილი საქართველოს სხვა ქალაქებში. 1978 წლის მაისში ქ. ბათუმში, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტების მოთხოვნით აჭარის ასსრ კონსტიტუციაში ჩაიწერა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი.

1978 წლის აპრილში სოხუმში გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ქართული ენის ამოღება აფხაზეთის კონსტიტუციიდან, ე. შევარდნაძის სოხუმში ჩასვლამ განმუხტა ვითარება და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში დატოვეს ქართული ენა აფხაზურ და რუსულ ენებთან ერთად სახელმწიფო ენად.

საბჭოთა ისტორიაში პირველად მოუხდა საკავშირო იმპერიას ხალხისთვის დაეთმო. ეს არ მომხდარა კომუნისტური ხელისუფლების ინიციატივით. პირიქით, საქართველოს საზოგადოებამ გადალახა იმ პერიოდში შექმნილი წინააღმდეგობანი, მრავალათასიანმა მასამ გაარღვია ყველა კორდონი და მოიპოვა დიდი გამარჯვება. ეს იყო ერის გამთლიანების დღე.

- საბოლოოდ 75-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდა: საქართველოს საბჭოთა სოლიალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსულისა და სხვა ენებისა, რომელებითაც მოსახლეობა სარგებლობს; რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება (კვესელავა 1999გ:25).

ცხადია, კომუნისტური ხელისუფლება ცდილობდა ხალხისათვის ინფორმაცია ისე მოეწოდებინა, რომ მომგებიანი ყოფილიყო მათი იდეოლოგიისათვის. ერთ-ერთი ასეთი იყო 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების ისე წარმოჩენა, რომ თითქოს 14 აპრილს ყველაფერი წინასწარ იყო მომზადებული კომუნისტური ხელისუფლების მიერ, თუმცა, ჯერჯერობით, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები არ გამოქვეყნებულა. ჩვენი აზრით ეს მასალები რომ აქამდე არ არის ცნობილი საზოგადოებისათვის, იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას ნამდვილად არ ჰქონდა „დაგეგმილი“ სახალხო გამოსვლები ქართული ენის სტატუსის დასაცავად. ამის ცოცხალი მოწმე დღეს ასეულობით ადამიანი შეიძლება მოიძებნოს, რომლებიც იმ დროს მოვლენების შუაგულში იყვნენ.

სხვა მხრივ 1978 წლის 14 აპრილს ტელევიზიით გადმოცემული საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის ვიდეოჩანაწერის ნახვა ადასტურებს, რომ სესიაზე გამოსვლის დროს ე.შევარდნაძე აშკარად ჭიმავდა დროს, იგი პასუხს ელოდებოდა მოსკოვიდან და როდესაც სასურველი პასუხი მიიღო, იგი უმაღლეს შეესო 75-ე მუხლს და სიტყვაც მალე დაასრულა.

როგორც ჩანს, მთავრობის სასახლის წინ ათასობით შეკრებილ ადამიანთან გასაუბრებამ იგი აიძულა პირადად დაკავშირებოდა ლ. ბრეჟნევს და ხალხის მოთხოვნა გადაეცა. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გმირობამ ქართულ ენას კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი კონსტიტუციაში. 15 აპრილს IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც კვლავ დააკანონა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ე. შევარდნაძეს 1994 წლამდე არსად არ უთქვამს თავისი აქტიური როლის შესახებ 1978 წლის მოვლენებთან დაკავშირებით. 1994 წლის აპრილში კი მან მოულოდნელად დაადასტურა ხალხში გავრცელებული ვერსია 1978 წლის 14 აპრილის მღელვარების ფარულად ორგანიზების შესახებ.

1978 წელს საქართველო გახდა პირველი და ერთადერთი რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუციაშიც ჩაიწერა ნორმა ეროვნული სახელმწიფო ენის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გაიმეორეს ანალოგიური ნორმები სომხეთის, აზერბაიჯანის და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებმა (**სობჩაკი 2000:190**).

რუსეთის ანტიქართული ძალების ხელშეწყობით 1978 წელს სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა აფხაზეთში, ძირძველ ქართულ კუთხეში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვი ფარულად მუდამ ხელს უწყობდა აფხაზეთში ანტიქართული განწყობის ესკალაციას: პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში და ა.შ. აფხაზეთის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობისას ადგილობრივი ეთნოკრატის თავსუღმა ლიდერებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც აფხაზების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების ყველა დანაშაული ქართველ ერს დააბრალეს. მოითხოვდნენ აფხაზეთის სტატუსის შეცვლას. სქართველოს კპ-ის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ აფხაზ ლიდერებთან მორიგება ამჯობინა და მოსკოვთან შეთანხმებით ერთობლივად შემუშავდა სკკპ ცკ და სსსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი: „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებების შესახებ“, რომელიც მიიღეს 1978 წლის ივნისში. დადგენილება ითვალისწინებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მაგრამ დადგენილება ფაქტიურად ამკვიდრებდა აფხაზი ეთნოკრატის შეუზღუდავ ძალაუფლებას. ამ დადგენილების ნეგატიური ასპექტები მოგვიანებით აშკარად გამოვლინდა.

თავი მეოთხე

საბჭოთა კავშირის ეროზია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1980-იან წლებში

§ 1. ქართული ინტელიგენციის როლი ეროვნული სულის გამოღვიძების საქმეში

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის უმთავრესი საკუთარი სახელმწიფოებრიობის არქონა იყო. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხისა და 30-იანი წლების დიდი რეპრესიების შემდეგ კომუნისტურ რეჟიმთან შეიარაღებულმა დაპირისპირებამ აზრი დაკარგა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზში მშვიდობიან ფრონტზე გადაინაცვლა.

იმის გამო, რომ საქართველოში თითქმის სრულად იქნა ლიკვიდირებული ყოველგვარი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია თუ ჯგუფი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობა ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა – მწერლებმა, მეცნიერებმა და სხვ., იკისრეს. 70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავიანთ მოთხრობებში, ლექსებში ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, იღწვოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად. მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური იყო და ამიტომ მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები – უფრო შთამბეჭდავი და ძლიერიც გახდა.

70-80-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდა მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე. მისი ობიექტური, პატრიოტული და უკომპრომისო სტატიები და პუბლიკაციები, საინტერესო საჯარო გამოსვლები მოსწონდა საზოგადოებას.

50-70-იანი წლები ქართული მეცნიერების განვითარების ოქროს ხანაა. 1980 წელს საქართველოში 40-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 25 ათასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი იყო. ქართველმა მეცნიერებმა: ალექსანდრე ჯანელიძემ, გიორგი წერეთელმა, გიორგი ჩიტაიამ, ალექსანდრე ბარამიძემ,

შალვა ამირანაშვილმა, პაატა გუგუშვილმა, აკაკი სურგულაძემ, მამია დუმბაძემ, იური კაჭარავამ და ბევრმა სხვამ გამოაქვეყნეს ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევები. შეიქმნა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“, „ქართული ლიტერატურის ისტორიისა“ და „საქართველოს ენციკლოპედიის“ მრავალტომეულები.

50-70-იანი წლები „ოქროს ხანა“ იყო ქართული ლიტერატურისთვისაც. ახალი შედეგებით ამდიდრებდნენ ქართულ პოეზიას გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლადო ასათიანი, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგიანი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე. მათი შემოქმედება გამსჭვალულია პატრიოტიზმით, ჰუმანიზმით, სიცოცხლით, სიყვარულით, სიხარულით, სევდითაც და უმჯობესი ცხოვრების დაუოკებელი სურვილითაც.

კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა რომანები „დავით აღმაშენებელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ვაზის ყვავილობა“. ლევან გოთუამ „გმირთა ვარამი“, ახალი რომანები და მოთხრობები შექმნეს ლეო ქიაჩელმა-შენგელაიამ, გიორგი შატბერაშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, გიორგი ციციშვილმა, გიორგი ლეონიძემ, გრიგოლ აბაშიძემ და სხვ. 60-იანი წლებიდან მწერალთა უფროს თაობას მხარში ამოუდგნენ ნოდარ დუმბაძე, გურამ რჩეულიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ჯაფარიძე, რევაზ ინანიშვილი, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი, გურამ ფანჯიკიძე, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი... მათ ნაწარმოებებში განსხიერებულია მრავალი პიროვნული, ეროვნული და საკაცობრიო იდეალი, დაგმობილია საბჭოთა ცხოვრების ნეგატიური მოვლენები.

განვითარდა ქართული ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკა. გაფართოვდა ქართული ლიტერატურის საერთაშორისო კავშირები სხვა ქვეყნების ლიტერატურასთან. ქართულიდან მსოფლიოს ხალხთა ენებზე ითარგმნა მრავალი მხატვრული ნაწარმოები და პირუკუ. მთელმა მსოფლიომ აღიარა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობა, განსაკუთრებით მისი 800 წლისთავის იუბილის ჩატარების შემდეგ, 1966 წელს. მომდევნო წლებში ჩატარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 და „შუმანიკის წამების“ 1500 წლის იუბილევები.

აღსანიშნავია მწერლისა და მეცნიერის ვახუშტი კოტეტიშვილის ინიციატივით დაწეული „ფოლკლორული სადამოების“ მნიშვნელობა, რომელმაც არა მარტო ხელი შეუწყო ახალი სახალხო მთქმელების, შემსრულებლების გამოვლენას, არამედ უზრუნველყო ძლიერი პატრიოტული გრძნობების განვითარება.

ქართულ ლიტერატურასთან ერთად პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის საკაცობრიო იდეალებს ქადაგებდა ქართული თეატრი, კინო, სამუსიკო ხელოვნება, რომლებმაც 60-70-იან წლებში დიდი აღმავლობა განიცადა. მთელ მსოფლიოში გაიცნეს რუსთაველის, მარჯანიშვილის დრამატული და ფალიაშვილის საოპერო თეატრები, სადაც მოღვაწეობდნენ რეჟისორები – დიმიტრი ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ალექსანდრე წუწუნავა, დოდო ანთაძე, გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე. დირიჟორები – ოდისეი დიმიტრიადი, ჯანსუღ კახიძე... მსახიობები – აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სპარტაკ ბაღაშვილი, გიორგი დავითაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, სესილია თაყაიშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, იუსუფ კობალაძე და მრავალი სხვა.

დიდად განვითარდა და საზღვარგარეთაც ცნობილია ქართული საოპერო, საბალეტო-სათეატრო და ვოკალურ-ინსტრუმენტული ხელოვნება. კლასიკურ და უახლეს ევროპულ-ამერიკულ მუსიკასა და ქორეოგრაფიასთან ერთად ნაყოფიერად ვითარდებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული სიმღერა და ცეკვა, რომლებიც ევროპა-ამერიკისათვის „XX საუკუნის ბრწყინვალე აღმოჩენა“ იყო. მსოფლიო შემოიარეს ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებმა ანზორ კავსადის ხელმძღვანელობით, ანსამბლმა „რუსთავმა“ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, ქართული ცეკვის ანსამბლმა ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით და მრავალმა სხვამ.

დიდი აღმავლობა განიცადა ქართულმა კინომ. შეიქმნა ყველა ჟანრის რვაასამდე ფილმი, რომელთაგან სახელმწიფო და საერთაშორისო პრემია წილად ხვდა ასამდე ფილმს.

1955 წელს გამოვიდა თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ღურჯა“, 1956 წელს – „ბაში-აჩუკი“, 1962 წელს თენგიზ აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, 1964 წელს რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, 1967

წელს – ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“, 1968 და 1974 წლებში ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „შერეკილები“, 1977 წელს გიგა ლორთქიფანიძემ და გიორგი გაბესკირიამ გადაიღეს „დათა თუთაშხია“ იმავე ხანებში თენგიზ აბულაძემ – „ვედრება“ და „მონანიება“ (გაფრინდაშვილი 1997:58-60).

ეროვნული მსოფლმხედველობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის რ. თაბუკაშვილის პატრიოტულ კინო-პუბლიცისტიკას. მისი „ალპიური ვარსკვლავი“, „ვიტორიო სელა“ და სხვა დოკუმენტური ფილმები სწორედ პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების პრობლემებს ეხებოდა. ეს ფილმები ამკვიდრებდნენ ეროვნული ღირსების, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის იდეალებს. უდიდესი ეროვნული აქცია იყო რ. თაბუკაშვილის ინიციატივით იტალიიდან ცნობილი ქართველი მეცნიერის, იტალიაში მოღვაწე პატრი მიხეილ თამარაშვილის გადმოსვენება (1978 წ.) (ნათმეცნიერე 2004:325-326).

ამრიგად, ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ თავისი დამსახურების, ავტორიტეტის, დიდი ძალისხმევისა და რისკების, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რიგ შემთხვევებში თავგანწირვის ფასადაც კი ძირითადად მოხერხდა 70-80-იან წლებში საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერების გაღვივება, განვითარება და განმტკიცება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დამთავრებაში.

§ 2. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ქართული სულის გადასარჩენად

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ყოველთვის ეჭირა განსაკუთრებული ადგილი ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში და ეს ადგილი მას არც საბჭოთა დიქტატურის დროს დაუკარგავს. ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის პარალელურად, მარქსისტული იდეოლოგიის მიერ ათეიზმის ქადაგების პირობებში მოსახლეობაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ქართული ეკლესიის, ერის სულიერი წინამძღოლის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის როლისა და ავტორიტეტის ზრდა. ფართო იდეოლოგიური პროპაგანდის თუ პარტიულ-კომკავშირული სტრუქტურების მხრიდან აკრძალვების მიუხედავად, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიას მიაწედა. მრავალი სტუდენტი და მოსწავლე სტიქაროსანი გახდა და ადამიანთა ცხოვრებაში სარწმუნოება თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა (ჯანელიძე 2009:198).

ილია II-მ აღადგინა ურთიერთობა ბევრ ქართველ ინტელიგენტთან, მეცნიერთან, მწერალთან, რომლებთან ერთადაც იგი არაერთ საერთო-ეროვნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა. ერთი მათგანი იყო „შუმანიკის წამების“ 1500 წლისთავი, ზემით რომ აღინიშნა 1978 წელს. 11 დეკემბერს. კათოლიკოს-პატრიარქი პირველად მოეწვინა ფართო საერო საზოგადოებას შუმანიკის მარტვილობისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე ოპერის თეატრში. იგი მონაწილეობდა და სიტყვაც თქვა თბილისს ჩამოსვენებული მიხეილ თამარაშვილის დაკრძალვის დროს დიდუბის პანთეონში. პატრიარქის სიტყვის დედააზრი იყო დებულება, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ქართველი ერი განუყოფელი იყო და ახლაც ასეაო.

80-იანი წლებიდან ქართულმა ეკლესიამ ილია II-ის მეთაურობით გააფართოვა ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნების ეკლესიებთან, რომელთა მეთაურები ეწვივნენ საქართველოს, ილია II კი მრავალ სხვა ქვეყანას. ამას შედეგად მოჰყვა ეკუმენისტური მოძრაობის ცენტრის მიერ ქართველი კათოლიკოს-პატრიარქის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად არჩევა. მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა მას იბერიის ეკლესიის კათალიკოსი უწოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მწიფდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა მსოფლიო ეკლესიის მიერ V საუკუნიდან და

ეს კიდევ იქნა აღიარებული 1990 წლის იანვარში, რაც ქართული ეკლესიის დიდი წარმატება იყო.

ქართული ქრისტიანულ-ჰუმანისტური აზროვნება დღემდე იცავს საღმრთოსა და საეროს ერთიანობის მრავალსაუკუნოვან თვალსაზრისს. ილია II ოსტატურად აზავებდა თავის ქადაგებებში რელიგიურ-დოგმატურ და ეროვნულ-პატრიოტულ იდეებს. (გაფრინდაშვილი 93-94)

ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიწყო ახალი ტაძრების მშენებლობა, ფერწერით შემკობა, ხატებისა და მართლმადიდებლური მღვდელმსახურებისათვის საჭირო ლიტურგიული დანიშნულების ნივთების შექმნა. მოიხატა უამრავი ახალი ტაძარი. მართლმადიდებლური კულტის სხვა დარგებთან ერთად ხატწერის ხელოვნებამაც დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ერის რელიგიური ცხოვრების აღორძინების საქმეში. ილია II-ის უდიდესი ღვაწლით აღსდგა საეკლესიო ხუროთმოძღვრება, მონუმენტური მხატვრობა, ხეზე და ქვაზე კვეთა, მინანქარი.

საეკლესიო ხელოვნების სხვა განშტოებების მსგავსად, ქართული ნაქარგობის აღორძინებაც 1980-იანი წლებიდან იწყება. ახლად აგებული თუ ამოქმედებული ტაძრებისათვის ღვთისმსახურებისათვის აუცილებელ შესამოსელებს, დაფარნებს და ა.შ. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ საქარგავ სახელოსნოებში ქმნიან (თუმანიშვილი 2008:24-35).

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მოღვაწეთა მიმართ იყო გულგრილი. ამის გამოვლინება იყო 1987 წელს ილია ჭავჭავაძის წმინდა ილია მართლად შერაცხვა.

1988 წლის ნოემბერში ახალგაზრდობის ჯგუფის მიერ დაწეული შიმშილობისას ზვიად გამსახურდიამ ქართულ ეკლესიას უსაყვედურა, მოშიმშილეებს მისი მორალური მხარდაჭერა არა აქვთო, კათოლიკოს-პატრიარქმა ჯერ თბილისის სამებისა და ქაშვეთის წინამძღვრები გაგზავნა მოშიმშილეებთან, მერე თვითონაც მივიდა მათთან.

1989 წლის აპრილის აქციების დროს პატიაშვილმა და მისმა გუნდმა კათოლიკოს-პატრიარქს სთხოვეს დაშლა ერჩია მოშიმშილეეთათვის. 9 აპრილს ილია II მღვდელ გიორგი გამრეკელის თანხლებით მთავრობის სახლთან მივიდა და დაუფარავად განუცხადა დემონსტრანტებს: ტრაგედიაა

მოსალოდნელი, ქაშვეთის ტაძარში შევიდეთ, ვილოცოთ და მერე დავიშალოთო. თუმცა ამაზე უარი თქვეს მოშიმშილეებმა.

საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას, ეკლესია პოლიტიკაში არ ერევაო, მაგრამ უაღრესად პოლიტიზირებული მრევლი აიძულებდა მათ, არაიშვიათად ზომაზე მეტად ჩარეულიყვნენ პოლიტიკაში. მაგრამ იმ რთულ ვითარებაში ვერ ხორციელდებოდა უმაღლესი საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლების არა თუ ერთიანობის მძიმე, არამედ ურთიერთნდობის პრინციპიც კი. მართლმადიდებლობის დამცველი მღვდელმთავარნი პატრიარქის მეთაურობით ებრძოდნენ უზნეობას, ცდილობდნენ დაპირისპირებულ ძალთა შერიგებას, რაც ხშირ შემთხვევებში ამაო იყო.

§ 3. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა 1980–იანი წლების მეორე ნახევარში

70–იანი წლების ბოლოს საბჭოთა პოლიტიკური ელიტა აშკარად კარგავდა რეალიზმის გრძნობას. 1979 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ჯარი შეიყვანა და სამხედრო გადატრიალება მოაწყო. ამის გამო დასავლეთის სამყარომ რადიკალურად გაამძაფრა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ავღანეთში იძულებით გაწვეული ათასობით ქართველი ახალგაზრდა იბრძოდა. საქართველომაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო ამ უაზრო ომში.

ხელისუფლებაში რონაღდ რეიგანის მოსვლისთანავე ამერიკის ხელისუფლებამ შეიმუშავა საბჭოთა იმპერიასთან ურთიერთობის ეფექტური პოლიტიკური კურსი, რომელსაც მიზანმიმართულად ასორციელებდა. ეს იყო მოწინააღმდეგის ეკონომიკური გამოფიტვის, გამალებული შეიარაღებით მოქანცვის, ეკონომიკური გაკოტრების კურსი. ამ კურსმა თავისი შედეგები მაღე გამოიღო.

ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია და ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც 80-იანი წლების საბჭოთა საქართველო (და არა მარტო საქართველო) შეძრა იყო „თვითმფრინავის ბიჭების“ ამბავი (**შუკაკიძე 2006:№2**). სასამართლო სხდომის ოქმებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ თვითმფრინავის გატაცების ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი თეიმურაზ ჩიხლაძე (მამა თევდორე) 1979 წელს აპირებდა სსრკ-დან გასვლას უკანონო გზით თანმხლებ პირებთან ერთად და ამ მიზნით დაიწყო თანამოაზრეების ძებნა. მან კავშირი დაამყარა იოსებ წერეთელთან და დავით მიქაბერიძესთან. ეს უკანასკნელნი იყვნენ დასავლური ცხოვრების წესის მიმდევრები და სიონის ტაძარში ხვდებოდნენ ჩიხლაძეს. თავის მხრივ 1981 წლის ზაფხულში წერეთელი და მიქაბერიძე დაუკავშირდნენ გერმანე კობახიძეს, იმავე წლის შემოდგომაზე კი კახა ივერიელს. შემდეგ პაატა ივერიელს და თინათინ ფეტვიაშვილს, 1982 წლიდან გ. ტაბიძეს (**ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ. 4**).

ჯგუფის წევრებმა უცხოეთში წასვლისათვის დაიწყეს ლეგალური გზების ძიება. სხვადასხვა ვარიენტებს შორის განიხილებოდა უცხოელზე ქორწინებაც. პარალელურად განიხილავდნენ ქვეყნიდან გაღწევის არალეგალურ გზებსაც. ამ მიზნით 1983 წლის ზაფხულში მიქაბერიძე და წერეთელი არაერთხელ ჩავიდნენ ბათუმსა და სოხუმში, სადაც ეძებდნენ საზღვარზე გასვლის სახმელეთო,

საზღვაო ან საჰაერო საშუალებას. ასევე რამდენიმეჯერ იყვნენ ტალინში, სადაც გაიცნეს ვ. შმოილოვი, რომელთან ერთადაც გეგმავენენ მოტორიანი ნავით საზღვრის გადალახვას.

მოგვიანებით გაჩნდა თვითმფრინავით გაღწევის აზრიც. ჩიხლაძის არგუმენტით თვითმფრინავით სწრაფად და უსაფრთხოდ შეიძლებოდა საზღვრის გადაკვეთა (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 5), რადგანაც მათთან ერთად თვითმფრინავში იქნებოდნენ მგზავრებიც და ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება არ მიიღებდა თვითმფრინავის ჩამოგდების გადაწყვეტილებას. მათი გეგმის თანახმად მამა თეოდორე მღვდლის ანაფორაში დამალავდა იარაღს, ხალხთან ერთდ ავიდოდა თვითმფრინავის სალონში, ხოლო აფრენის შემდეგ ჩიხლაძე თითქოს ინტერესისთვის შევიდოდა პილოტების კაბინაში გადასცემდა მათ წერილს თვითმფრინავის აფეთქების მუქარით აიძულებდა შეეცვალათ ფრენის მიმართულება და თვითმფრინავი დაეჯინათ თურქეთის ტერიტორიაზე.

ამ მიზნით 1982 წლის დასაწყისში მიქაბერიძემ უცნობი პირისაგან „ნაგანის“ სისტემის ერთი რეკოლვერი შეიძინა. 1983 წლის აპრილში წერეთელთან ერთად - მეორე, ხოლო ივნისში იარაღის რაოდენობა კიდევ ერთით გაიზარდა. 1983 წლის 13 აგვისტოს კობახიძე და წერეთელი გაფრინდნენ ლენინგრადში დასაძინებელი გაზის ბალონის შესაძენად (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 6), მაგრამ გეგმის ჩავარდნის გამო (გაზის ბალონის ვერ შეიძინეს) 1983 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის 4 იარაღი და 2 ხელყუმბარა შეიძინეს.

1983 წლის ნოემბრის დასაწყისში ჯგუფის წევრებმა საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება მოეხდინათ შეიარაღებული თავდასხმა თვითმფრინავზე. ამ დროისათვის მათ გადაწყვიტეს ჩამოეცილებინათ ჩიხლაძე, რადგან მათ შორის უკვე უთანხმოება იყო.

შვიდ და რვა ნოემბერს მიქაბერიძემ, წერეთელმა, ფეტვიაშვილმა და კობახიძემ გ. კობახიძის ბინაში შეხვედრისას განიხილეს თვითმფრინავში შეღწევისა და იარაღის შეტანის საკითხი.

1983 წლის 11 ნოემბერს კობახიძის ბინაში ერთმანეთს შეხვდნენ გ. კობახიძე, დ. მიქაბერიძე, გ. ტაბიძე, ი. წერეთელი და თ. ფეტვიაშვილი. აქ მათ შესთავაზეს ძმებს პ. და კ. ივერიელებს თვითმფრინავის გატაცებაში მონაწილეობის მიღება და გააცნეს მათ „ტ-134“-ის გატაცების გეგმა, რომელშიც მონაწილეობაზეც ივერიელებმა თანხმობა განაცხადეს. აქვე

წერეთელმა და მიქაბერიძემ დანიშნეს თავდასხმის დღეც – 1983 წლის 18 ნოემბერი. განიხილეს „ტ-134“-ის მარშრუტი თბილისი – ბათუმი – კიევი – ლენინგრადი და ეს არჩევანი მოტივირებული იქნა იმით, რომ თვითმფრინავში ბევრი მგზავრი იქნებოდა და მას არ ჩამოაგდებდნენ.

1983 წლის 14 ნოემბერს კ. ივერიელმა მიქაბერიძისაგან მიიღო ფული და პასპორტები ბანდის წვერებისათვის და იყიდა 7 სამგზავრო ბილეთი.

1983 წლის 15 და 16 ნოემბერს მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე წყნეთში, ერთმანეთს შეხვდნენ ჯგუფის წევრები: წერეთელი, დ. მიქაბერიძე, პ. ივერიელი, კ. ივერიელი, გ. ტაბიძე და გ. კობახიძე. შეხვედრისას გადაწყდა, რომ ჯგუფს უხელმძღვანელებდა კ. ივერიელი (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 8). ამ შეკრებას არ ესწრებოდა თ. ფეტვიაშვილი, რადგანაც ის საქორწინო სამზადისში იყო.

1983 წლის 18 ნოემბერს ი. წერეთელმა, მიქაბერიძემ, ფეტვიაშვილმა და კობახიძემ მიიღეს გადაწყვეტილება (წერეთლის წინადადებით) იარაღით სავსე ჩანთა ეკატერინე შალუტაშვილის (ფეტვიაშვილის მეგობარი) დახმარებით შეეტანათ თვითმფრინავის ბორტზე. რა თქმა უნდა შალუტაშვილს ამის შესახებ არ უნდა სცოდნოდა (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 9).

მიქაბერიძემ ითხოვა ფეტვიაშვილისაგან შავი ფერის მართკუთხედის ფორმის ქალის ჩანთა, რომელშიც ჯგუფის წევრებმა ჩაალაგეს ორი ცალი „თო“, რევოლვერის სისტემის „ნაგანი“, რევოლვერი „რეესტვერი,“ ორი სასწავლო ხელყუმბარა და საბრძოლო ტყვიები.

ჯგუფის წევრებს შორის წინასწარ განაწილებული როლების თანახმად ფეტვიაშვილმა სთხოვა შალუტაშვილს მისი კუთვნილი ხელჩანთა შეეტანა თვითმფრინავში და „გაუმხილა“ თითქოს ჩანთაში იყო ნარკოტიკები სიგარეტის ფორმით. შალუტაშვილმა პირნათლათ შეასრულა მეგობრის თხოვნა.

წინასწარი მოლაპარაკების თანახმად კ. ივერიელი, პ. ივერიელი, გ. ტაბიძე დანარჩენ მგზავრებთან ერთად შევიდნენ თვითმფრინავის სალონში, ისინი განთავსდნენ პირველ სალონში, სადაც დაიკავეს ადგილები 4, 5 და 6 რიგებში (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 10).

ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო თვითმფრინავმა დააგვიანა გაფრენა. ჯგუფის წევრები თვითმფრინავშიც აგრძელებდნენ ქორწილის შემდგომ მხიარულებას და სვამდნენ ღვინოს.

მოსკოვის დროით, 15 საათსა და 43 წუთზე თვითმფრინავმა კურსი აიღო ბათუმისკენ. აფრენიდან 5-10 წუთის შემდეგ კობახიძემ გამოართვა იარაღებით სავსე ჩანთა შალუტაშვილს და ჯგუფის წევრებმა გაინაწილეს იარაღი.

16 საათსა და 13 წუთზე კახა ივერიელი წერეთელთან ერთად გაემართა პილოტის კაბინისაკენ. ეს ფაქტი ჯგუფის წევრებმა ჩათვალეს ოპერაციის დაწყების ნიშნად. მინიშნების თანახმად პ. ივერიელმა მიიღო რა მეორე რიგში მჯდომი მგზავრი ა. სოლომონია მილიციის თანამშრომლად, მას თავში შამპანურის ბოთლი ჩაარტყა, ხოლო ტაბიძემ თავში ესროლა რევოლვერი. მგზავრი იქვე გარდაიცვალა. ასევე, შეცდომით მიიღეს რა ეკიპაჟის წევრად პილოტის ფორმიანი მგზავრი, ტაბიძემ სამჯერ ესროლა მას (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ. 11), რის შედეგადაც მგზავრი დაიჭრა, ხოლო მიქაბერიძემ მკვლელობის განზრახვით ესროლა მგზავრ ო. გვალიას და გაუხვრიტა ფილტვი.

მგზავრების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაჩერებლად პ. ივერიელი და გ. კობახიძე ხელყუმბარების აფეთქებით იმუქრებოდნენ, მათ მგზავრებს უბრძანეს არ განძრეულიყვნენ რადგან თვითმფრინავი მიფრინავდა თურქეთში.

კ. ივერიელი, წერეთელი და ტაბიძე შეიჭრნენ პილოტების კაბინაში. ტაბიძემ ესროლა შარბათიანს, ხოლო კ. ივერიელმა ექვსჯერ ესროლა, რის შედეგადაც შარბათიანი გარდაიცვალა. კ. ივერიელი იარაღის მუქარით (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ. 12) სთხოვდა პილოტს ა. გარდაფხაძეს შეეცვალა კურსი და გაფრენილიყო თურქეთისაკენ. პილოტების კაბინაში იმყოფებოდა შტურმანი გასოიანი, რომელმაც მათ გაუხსნა ცეცხლი, რის შედეგადაც ტაბიძე მოკლა, ხოლო წერეთელი და კ. ივერიელი დაიჭრნენ. ამან საშუალება მისცა პილოტებს შიგნიდან ჩაეკეტათ კაბინის კარი.

ამ დროის განმავლობაში გ. კობახიძე და პ. ივერიელი ხელყუმბარის აფეთქების მუქარით აიძულებდნენ მგზავრებს თავი დაეხარათ და ადგილიდან არ განძრეულიყვნენ.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში 1983 წლის 18 ნოემბერს 16 საათსა და 40 წუთზე პილოტებმა მოახერხეს დაესვათ თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში (რის შესახებაც ჯგუფის წევრებს შეატყობინა ფეტვიაშვილმა). მათი გეგმის ჩაგარდნის გაცნობიერების შემდეგ მიქაბერიძემ თვითმფრინავში თავი მოიკლა (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ. 13).

თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგაც გ. კობახიძე და პ. ივერიელი უკრძალავდნენ მგზავრებს ამდგარიყვნენ ადგილიდან, დახმარება გაეწიათ დაჭრილთათვის, ესარგებლათ წყლითა და ტუალეტით.

გ. კობახიძის და პ. ივერიელის მითითებით, ფეტვიაშვილი თვითმფრინავის ღია ლუკიდან თხოვდა თბილისის აეროპორტის წარმომადგენლებს საწვავით შეეგოსოთ თვითმფრინავი, შეეცვალათ ეკიპაჟი ახლით, რათა გაფრენილიყვნენ თურქეთში. მათი მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში ფეტვიაშვილი თვითმფრინავის აფეთქებით იმუქრებოდა. (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ 14) თითქოსდა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ჯერ საწვავის ცისტერნა მოიტანეს, ვითომ თვითმფრინავის გამართვა დაიწყო, სინამდვილეში კი პირიქით – ბაკი საწვავისაგან მთლიანად დაცალეს (კვინიკაძე 2001: 26).

თვითმფრინავში (რომელშიც იმყოფებოდა 58 მგზავრი და შვიდი ეკიპაჟის წევრი) თავდასხმის შედეგად მოკლული იქნა ეკიპაჟის 3 წევრი და 1 მგზავრი, დაიჭრა ეკიპაჟის 1 წევრი და 7 მგზავრი. თბილისის სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ თვითმფრინავის დაზიანებით მიიღო 560 839 მანეთის ზარალი (ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520. გვ. 15).

1984 წლის 13 აგვისტოს საქართველოს სსსრ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ თ. გერსამიას თავმჯდომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე და 242²-ე მუხლებით გამტაცებლებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა (გამყრელიძე 1998:№12).

თემურ ჩიხლაძემ სასამართლოზე თავმჯდომარეს მიმართა: „უპირველეს ყოვლისა მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც მსჯავრდებული აქ არ უნდა ვიყო. არცერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უფრო ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური კაცი ვარ და ამის გამო მასამართლებთ.

ბატონებო და ქალბატონებო, არავითარი ბოროტმოქმედება მე არ ჩამიდენია, კაცთმოძულე არასოდეს ვყოფილვარ. სასამართლო ბრალად მდებს ბანდის ხელმძღვანელობას. დიახ, მე ვიყავი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც თეოლოგიას ვასწავლიდი, მაგრამ ბანდის ორგანიზატორი არასოდეს ვყოფილვარ. როგორც ყველა მორწმუნე ვსწავლობდი სახარებას, და ვქადაგებდი კაცთმოყვარეობას, სიმართლეს ჭეშმარიტებისადმი რწმენას. ამ მიზნით აღვიკვეცე ბერად. აქ მეოფე ბრალდებულებთან მქონდა მხოლოდ სარწმუნოებრივი კავშირი, ისეთი, როგორიც აქვს ერთ მორწმუნეს მეორე მორწმუნის მიმართ. მე კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებს, თითოეული მათგანი

ნიჭიერი და ღრმადგანათლებულია. თავად, დაგიდასტურებენ, რომ ყოველთვის ჭეშმარიტებისა და პატიოსნებისაკენ მოვუწოდებდი... (კვინიკაძე 2001: 42-43).

მე თავს დამნაშავედ არაფერში არ ვცნობ, მაგრამ... სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუქა, სადაც საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერია აღბეჭდილი. თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სადაც ხელს დაადებთ იქ წავალ და იქ გავატარებ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას.

... და თუ მაინც მომკლავთ, და ამით სხვას ეშველება, ან ქვეყანას სჭირდება ეს მსხვერპლი, სიამოვნებით წავალ იმ ქვეყნად...

თვითმფრინავის გატაცების შემთხვევის განხილვას არ დასჭირდა ერთი წელი ან რამდენიმე თვე, ამ ამბავს თენახევარში დაესვა წერტილი. მშობლებს კი განაჩენის აღსრულების შესახებ მხოლოდ 5 წლის შემდეგ, 1989 წლის 13 მარტს აცნობა ჯუმბერ პატიაშვილმა პარტიის ბიუროს დადგენილებით.

საბჭოთა კავშირში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1985 წლიდან, მას შემდეგ რაც მ. ს. გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა დაიწყო ე.წ. გარდაქმნისა და საჯაროობის პროცესი, რაც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის მოდერნიზაციას და აქედან გამომდინარე მის გადარჩენას.

საბჭოთა კავშირში დაწყებულმა გარდაქმნის პროცესმა ადეკვატური ასახვა ჰპოვა საქართველოში (გვენეტაძე 2011:4). 1988 წლის შემოდგომისათვის რესპუბლიკაში გამოიკვეთა ორი ტენდენცია. პირველი: საზოგადოება არ ეგუებოდა წლების მანძილზე დაგროვილ დამახინჯებებს, ცრუ დაპირებებს, ფორმალიზმს, მოითხოვდა ძირეულ გარდაქმნებს ყველა რგოლში. მეორე: ადამიანებს რწმენა ჰქონდათ დაკარგული, არ სჯეროდათ, რომ მათ წინადადებებს და შენიშვნებს მიიღებდნენ. პარტიული სტრუქტურები მათ თვალში კარგავდა ავტორიტეტს. ახასიათებდათ გულგატეხილობის, უიმედობის სინდრომი. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ ნებისმიერი დონის დადგენილება თუ გადაწყვეტილება ქალაქზე რჩებოდა. რესპუბლიკაში წლების განმავლობაში ხდებოდა გეგმების გაყალბება, პარტიული ხელმძღვანელობა თავის გამორჩენის, პოლიტიკური ეიფორიის ტყვეობაში იყო.

საქართველოს ხელისუფლება ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ პოზიტიური იყო გარდაქმნის პერსპექტივა და მას თავისი კვალი უნდა დაემჩნია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ირკვეოდა რომ პარტიული ხელმძღვანელობის საქმიანობაში კვლავ ადგილი ჰქონდა

სუბიექტივიზმის მკვეთრ გამოვლენას. ცენტრალური ხელისუფლების წინაშე თავის გამოჩენის ტენდენციებმა, სპეციალურად სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო შესასრულებელი გეგმების უზომოდ გადიდება, განსაკუთრებით რესპუბლიკისათვის დამახასიათებელ წამყვან დარგებში – მეჩაიობასა და მევენახეობაში, გამოიწვია ხარისხობრივი მაჩვენებლების უაღრესად დაბალ ნიშნულამდე დაწევა. მართალია, პროდუქციის რაოდენობის გაზრდა შესაძლებლობას აძლევდა რესპუბლიკას მიეღო საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსები, რომელიც მოიხმარებოდა რესპუბლიკის საჭიროებისათვის, მაგრამ სხვა მხრივ, ქართულმა პროდუქციამ უხარისხობის გამო თანდათანობით იწყო დაკარგვა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სივრცეში, არაფერი რომ არ ვთქვათ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებზე.

სამწუხაროდ, აღნიშნული დამოუკიდებლობის შედეგებმა მოგვიანებით მკვეთრად იჩინა თავი საბჭოეთის ყოფილ სივრცეში, ქართულმა ჩაიმ და ღვინომ დაჰკარგა თავისი ღირსება და პრესტიჟი. მაგალითად, საკავშირო ხელისუფლება უკვე 1987 წელს მიიჩნევდა, რომ საქართველოს მეჩაიობაში სერიოზული პრობლემები იყო შექმნილი. მათი აზრით, რესპუბლიკაში მეათე და მეთერთმეტე ხუთწლეულებში (70-იანი წლები და 80-იანი წლების დასაწყისი) დამზადების მოცულობის ზრდა, ჩვეულებრივ, ხდებოდა ჩაის ფოთლის კრეფის აგროტექნიკური მოთხოვნების უხეში დარღვევის გზით, რის გამოც რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების ფართობის 45 პროცენტი (30 ათასი ჰექტარი) ამორტიზირებული იყო. ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების დავალებები კი მეთერთმეტე ხუთწლეულში მხოლოდ 27 პროცენტით შესრულდა.

რესპუბლიკაში, ფაქტობრივად, წლების მანძილზე თითქმის არ ექცეოდა ყურადღება რთული და პრესტიჟული ნაკეთობების გამოშვებას. მანქანათმშენებლობაში სახალხო მოხმარების 304 ძირითადი დასახელების საქონლიდან, რომელთა გამოშვება 1988 წელს იყო გათვალისწინებული, პრესტიჟულობა პირობითად შეიძლებოდა მოგვეკუთვნებია მხოლოდ 20 სახეობისათვის.

რესპუბლიკამ ვერ შეძლო მოსახლეობისათვის მიეწოდებინა ადგილობრივ პირობებში გამოშვებული დაპირებული ახალი საქონელი. საქმეს ვერ შევლოდა საინჟინრო ცენტრების შექმნა, სხვადასხვა გამოფენების მოწეობა. ბევრი ქალაქისა და რესპუბლიკის, თვით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობა. პრაქტიკული შედეგი არ ჩანდა, აურზაური კი დიდი იყო.

არ სრულდებოდა მარცვლეულის წარმოების გეგმები. განსაკუთრებული შეშფოთების ობიექტი იყო მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობაში 99,97 პროცენტი ჯიშიანი იყო, მაგრამ დაბალი იყო შედეგიანობა, რაც იმის დამადასტურებელი იყო, რომ ჯიშიანი პირუტყვი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა.

რესპუბლიკაში წლების მანძილზე ვერ მოწესრიგდა საბინაო პრობლემა. ბინებს ვერ ღებულობდნენ ადამიანები, რომლებიც აღიცხვავებულნი იყვნენ 1962 წლიდან იდგნენ. თბილისში აღრიცხვავებულნი იყვნენ 60 ათასზე მეტი ოჯახი, რომელთაგან 13 ათასი ავარიულ და ფარდალალა სახლებში ცხოვრობდა. 12 წლის მანძილზე რიგმა მხოლოდ 4 წლით გადაიწია, რის შედეგადაც განვლილ ხუთწლედში უბინაოთა რიცხვი კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა, ვინაიდან აღრიცხვავებულნი უფრო მეტი ხალხი დგებოდა, ვიდრე ბინას იღებდა. საბინაო პრობლემას ისეთი რეზონანსი ჰქონდა რესპუბლიკაში, რომ იგი ხშირად ხდებოდა საკავშირო გაზეთების „პრავდისა“ და „ტრუდის“ კრიტიკული შეფასების საგანი. ხოლო საცხოვრებელი ფართობის უკანონოდ მიღების მიზნით, 80-იანი წლების დასაწყისში ცნობილი იყო მრავალი კურიოზული და ამაშფოთებელი შემთხვევა.

კვლავ იზრდებოდა ორგანიზებული და ინდივიდუალური დამნაშავეობა. 1987 წელს გამოვლინდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მიწების დატაცების, სპეკულიაციის, პირადი ქონების მოპარვის, ძარცვის ყაჩაღობის, სასტიკი ძალადობის 500-ზე მეტი ფაქტი. სწორედ, ეს იყო კორუფციონული ჯგუფების აქტიური რეაქცია გარდაქმნის პასუხად. ბევრ სფეროში დაბუდებული იყო მექრთამეობა (კვესელავა 1999ა:15).

1987 წლის 31 ოქტომბერს შეიქმნა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. მისი აქტივისტების უმრავლესობას (40-ზე მეტი კაცი) შეადგენენ უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების ინტელიგენციის წარმომადგენლები. საზოგადოების გამგეობას სათავეში ჩაუდგნენ გ. ო. ჭანტურია, გ. ს. მამულია, მ. ე. ქურდიანი, ც. დ. არდაშელია. 1987 წლის ნოემბერში გამგეობამ თხოვნით მიმართა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ, მაგრამ პასუხად უარი მიიღეს. საზოგადოება განაგრძობდა მოქმედებას, დაიწყო ე.წ. „სათვითგამო“ ჟურნალის „მოამბის“ გამოცემა.

1987 წლის 11 დეკემბერს დამფუძნებელ კრებაზე მიღებული საზოგადოების პროგრამიდან: „...ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ მიზანია, დაიცვას ქართველი ხალხის უფლებები და ინტერესები, იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის,

ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და გაძლიერებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს არაქართველი მოსახლეობის უფლებები. საზოგადოების დევიზია: ენა, მამული, სარწმუნოება” (სობჩაკი 2000:56).

1987 წლის შემოდგომაზე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” შექმნამ სათავე დაუდო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალიზაციას.

ციხეებიდან ახალდაბრუნებულმა პოლიტპატიმრებმა და საზოგადოების გარკვეულმა, არცთუ მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა მიზნად დაისახეს ეროვნული იდეალების საჯარო პროპაგანდა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი პოლიტიკური, სოციალური-ეკონომიკური და ზნეობრივი ნორმების შემუშავება და დამკვიდრება. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” შექმნა მოულოდნელი და უჩვეულო არ ყოფილა არც ქართული საზოგადოებისათვის და არც ხელისუფლებისათვის, პირიქით: საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინიც კი არსებობდა, რადგან უკვე ნათლად იგრძნობოდა, რომ „პერესტროიკით” გამოწვეული და მისი არქიტექტორებისაგან ხელდასმული კრიტიკული ტალღა ვერ ჩაეტეოდა მათთვის სასურველ გარგლებში. საკითხავი იყო, თუ რა ფორმასა და მიმართულებას მიიღებდა „პერესტროიკით” დადგენილ ფარგლებს გაცილებული არაკონტროლირებადი კრიტიკული ტალღა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა და მის ირგვლივ თავმოყრილ ინტელექტუალურ ძალებს არ მოსწონდათ არა მარტო რადიკალთა ერთი ნაწილის მიერ გამოყენებული ბრძოლის ფორმები და მეთოდები, არამედ პირველ რიგში, ინტელიგენციის, ერის ზომიერი ნაწილის მიმართ მისი დამოკიდებულება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთმა აღიარებულმა ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ გაბედულად ამხილა ზვიად გამსახურდიას ინტრიგები, საქმე ღირსების სასამართლომდე მივიდა, ზ. ჭავჭავაძემ კონკრეტული ფაქტებით, მოწმეთა ჩვენებებით დაამტკიცა, რომ ზ. გამსახურდია უღირს, ორმაგ თამაშს ეწეოდა, მაგრამ რადიკალთა უმრავლესობა ჯერ კიდევ გამსახურდიას ჰიპნოზის ქვეშ იმყოფებოდა.

სასამართლომ დაპირისპირება ვერ მოხსნა, პირიქით კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა (ბლუაშვილი 1994:15).

ხელმძღვანელებს შორის დაწყებული უთანხმოების გამო 1988 წლის მარტში მოხდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” გათიშვა და რეორგანიზაცია. მას გამოეყო ჯგუფი “მეთხე დასი” მ. ი. კოსტავას, ზ. კ. გამსახურდიას, გ. ო.

ჭანტურიას, ი. ს. წერეთლის, თ. ი. ჯანელიძისა და ი. გ. ხუხუნიაშვილის შემადგენლობით, რომლებიც უფრო რადიკალურ და ნაციონალისტურ შეხედულებებს იზიარებდნენ.

საზოგადოების პირველ ყრილობაზე, 1988 წლის 8 ოქტომბერს ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ არ არის არალეგალური საზოგადოება, არ ეწევა მართლსაწინააღმდეგო, ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას. ამავე დროს საზოგადოების პროგრამა შეიცავს მთელ რიგ პუნქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციას (**სობჩაკი 2000: 56**). კერძოდ, ყველა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გადასვლა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის დაწესება, ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი), ფულისა და საფოსტო ნიშნების გამოშვებაზე რესპუბლიკის უფლებების აღდგენა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით შეიქმნა „რუსთაველის საზოგადოება“, როგორც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების“ საპირწონე და ხალხმა, მათ შორის თავად „რუსთაველის საზოგადოების“ წევრებმაც, ეს ფაქტი ზუსტად ასე აღიქვა.

აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებდა. უფრო მეტიც, ცდილობდა ხელში აეღო ინიციატივა და რაღაც უნდა დასჯდომოდა, იმთავითვე ეკონტროლებინა ეროვნული მოძრაობა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების განკარგულებაში იყო მკაცრად ცენტრალიზებული ძლიერი და მორჩილი ბიუროკრატიული აპარატი, ძალოვანი სტრუქტურები – მილიცია, პროკურატურა, სუკ-ი, მონოპოლიზებული პრესა და ტელევიზია (**მჭედლიძე 1999: 254**).

1988 წლის მარტის დასაწყისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ გამოეყო ჯგუფი „მეოთხე დასი“. 1988 წლის 26 მაისს (1918 წლის 26 მაისს მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა) „მეოთხე დასმა“ შექმნა, მოეწყო მიტინგი (500-მდე კაცი) ახალგაზრდულ კლუბ „ბერიკონში“. თავყრილობა დამთავრდა იმით, რომ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომლითაც მოითხოვდნენ, ხელისუფლებას უზრუნველყო ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ სამხედრო სამსახურის გავლა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გაეუქმებინა

ბრძანებულება მიტინგების, დემონსტრაციებისა და ქუჩის მსვლელობის მოწყობის აკრძალვის შესახებ.

1988 წლის ივნისში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი დაჯგუფება „ეროვნული ფრონტი“ (ხელმძღვანელები ი. წერეთელი და ი. ბათიაშვილი), რომელიც შემდეგ დაიშალა და შეერწყა „მეოთხე დასს“. 1988 წლის აგვისტოში გამოცხადდა, რომ „მეოთხე დასის“ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (სედპ), რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის.

1988 წლის დეკემბერში „მეოთხე დასის“ და სედპ-ის მოთავეთა სწრაფვას ერთპიროვნული ლიდერობისადმი მოჰყვა ამ დაჯგუფებათა გათიშვა. საბაბი გახდა 1988 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გამართული სედპ-ს კონგრესი, რომელზეც კოსტავა, გამსახურდია, წერეთელი და ბათიაშვილი მიიწვიეს სათათბირო ხმით. ჭანტურიამ განაცხადა, რომ „პარტია“ გამოეყოფა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ („მეოთხე დასი“). ამასთან დაკავშირებით კოსტავამ, გამსახურდიამ, წერეთელმა და ბათიაშვილმა 1988 წლის ოქტომბერის დამლევს გამოაცხადეს, რომ „მეოთხე დასს“ ეწოდა წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

„წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ წესდებაში, რომელიც არალეგალურად გამომაველ გაზეთ „სამშობლოს“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, გაცხადებულია, რომ „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ არის საქართველოს ეროვნულ-პარტიული გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს, დაიცვას ქართველი ერის უფლებები და ინტერესები, უპატრონოს კულტურულ მემკვიდრეობას, გაუღვივოს ქართველ ხალხს ეროვნული თვითშეგნება და აღადგინოს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა“. პარტიის შექმნა 1988 წლის 30 აგვისტოს მიტინგზე გამოცხადდა. იმავე წლის 30 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე გაიმართა სედპ-ის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა, რომ „მისი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“. პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები – ეროვნული ურჩობის მოწოდება და ამ ურჩობის რეალური განხორციელება. პარტიის იდეოლოგიური ბაზისი არის თეოდემოკრატია. პარტიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია არ შეურიგდეს კომპრომისს ხელისუფლებასთან. პარტიის თავმჯდომარე – გ. ო. ჭანტურია

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში” მომხდარი გათიშვის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო მისი შემადგენლობიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გასვლასთან და „წმინდა ილია მართლის საზოგადოებად” წოდებასთან, ი. ს. წერეთელი მის ბაზაზე ქმნის „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას”.

ახალი პარტიის შექმნის საბაზი გახდა დაძაბული ურთიერთობა ი. ს. წერეთელსა და გ. ო. ჭანტურიას (სედპ თავმჯდომარეს) შორის, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ ჭანტურია მითვისა 1988 წლის 23-29 ნოემბერს მთავრობის სახლის წინ გამართული შიმშილობის აქციის პერიოდში შეკრებილი დიდი თანხა.

1989 წლის 27 მარტის მიტინგზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსთან წერეთელმა ოფიციალურად გამოაცხადა პარტიის შექმნა და წაიკითხა მისი პროგრამა და წესდება, რომელშიც მთავარ მიზნად გამოცხადებულია: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, საქართველოს გასვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, კომუნისტური პარტიის დათხოვნა, საქართველოს ტერიტორიაზე გაეროს ჯარის შემოყვანა, ნატოს სამხედრო ბლოკში შესვლა, „დამოუკიდებელი საქართველოს ახალი მთავრობის შექმნა”.

1988 წლის ოქტომბერში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში” განხეთქილებისა და „ლიბერალების” ფრთის შექმნის შემდეგ ი. გ. შენგელაია თანამოაზრეებთან ერთად შევიდა მის შემადგენლობაში. მაგრამ ცოტა ხანში ჩამოშორდა „ლიბერალებს” და შექმნა თავისი დაჯგუფება, ე. წ. “საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი” (სესკ), რომელიც მიემხრო „მოეთხე დასის” ექსტრემიტულ დაჯგუფებას.

1988 წლის 3 ნოემბერს სესკ-ის დამფუძნებელ კრებაზე წაიკითხეს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნის შესახებ და აირჩიეს „სამუშაო ჯგუფი” შენგელაიას მეთაურობით, სესკ-ის ყრილობის მოსამზადებლად. თავიანთი საქმიანობის საწყის ეტაპზე სესკ-ში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კომისიები, რომლებსაც უნდა ემუშავათ სხვადასხვა საკითხებზე. საქმიანობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ აღნიშნული კომისიები არ ასრულებდნენ არავითარ სამუშაოებს, გარდა იმისა რომ უშვებდნენ და ავრცელებდნენ ნაციონალისტური ყაიდის ჟურნალ-გაზეთებს - „უწყებანი”, „ერი” და „კლდე”.

1989 წლის 1-2 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა სესკ-ის პირველი ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 200 კაცი, მათ შორის, არაფორმალური გაერთიანებათა მოწვეული წამომადგენლები. ყრილობამ დაამტკიცა პროგრამა, წესდება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანო - „კავშირის“ საბჭო.

სესკ-ის პროგრამა მიზნად ისახავდა სოციალისტური ფედერალიზმიდან ეროვნულ ფედერალიზმზე გადასვლას, რაც გულისხმობდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს ხელისუფლების რწმუნებათა მინიჭებას რესპუბლიკის მოელ ტერიტორიაზე:

- ბუნებრივი რესურსების საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ საკუთრებად გამოცხადებას;
- საქართველოს მოქალაქის დიფერენცირებული სტატუსის მიღებას;
- ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნას;
- სახელმწიფოს შექმნას კონფედერაციის პრინციპებით;
- თანდათან გადასვლას მსოფლიოს ყველა ერის თანამეგობრობაში.
- მომავალი მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს ოპოზიციურ პარტიებსა და სახალხო ფრონტს.

- სესკ-ი საბოლოო მიზნად აცხადებს ქართველი ერის ინტერესების დაცვას საქართველოს განთვისუფლების მისაღწევად **(სობჩაკი 2000: 65)**.

- 1988 წელს ეროვნული მოძრაობის აღმავლობა გარკვეულწილად განაპირობა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებებმაც: აშშ-მა შეიმუშავა რუსეთში კომუნიზმის უსისხლო უკუგდების დოქტრინა. დასავლეთმა კარგად უწყობდა, თუნდაც ელემენტარული ცვლილება რუსეთის პოლიტიკურ სტრუქტურაში გაამძაფრებდა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, ამიტომ მან გორბაჩოვის „გარდაქმნის თეორიას“ გაკრიტიკების ნაცვლად, აქტიურად დაუჭირა მხარი. საბჭოეთში პლურალიზმის დაშვებამ კი გამოაცოცხლა პოლიტიკური აზრი, რამაც განაპირობა ეროვნული მოძრაობის კერების გაჩაღება მოლდავეთში, ბალტიისპირეთში, საქართველოში... სოციალური პირობების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა ხალხის ფართო მასები თვით რუსეთში, ხოლო ჩერნობილის ავარია, გერმანელი მფრინავის მატყას რუსტის თვითმფრინავის წითელ მოედანზე დასმა, ყარაბაღისა და ავღანეთის მოვლენები, ტელეხიდები მოსკოვ-ვაშინგტონს შორის და ანტისტალინური პროპაგანდის პირველი ტალღები იყო უტყუარი ნიშნები საბჭოთა კავშირის დაშლის დასაწყისისა.

დაახლოებით ამავე პერიოდში თბილისში იქმნება პირველი ე.წ. არაფორმალური გაერთიანება – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. მას სათავეში ედგნენ დისიდენტები: თ. ჩხეიძე, ზ. ჭავჭავაძე, გ. მამულია, საზოგადოებაში მიიწვიეს ყველა დისიდენტი ზ. გამსახურდიას გარდა. (თავისი 1978 წლის ცნობილი მონანიების გამო) **(შამუგია 2002:88-89)**.

ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღა 1988 წლის 24 თებერვლით იწყება. უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტებმა სწორედ იმ დღეს მოაწყვეს მიტინგი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად. იმ პერიოდისთვის ის მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა „მოწმენდილ“ ცაზე. პარალელურად დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა სხვადასხვა ეროვნული მოთხოვნებით. მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის საკითხი **(სონღულაშვილი 1999:27-28)**.

1987 წელს გრანდიოზულად აღინიშნა ი. ჭავჭავაძის 150 წლისთავი. საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძებამაც ამ დღეებში იჩინა თავი: უცნობმა ტერორისტებმა ააფეთქეს ფ. მახარაძის საფლავი (ის 12 საათში აღადგინეს ჯ. პატიაშვილის ბრძანებით); სასწრაფოდ შეიარაღებული დაცვა დააყენეს ს. ორჯონიკიძის ძეგლთან, რამაც სიტუაცია ძლიერ დაძაბა... ამას მოჰყვა 24 დეკემბრის აქცია დიდუბის პანთეონში, რომლის ინიციატორები იყვნენ მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ა. იმნაძე, კიდევ სხვა რამდენიმე დისიდენტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები. ის მიექდგნა 1937 წელს დახვრეტილი პატრიოტების ხსოვნას.

აქცია დაიშალა... მაგრამ მას მოჰყვა უდაოდ სერიოზული შედეგი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმმა პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გაათავისუფლა ა. ინაური, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა კავშირში და მთელი 40 წელი ხელმძღვანელობდა ქართულ კგბ-ს. ეს იყო ეროვნული მოძრაობის პირველი გამარჯვება, რაც გახდა საფუძველი 1988 წლის მოვლენებისა **(შამუგია 2002: 90-91)**.

1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მასობრივი მიტინგი. ნოემბრის აქციის საბაზად გ. ჭანტურიამ და მისმა პარტიამ გამოიყენეს იმ ხანებში გამოქვეყნებული სსრ კავშირის კონსტიტუციის შენიშვნებისა და

დამატებების პროექტით ქართველ ხალხში შექმნილი საყოველთაო უკმაყოფილება. აღნიშნული პროექტი ხელყოფდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლისა და საშინაო საქმეების განკარგვის შესახებ. 119-ე მუხლის ძალით სსრ კავშირის ხელისუფლებას ენიჭებოდა კავშირის ნებისმიერ რეგიონში სამხედრო თუ საგანგებო წესების შემოღების უფლება.

კონსტიტუციის ამ რეაქციული შესწორების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს არა მარტო არაფორმალურმა ორგანიზაციებმა, არამედ ინტელიგენციამ, სტუდენტობამ, მშრომელებმა, არსებითად მთელმა საქართველომ.

ჟ. პატიაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეთმო მომიტინგეებისათვის. პირადად პატიაშვილის განკარგულებით მოშიშმიღებებს მიუტანეს ლეიბები და საბნები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმების, თვით ჯანმრთელობის მინისტრის მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა.

25 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოითხოვა კონსტიტუციის 108 და 119 მუხლების რეაქციული შესწორებების ამოღება. ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა ვითარების შემდგომი გამწვავება და როგორმე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე მიეღწია აქციის შეწყვეტისათვის (**ბლუაშვილი 1994: 16**).

დაძაბული სიტუაციის განსამუხტავად 25 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან მოეწყო სსრკ-ისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, მეცნიერებისა და ფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლების შეხვედრა, რომლებმაც ისაუბრეს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარებისა და მისი ასპექტების შესახებ. მაგრამ, ვინაიდან, ახალგაზრდების ძირითადი მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი იყო, გაფიცვა გრძელდებოდა... უფრო მეტიც, 25 ნოემბრის ღამეს უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: მიტინგის ერთ-ერთი აქტივისტი მთავრობის სასახლის თავზე ავიდა და საბჭოთა დროშა ჩამოხსნა. ეს იყო გაბრიელ (გაბული) ისაკაძე. ამ აღმაშფოთებელი საქციელის გამო, ის გიჟად მონათლეს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს და მანამდე აწამებდნენ იქ, სანამ 1989 წელს მ. კოსტავას ძალისხმევით არ მოუხსნეს ხულიგნობის მუხლი (მერაბმა მის გასათავისუფლებლად მიტინგზე 10 000 ხელმოწერა შეაგროვა).

29 ნოემბერს აქციის მონაწილეებს გააცნეს მ. გორბაჩოვის სიტყვა, რომლის მიხედვით, ის ითავლისწინებდა რა ქართველი სტუდენტების მოთხოვნას, წყვეტდა კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას

29 ნოემბერს დღის 1 საათზე აქცია ორგანიზებულად შეწყდა.

ეს იყო ეროვნული მოძრაობის პირველი მასობრივი გამოსვლა აშკარა ანტისოციალისტური ლოზუნგებით, რომელსაც ხელისუფლებამ ტყვიებით და რეპრესიებით ვერ უპასუხა.

ნოემბრის აქციამ ხელისუფლებას დაანახა, რომ რადიკალები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ, რადიკალებმა კი იგრძნეს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის უნარი შესწევდათ.

მანიფესტაციებმა განსაკუთრებით კრიზისული ხასიათი მიიღო 1988 წლის ნოემბერსა და 1989 წლის თებერვალში. თანდათან გამოიკვეთა ხელისუფლების მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების მიმართ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ჩატარებული 38 მიტინგიდან მხოლოდ 4 იყო ნებადართული, თუმცა უარის თქმის გადაწყვეტილებანი, ჩვეულებრივ მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. იყო აგრეთვე უსანქციო მიტინგების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები – 1988 წლის 22 სექტემბერს, 1989 წლის 18 და 25 თებერვალს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კპ ცკ მაშინდელმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში სკკპ ცკ მიმართა თხოვნით თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. ყველაფერი ეს იწვევდა ხელმძღვანელობისა და ხალხის პოზიციების სრულ პოლარიზაციას (**სონდულაშვილი 1999: 28-29**).

1988 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან რესპუბლიკის პრესაში, გაზეთებსა და ჟურნალებში დაიწყო მწერლების, მეცნიერების სტატიების გამოქვეყნება ნოემბრის დღეებში თბილისში მომხდარი ამბების შესახებ. ავტორთა ერთი ჯგუფი არ იწონებდა ქალაქის ქუჩებსა და მეოდნებზე გამოსულ ადამიანთა კრიტიკას კომუნისტური მმართველობის მიმართ.

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულიყო ამ საკითხებში, შეეჯერებინა პრობლემები და მიეცა მათთვის პოლიტიკური შეფასება. სხვადასხვაგვარი არასანქცირებული მიტინგები, ქუჩის მსვლელობა-დემონსტრაციები გარდაქმნის სასარგებლოდ არ იყო მიმართული. ცხადია, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მას მოუმზადებელი შეხვდნენ, რითაც

ისარგებლეს კიდევაც არაფორმალურმა გაერთიანებებმა და დაიწყეს პოლიტიკური ძალაუფლების დისკრედიტაციის მცდელობა.

აღნიშნული მოძრაობა მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ყოფიერებაში რადიკალური ცვლილებებისა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ წამოწყებული გარდაქმნის იდეების მყისიერი განხორციელების მოლოდინის ფონზე, მაგრამ ამ დაჯგუფებების მიერ გარდაქმნის საწინააღმდეგო აზრი გამოკვეთილი იყო. ამ მხრივ დამალული არ იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ღოზუნგები და მოთხოვნები.

ამდენად, 1988 წლის შემოდგომაზე საქართველოს პოლიტიკური აზროვნების ახალი ტალღა ახდენდა ხელისუფლების სიმტკიცის მოსინჯვას, ცდილობდა გაეფართოებინა თავიანთი გავლენის სოციალური ბაზა, თავიანთ მხარეზე გადმოიყვანა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ადამიანები, მიტინგზე შემთხვევით მოსულ უბრალო ცნობისმოყვარეების ჩათვლით.

ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოში ყალიბდებოდა ახალი სოციალურ-პოლიტიკური რეალობა, რომლებსაც უნდა განესაზღვრა საზოგადოების სახე, და თუ პარტია თავს თვლიდა საზოგადოების ავანგარდის როლის შემსრულებლად, მაშინ ღრმად უნდა ჩაწვდომოდა მიმდინარე მოვლენებს.

სტუდენტთა მიტინგები დაიწყო შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დასაცავად და შესანარჩუნებლად, მაგრამ შემდგომში ახალგაზრდობის გამოსვლებს ფართო გასაქანი მიეცა და მასში პოლიტიკური შინაარსი ჩაიდო. მიტინგებზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა ღოზუნგები „დამოუკიდებელი საქართველოს“ შესახებ, რომელსაც, არსებითად, არავითარი წინააღმდეგობა არ ხდებოდა საზოგადოების მხრიდან. აღნიშნული ფაქტი თავისთავად ახსნას იმსახურებს იმ ასპექტში, რომ ამ დროისათვის, განსაკუთრებით, ცენტრალურ პრესაში, სხვადასხვა მოღვაწეთა გამოსვლებში გამოითქმებოდა მოსაზრებები, რომლებიც აკნინებდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებებს, რაც ბადებდა პროტესტსა და აღშფოთებას და ამით ქმნიდა ხელსაყრელ ნიადაგს საპასუხო რეაქციისათვის.

ძნელი შესამჩნევი არ იყო ისიც, რომ მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობის თვალში მიტინგები გამართლებული იყო როგორც აქცია, განწყობა, მიმართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ზემოქმედების მოსახდენად, და კონსტიტუციური შესწორებების ბედ-იღბლის განსასაზღვრად.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალი ძალები ძალაუფლებისაკენ ისწრაფოდნენ და შესანიშნავად შეეძლოთ გამოეყენებინათ მასების ცნობიერება მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტატუსის იდეის დასაცავად.

ახალგაზრდობას ჰქონდა ნაკლოვანებებიც – უფროსი თაობისადმი გარკვეული მოწიწებისა და პატივისცემის დაკარგვა, უმართაობისა და თვითნებობის ნიშნებით, პროფესიონალური და საერთო განათლების ნაკლებობა, პოლიტიკური კულტურის უქონლობა. მაგრამ ახალ თაობას ჰქონდა საფუძველი არ მოსწონებოდა ყველაფერი უფროსი თაობის ბევრი რამ.

ღრო რესპუბლიკის წინაშე აყენებდა ამოცანას, მიეღო ოპტიმალური და არაორდინალური გადაწყვეტილებები. არსებითად შეეცვალა მრავალი ჩვეული წარმოდგენა და შეხედულება, დაუფლებოდა პროფესიონალიზმს. გამოეყვინა საქმიანი და ადამიანური თვისებები. უნდა ესწავლათ კრიტიკის ყურადღებით მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, როგორც უნდა ყოფილიყო იგი. დაეძლია ძველი წარმოდგენები და შეხედულებები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პრობლემებზე. მაგალითად, უკუეგდო დიდხანს გაბატონებული შეხედულება, რომ საბჭოთა კავშირში ერთაშორის ურთიერთობაში, ყველაფერი რიგზე იყო და აქ ყველა საკითხი ერთხელ და სამუდამოდ იყო გადაწყვეტილი. სინამდვილეში, როგორც ვითარება ცხადყოფდა, ეროვნული საკითხების თავისი მნიშვნელობით მთელი საბჭოების მასშტაბით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამრიგად, 1998 წლის შემოდგომაზე – ფაქტობრივად, სექტემბერ-ოქტომბერში განვითარებული მოვლენების ანალიზი საქართველოს ხელისუფლების წინაშე აყენებდა ამოცანას გადაესინჯა წარსულის ბევრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონცეფცია. უპირველესად, დაეხვეწა ადამიანებთან მუშაობის პოლიტიკური მეთოდები. პარტიულ ორგანიზაციებს ჩამოცილდებოდა სამეურნეო მართვის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტის ფუნქცია.

1988 წლის დასაწყისიდან ეროვნული მოძრაობის რადიკალურ ნაწილში განხეთქილება მოხდა. გარეგნულად იგი ზნეობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი პიროვნული ხასიათის წინააღმდეგობას წააგავდა, მაგრამ მისი ფესვები გაცილებით ღრმად იყო გადგმული.

80-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით ხშირად ახსენებდნენ ცნობილ „მესამე ძალას“, რომელიც იყო უპირველესი ინსპირატორი

მზაკერულად დაგეგმილი ეთნოკომფლიქტებისა, ექსტრემიზმისა, ტერორისა, მაგრამ ამასობაში ყველას დაავიწყდა ან დროზე ვერ ამჩნევდნენ ყველაზე ვერაგი „მეოთხე ძალა“ – „ქართველები ქართველების წინააღმდეგ“ (სონღულაშვილი 1999:30).

„მეოთხე ძალა“ პირველად (და სამწუხაროდ „წარმატებით“) გამოიცადა „სტუდენტურ პოლიგონზე“. ამ ძალის ყველაზე „გეგმაზომიერი“ დემონსტრირება მოხდა ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართულ მიტინგზე, სადაც ცნობილმა ძალებმა ერთმანეთს მიუსიეს ე.წ. კომკავშირელი აქტივისტები და დანარჩენი ახალგაზრდობა.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასამდე კომკავშირელს 1989 წლის 18 თებერვალს დაავალეს მიტინგის დარბევა, თავიანთი თანატოლებისა და ამხანაგების ცემა და შეურაცხყოფა. მათაც „პირნათლად“ აღასრულეს დავალება. კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით ხელისუფლებამ სასტიკად, დაუნდობლად დაარბია მიტინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მიემართა აფხაზი ხალხისათვის მოწოდებით: არ აპყლოდა პროვოკატორებს, რომლებიც აფხაზებს გადაჯიშებისკენ მოუწოდებდნენ. აი, ამ კეთილშობილური შინაარსის მიტინგს ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა და მას ერთაშორის შუღლის გაღვივება, შოვინიზმი და ნაციონალიზმი დასწამა. 18 თებერვლის სამარცხვინო აქცია, როდესაც ქართველმა ახალგაზრდებმა ქართველივე თანატოლები სცემეს, მორალური თვალსაზრისით, გაცილებით დიდ ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა, ვიდრე 9 აპრილის ღამე, როცა ქართველები ერთად იყვნენ მართალნი, კეთილშობილნი და ამალღებულნი.

უფრო მეტიც, 1989 წლის 6 მარტს საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: „სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში, შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები. ასე უყრიდნენ საფუძველს ქართველი ახალგაზრდების ერთმანეთთან დაპირისპირებას.

§ 4. 1989 წლის 9 აპრილი

*„ერთად ერთი ეპონენია ჩვენი დამოუკიდებლობისა
იყო, აზილ და იქნება თვით ქართველი ხალხის ძვენებაში...
კონსტანტინე ვაძლასკირია*

ნებისმიერი ერი ძნელად თუ ეგუება ან ხშირ შემთხვევაში საერთოდ ვერ ეგუება დამოუკიდებლობის დაკარგვას. საქართველოს ისტორიაც ხომ დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორიაა, ქართველი ხალხი ვერ შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველობამ მას მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კვლავ გააერთიანა, და, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გადაარჩინა. ყოველი ქართველის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, რომ ჩვენი წინაპრების თავგანწირვის, თავისუფლებისკენ სწრაფვის იდეალები ნასაზრდოები იყო მაღალი ეროვნული ცნობიერებით. რამდენი მრავალრიცხოვანი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ხალხი გაქრა, აღიგავა მიწისაგან პირისა ეროვნული ცნობიერების დაქვეითების გამო. ამიტომ დამპყრობლები ცდილობდნენ წაეშალათ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობა, ეროვნული ტრადიციები.

XIX საუკუნის II ნახევარში ილია ჭავჭავაძე სვამდა კითხვას – რამ გადაგვარჩინა, როგორ შევქელით ათასი ჯურის დამპყრობლებთან გამუდმებული ბრძოლების გადატანა? როგორ შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული თავისთავადობა? მან ამ კითხვაზე პასუხი გასცა თავისი პრაქტიკული საქმიანობით. ქართული ეროვნული ცნობიერების აღმავლობა–განვითარება დაკავშირებული იყო მთელ რიგ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან.

ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე, სამშობლოს სიყვარული არასოდეს სხვა ხალხის ინტერესების შელახვის ხარჯზე არ მომხდარა.

დიახ, „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას... ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არა იპოვება“–წერდა იაკობ გოგებაშვილი.

რომელისამე ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის.

9 აპრილის ტრაგედია სათვეს ე.წ. „აფხაზური წერილიდან“ იღებს (ქინქლაძე 1990:13). საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებსაც რუსეთის რეაქცია ასაზრდოებდა. ყველაზე რელიეფურად, ყველაზე შეურაცხყოფელად ეს სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ღიხნში აფხაზეთის ნაციონალისტების თავყრილობაზე. აქ 1989 წლის 18 მარტს 30 000 აფხაზი შეიკრიბა. აქ იყვნენ აფხაზეთის ასსრ აფხაზი ხელმძღვანელი, პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც. რუსეთის რეაქციული ძალების მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა თავყრილობაზე მიიღეს ე.წ. „ღიხნის მიმართვა“. სეპარატისტები შეეცადნენ ეჩვენებინათ აფხაზეთის მიმართ საქართველოს „ძალმომრეობის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების“ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ. ეს წერილი გაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა ვითარების გამწვავება. 3 აპრილს ცენტრალური კომიტეტის შენობაში მოეწყო შეხვედრა ჯ. პატიაშვილს, ზ. გამსახურდიას, მ კოსტავასა და ზ. ჭავჭავაძეს შორის. აფხაზეთში გამწვავებული ვითარების გამო თბილისში მიტინგები არ უნდა დაწყებულიყო, ვიდრე აფხაზეთში სიტუაცია არ დარეგულირდებოდა. მოხდა შეთანხმება ზ. გამსახურდიას ნების საწინააღმდეგოდ, 4 აპრილს მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მოშიმშილეთა აქცია, მოთხოვნით: გადაეყენებინათ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა. მაგრამ, უკვე 4 აპრილიდან თბილისში დაიწყო ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიტინგების სერია. ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე თბილისის უნივერსიტეტში შედგა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის ასსრ პრობლემასთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოითხოვდა ეროვნულ დაუმორჩილებლობას, საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას, ქვეყანაში ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას. ამრიგად, ქართველი

ინტელიგენციის ზომიერ, აწონდაწონლ პოზიციას დაუპირისპირდა რადიკალური იდეოლოგია, ეგზალტირებულ მასაზე გათვლილი არარეალური პოლიტიკა.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა გადაწყდა. ეს იდეა ეკუთვნოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, რომლის ფაქტიური ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე იყო. 4-5 აპრილს მიტინგს სწორედ ეს არაფორმალური დაჯგუფება აკონტროლებდა. მომიტინგეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ეს იყო რეაქცია ლიხნის შეკრებაზე მიღებულ ანტიქართულ დოკუმენტზე.

აქციის დასაწყისში, სუკ-ი, როგორც ჩანს, შორს იხედებოდა. ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი რამდენიმე პროვოკატორის, ცრუ დისიდენტის საშუალებით, მათ სურდათ აქციის წარმართვა მხოლოდ აფხაზეთთან დაკავშირებული მოთხოვნებით. სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში გამართულ მიტინგზე მავანნი და მავანნი ცდილობდნენ აქციის წარმართვას არასასურველი გზით და წინააღმდეგნი იყვნენ დამოუკიდებლობის ღოზუნგების წამოყენებისა. წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ჰელსინკის ჯგუფისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები, ამ აქციის ძირითადი ორგანიზატორები, დამოუკიდებლობის მოთხოვნას აყენებდნენ უწინარეს ყოვლისა. ყოველივე ამაში მათ მხარს უჭერდა აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ტელევიზიის შენობასთან დაიწყო აქცია იგივე მოთხოვნით (**გამსახურდია 1990: №7**).

პროვოკატორებს ქართველთა და აფხაზთა შორის სისხლისღვრის გამოწვევა სურდათ – კონკრეტული დღეც იყო „ბართლომეს დამის“ დაწყებისთვის დანიშნული. განმეორდებოდა „სუმგაითის“ ტრაგედია და სამხედრო მდგომარეობა მისგან გამომდინარე შედეგებით უკვე „კანონიერ“ საფუძველზე იქნებოდა შემოღებული. ეროვნული მოძრაობის აქტივისტებიც უკვე „კანონიერად“ იქნებოდნენ დაპატიმრებულნი, როგორც „ეროვნული შუღლის გამჩადებლები“. მოძრაობა მიიღებდა მძლავრ დარტყმას, ხოლო ადამიანთა მსხვერპლი იქნებოდა გაცილებით მეტი ვიდრე 9 აპრილის სისხლიან დილას (**ჭანტურია 1990:№29**).

„ჩვენ ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ თავისუფალ სამყაროს, ვაფრთხილებდით ყველას, რომ საქართველოში მზადდებოდა სისხლიანი პროვოკაცია, რის შედეგადაც წითელი არმია უკვე მედიატორად, წესრიგის დამამყარებლად მოგვევლინებოდა. ჩვენი მეცადინეობით თბილისში 4 აპრილს

დაწყებულ აქციას მალე მიეცა სასურველი ფორმა: გაქრა ლოზუნგები აფხაზეთზე და მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა უმთავრესზე – საქართველოს დამოუკიდებლობაზე. დაისვა პოლიტპატიმართა განთავისუფლების საკითხიც” –წერდა გიორგი ჭანტურია (გამსახურდია 1990: №7).

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აფხაზეთს არ დაეკარგავდით, რადგან კრემლი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არ დაუშვებდა ტერიტორიების გადანაწილებას და ამის პრეცედენტს არ შექმნიდა. მაგრამ აღშფოთებული, რისხვად შეკრული ხალხის ენერჯის სწორი მიმართულებით წარმართვა აუცილებელი იყო სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. საჭირო იყო ისეთი ლოზუნგის წამოყენება, რომელიც თავისი მნიშვნელობით „გადაფარავდა“ აფხაზეთის „პრობლემით“ შობილ ლოზუნგს და აქციას სხვა მიმართულებას მისცემდა.

ამასთან დაკავშირებით, ილიასა და აკაკის ძეგლთან, რუსთაველის პროსპექტზე მოხდა დავა და კამათი ზვიად გამსახურდიას და ზემოხსენებულ პირებს შორის. ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით, ეროვნული მოძრაობის გეგმები საერთო სახალხო განხილვის საგნად უნდა ქცეულიყო. ამ მიზნით მან კოლონა უნივერსიტეტიდან წაიყვანა „დინამოს“ სტადიონზე და ფეხბურთის მატჩის მაყურებლებს მოუწოდა გადმოენაცვლათ რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო კიდევ აქციის ბედი. მოწოდებისთანავე დაახლოებით 40 ათასიანი მასა დაიძრა რუსთაველის პროსპექტისაკენ. ამ გრანდიოზულ მსვლელობას გზაში შემოუერთდა მრავალი ადამიანი, რუსთაველის პროსპექტზე მოზღვავედა დაახლოებით 100 ათასი კაცი.

6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა უფრო რადიკალების – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის – ი. წერეთლისა და გ. ჭანტურიას ხელში გადავიდა, რომლებიც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს დამოუკიდებლობას“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“ და ა.შ.

მოშიმშილეებს საქართველოს ყველა კუთხისა და რაიონის წარმომადგენლები უერთდებოდნენ. აქციაში ყველა ეროვნული პარტია მონაწილეობდა, ტრიბუნებზე კი მიტინგს უშუალოდ ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ზ. ჭავჭავაძე, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვები უძღვებოდნენ.

აქცია 14 აპრილამდე უნდა გაგრძელდეს. მერე ეროვნული ყრილობა უნდა მოეწვიოს და ამის შემდეგ აპირებდნენ დაშლას. ეს ხელისუფლებამაც იცოდა, მაგრამ იმპერიის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ სისხლიანი დარბევითა და დასჯით ქართველ ერში თავისუფლების სულისკვეთებას ჩაკლავდნენ. არტალია მომიტინგეები 9 აპრილს დარბევას ელოდნენ, მაგრამ დახოცვას არავინ მოელოდა, რადგანაც მანამდეც არაერთხელ დაურბევიათ მიტინგები თუმცა მსხვერპი არ ყოფილა (მიქაუტაძე 2003: №095).

პარტიის ცეკაში, 3 აპრილიდან, ყოველდღე იმართებოდა სამდივნოსა და ბიუროს სხდომები, ექებდნენ გამოსავლის. აღსანიშნავია 7-8 აპრილს გამართული სხდომები, რომლებიც დახურულ ხასიათს ატარებდა შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ კეთდებოდა.

7 აპრილს (მოსკოვში გამართულ – დ. ე.) სკკპ ცეკაში გამართულ თათბირზე მომხსენებელი იყო ვიქტორ მიხეილის ძე ჩებრიკოვი.

მან დეტალურად გადმოსცა ჯ. პატიაშვილთან თავისი საუბრის არსი, აღწერა არსებული მდგომარეობა და მოახსენა საქართველოს ხელმძღვანელობის თხოვნა ცენტრის მიერ გადაუდებელი ღონისძიებების მიღების შესახებ.

მერე გამოვიდა თათბირის ყველა მონაწილე, თანაც რამდენჯერმე. ყველა იხსენებდა სუმგაითის ტრაგიკულ შემთხვევას. ხელისუფალთა უმოქმედობის გამო ათეულობით მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. ყველას გამოსვლის დერძი, გულისგული იყო კითხვა, თუ რა პროფილაქტიკური ღონისძიებების მიღება შეიძლებოდა, რათა თავიდან აეცილებინათ მოვლენათა დრამატული განვითარება.

ყველაზე გადამწყვეტი პოზიცია დაიჭირეს ნ. სლიუნკოვმა და ა. ლუკიანოვმა, რომელნიც სწორედ სუმგაითის განმეორების შიშით გვთავაზობდნენ ჯარების მომზადებას, რათა არაფრით არ დაეშვათ მასობრივი უწყესრიგობანი.

როგორც ჩებრიკოვის მოხსენებიდან ირკვევა, არასანქციონირებული მიტინგების ლოზუნგებს შორის იყო ასეთებიც: „ხალხთა საპრობილეა“, „რუსო დამპყრობლებო, წაეთრიეთ შინ!“, „შეწყდეს ქართველთა დისკრიმინაცია საქართველოში!“, „ძირს თურქეთის აგენტურა!“ და სხვა ლოზუნგები ნათლად გამოხატული ნაციონალისტური შეფერილობით. აი ამიტომ იყო, რომ თათბირის მონაწილენი დაბეჯითებით მოითხოვდნენ ჯარების პრევენციულ დისლოკაციას

საქართველოში. რაც მთავარია არ იქნეს დაშვებული ეროვნებათაშორისო კომფლიქტი და ახალი მსხვერპლი – ასეთი იყო ლაიტმოტივი ყველა გამომსვლელისა, რომელთაც მოწონებით ხვდებოდნენ. საჭიროა სუმგაითის ტრაგედიიდან გაკვეთილის გამოტანა, კმარა დაგვიანება **(ლიგაჩოვი 2002: 29-30)**.

ჩებრიკოვის დასკვნები ასეთი იყო: „კარგია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გვამცნობს მომხდარის შესახებ, მაგრამ ქართველმა ამხანაგებმა თვითონ უნდა მიიღონ ზომები, ამასთანავე თავს იჩენს ტენდენცია, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობას სურს პასუხისმგებლობას გაექცეს, უნდა გადაწყვეტილების მიღება ცენტრს გადააბაროს.

თათბირის ბოლოს აზრები შეაჯამა ე. ლიგაჩოვმა და თქვა: ჩვენ ვერანაირ სერიოზულ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ, სანამ არ გავიგებთ მთელი საქართველოს ხელმძღვანელობის აზრს. ჩვენ ხომ ახლა მხოლოდ პატიაშვილის პირადი აზრი ვიცით. მას უნდა მიეცეს რეკომენდაცია განიხილოს სიტუაცია საქართველოს კომპარტიის ცკ-ში, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, მინისტრთა საბჭოში – შემდეგ კი დაუმატა: – გარდა ამისა, ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს მხოლოდ სატელეფონო ინფორმაცია ე. ი. თქვენ, ამხანაგო ჩებრიკოვ და თქვენ, ამხანაგო რაზუმოვსკი, თქვენეულ დასკვნებს აფუძნებთ სატელეფონო საუბრებზე პატიაშვილთან. ჩვენ კი, კონკრეტული დონისძიების მისაღებად გვჭირდება დეპეშები მაინც. დაე, შეიკრიბონ ქართველი ამხანაგები, კოლეგიურად განიხილონ მდგომარეობა და სასწრაფოდ აუწყონ დეპეშით ცკ-ს თავიანთი აზრი.

ამ აზრს ყველამ მხარი დაუჭირა. საბოლოოდ თათბირმა შემდეგი რეკომენდაციები მიიღო: ჯერ ერთი, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა კაბინეტებში კი არ უნდა იხსდეს, არამედ დაუყოვნებლივ მიტინგზე გამოვიდეს თავიანთი პოზიციის ახსნა-განმარტებით. რა თქმა უნდა, ეს არ არის მოხერხებული და მყუდრო, შეიძლება გისტვინონ, მაგრამ მაინც აუცილებელია მისვლა და დალაპარაკება უშუალოდ ხალხთან. მეორეც, მასობრივი უწყესრიგობის საშიშროების გათვალისწინებით აუცილებელია უმთავრესი, სასიცოცხლოდ აუცილებელი სამეურნეო ობიექტების დაცვის გაძლიერება, ხალხის დაცვა გაუთვალისწინებელი მოვლენებისაგან, რასაც შესაძლოა ეროვნებათაშორისო მტრობის აფეთქებები მოჰყვეს, ამ მიზნით თბილისში გადასრილილი უნდა იქნეს ჯარის ნაწილები, მათ შორის მათი სომხეთიდან მობრუნების ხარჯზე.

იმის შესახებ, როდის უნდა გადასროლილიყო საჯარო ნაწილები და რა რაოდენობით, ეს საკითხი არ განხილულა.

თათბირის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სადამოს უნდა მოხსენებოდა ინგლისიდან დაბრუნებულ მ. გორბაჩოვს (**ლიგაჩოვი 2002:30-31**).

7 აპრილს, მ. გორბაჩოვი, ე. შევარდნაძე, იაკოვლევი და დელეგაციის სხვა წევრები, ინგლისიდან მოსკოვში დაბრუნდნენ. წესიამებრ, გენერალურ მდივანს აეროპორტში მთელი პოლიტიკური დახვდა. მოიკითხა გორბაჩოვმა რა ხდებოდა ქვეყანაში. აქ მას ლიგაჩოვი ცვლიდა. გორბაჩოვს რეგიონებში მდგომარეობის შესახებ მოახსენეს: „საქართველოში გართულებულია სიტუაციაო. დიდი რაოდენობით იკრიბება ხალხი, მაგრამ დაშლა სირთულეს არ წარმოადგენს, ამ დღეებში შეიკრიბება პარტაქტივი და იმსჯელებენ...” (**შევარდნაძე 2006: 224**).

ასევე ჩებრიკოვმა გარკვევით ჩამოაყალიბა მუშა თათბირის დასკვნები, გორბაჩოვმა მაშინვე გადაწყვეტით დაუჭირა მხარი და თქვა;

– ამხანაგები შევარდნაძე და რაზუმოვსკი ხვალვე უნდა გაფრინდნენ თბილისში. გაერკვიეთ იქ, ადგილზე ვითარებაში, მესმის, რომ ბევრი საქმე გვაქვს, მაგრამ გაფრენა აუცილებელია. მთელი ძალა უნდა ვიხმართ, რომ კონფლიქტი განიმუხტოს პოლიტიკური ღონისძიებებით. თუ საჭირო იქნება უნდა შეხვდეთ მიტინგის მონაწილეებს.

– წინაარმდეგი არ ვარ – იყო შევარდნაძის პასუხი – მაგრამ იქნებ ჯერ რესპუბლიკის ხელმძღვანელს ვკითხო, ჩემი ჩასვლა დაეხმარება თუ გაურთულებს საქმეს?

სამინისტროში მისვლის შემდეგ, ე. შევარდნაძემ დაურეკა ჯ. პატიაშვილს, უამბო, რა მოხდა აეროპორტში, რა დაავალა გორბაჩოვმა და კითხა თუ რა აზრის იქნებოდა ის.

პატიაშვილმა უპასუხა, რომ: შევარდნაძის ჩასვლა თბილისში დაძაბავდა იქ არსებულ სიტუაციას. ხვალ აქტივის კრება იქნება და ალბათ, გამთენიისას, როცა მიტინგზე ცოტა ხალხი იქნება, აქციას მშვიდობიანად დავშლითო. თქვენ, რომ ჩამობრძანდეთ, შეიძლება სიტუაცია გართულდეს (ხალხის ახალი ტალღების მოზღვავება ჰქონდა მხედველობაში)...

შევარდნაძემ პატიაშვილთან სატელეფონო საუბრის შესახებ მოახსენა გორბაჩოვს, რომელიც დაეთანხმა მის მოსაზრებას, რომ წასვლას მართლაც არ ჰქონდა აზრი (**შევარდნაძე 2006: 225**).

გორბაჩოვის წინადადების თანახმად, 8 აპრილს ცკ-ში ჩებრიკოვის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოსადმი მიძღვნილი ახალი თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაკატინმა, პოლიტბიუროს წევრმა ე. შევარდნაძემ (**ლიგაჩოვი 2002: 40**).

თათბირი შეუდგა პატიაშვილის შიფროგრამის განხილვას. პირველი დეკემა მიღებულია 7 აპრილს 20 საათსა და 40 წუთზე. დეკემა შემდეგია: „უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში მკვეთრად გამწვავდა ვითარება. საბაბი გახდა აფხაზეთის ასსრ სოფელ ლიხნში 18 მარტს გამართული თავყრილობა, რომელმაც დააყენა საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მაგრამ მოვლენები გასცდა აღნიშნულის ფარგლებს. ექსტრემისტული ელემენტები ამწვავებენ ნაციონალისტურ განწყობილებას, მოუწოდებენ გაიფიცონ, არ დაემორჩილონ ხელისუფლებას, იწვევენ არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საგანგებო ზომებია მისაღები.“

საჭიროდ მიგვაჩნია: დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ღოზუნგებითა და მოწოდებებით. საამისო სამართლებრივი საფუძვლები არსებობს.

მეორე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების გამოყენებით შემოდებულ იქნეს თბილისში საგანგებო მდგომარეობა – კომენდანტის საათი.

მესამე, განხორციელდეს პარტიული და საბჭოთა, სამეურნეო აქტივის ძალებით ვითარების სტაბილიზაციის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი – ჯუმბერ პატიაშვილი (**სობჩაკი 2000: 15-16**).

როგორც დეკეშიდან ჩანს, უკვე 7 აპრილს, ცკ-ს ბიუროზე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გადაწყდა, წესრიგი აღდგენილიყო უიარაღო შინაგანი ჯარის დახმარებით, რადგან მილიციის ძირითადი ძალები ვითარების გამწვავების გამო აფხაზეთში იყო გადაყვანილი. აქვე კონტროლის წინადადებით გადაწყდა ოფიციალური თხოვნით მიემართათ მოსკოვისათვის. ყველა ვინც გამოდიოდა

ხალხის დაშლის მომხრე იყო. მხოლოდ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ნოდარ ჭითანავა, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე გამოვიდნენ აქციის ძალით დაშლის წინააღმდეგ.

მოსკოვში მიმდინარე თათბირის წინაშე წარდგა სამხედროთა ჯგუფი, გენერალ კოჩეტოვის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა ხელმძღვანელობის მხარდამჭერი სიტყვა თქვა, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება არ მოუთხოვია (**შევარდნაძე 2006: 225**).

8 აპრილს თბილისში ჩატარდა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, სადაც ჯუმბერ პატიაშვილმა აღნიშნა, რომ „რესპუბლიკაში შეიქმნა უკიდურესად დაძაბული, ფეთქებადი, საშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალისტური წყობილების დამხობისაკენ.” აქტივზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მომიტინგეთა მოედნიდან გასაძევებლად ჯარის ნაწილების გამოყენების შესახებ. იმავე დღეს პატიაშვილის სახლთან მიტინგზე შეიკრიბნენ ქალები. სწორედ 8 აპრილს დილას ჩატარდა სამხედრო ძალის დემონსტრირება, ქალაქის თავზე დაფრინავდნენ შვეულმფრენები, თბილისში ჩაიარა ჯავშანტრანსპორტიორთა სამმა კოლონამ. მოსალოდნელი ეგექტის საწინააღმდეგოდ ამ აქციას მოჰყვა მომიტინგეთა რიცხვის მკვეთრი ზრდა მთავრობის სასახლესთან. სხვა სიტყვებით, 8 აპრილს მდგომარეობა ქალაქში სულ უფრო მეტად იძაბებოდა, პატიაშვილის თბილისურ გამოსვლებში გაისმოდა სულ უფრო საგანგაშო, რომ არა ვთქვათ, პანიკური ნოტები.

მოსკოვში კი უცებ მიდის შიფროგრამა სრულიად განსხვავებული. შიფროგრამა გაგზავნილი 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე. „გაცნობებთ, ვითარება თბილისში კვლავ დაძაბულია. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგები, რომლის ძირითადი ღოზუნგები იგივეა: სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიების ლიკვიდაცია და სხვა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გაიმართა ქართველი ეროვნების პირთა 3,5 – ათასიანი მიტინგი, რომელიც მიმართული იყო საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოყოფის წინააღმდეგ.

მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ნაწილმა მომიტინგეთა მხარდასაჭერად შიმშილობა გამოაცხადა. მთლიანად, საქართველოს კპ

ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ფლობენ სიტუაციას, იღებენ საჭირო ზომებს ვითარების სტაბილიზაციისათვის.

გუშინ, 7 აპრილს, გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, დღეს – რესპუბლიკის პარტიული აქტივი, რომელზეც მოიწონეს პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების ღონისძიებანი შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პოლიტიკური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად, აგრეთვე, მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა რესპუბლიკის კომუნისტების, მშრომელებისადმი. კერძოდ, დასახულია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და ცკ-ის წევრების მონაწილეობით რესპუბლიკის ყველა რეგიონში მოეწიოს აქტივები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, სადაც მიღებულ ღონისძიებათა გასავითარებლად შეიმუშავენ პრაქტიკულ სამოქმედო გეგმებს.

ტელევიზიით და რადიოთი, პრესით ორგანიზებულია რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების, მუშათა კლასის, გლეხობის წარმომადგენლების გამოსვლების სერია. უმაღლეს სასწავლებლებში ეწეობა „მრგვალი მაგიდები“, ახალგაზრდობის შეხვედრები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, მართლსაწინააღმდეგო მოქმედების დამღუპველობის, ჩადენილისათვის პასუხისგების ღონისძიებების, დემოკრატიისა და საჯაროობის შემდგომი განვითარებისათვის დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. აქტივის შემდეგ ყველანი გავიდნენ ადგილებზე... თბილისის 111 საწარმო-დაწესებულებაში შეიქმნა მუშათა რაზმები 4 ათას 685 კაცის შემადგენლობით, რომლებიც ხელს შეუწყობენ დისციპლინისა და ორგანიზებულობის დამყარებას. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შეიმუშავებულია და ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი მართლწესრიგის დასაცავად, საჭიროების შემთხვევაში არეულობის, მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან აცილების მიზნით ამომწურავი ზომების მისაღებად... სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის მხრივ უკვე მიღებული ზომების დამატებით რაიმე ღონისძიებების მიღება ამ მომენტისათვის არ არის საჭირო.

გაცნობებთ ინფორმაციის წესით ჯუმბერ პატიაშვილი.

8 აპრილი, 20 საათი და 50 წუთი (სობჩაკი 2000:16-17).

იგივე ტონი გაისმა მოსკოვთან სატელეფონო საუბრებში. რატომ მოხდა ასეთი მკვეთრი ცვლილება პატიაშვილისეულ შეფასებებში?... აკი წინადღის საღამოთი იგი დაუინებით მოითხოვდა ცენტრისაგან დახმარებას, მიუთითებდა რა, რომ ვითარება „პრაქტიკულად გამოდის კონტროლიდან“. ამასთანავე ცენტრმა არ მისცა მას თანხმობა საგანგებო მოთხოვნათა პირველი და მეოთხე პუნქტების შესრულებაზე.

პატიაშვილის მოულოდნელი საზღვრებს გადასული ოპტიმიზმის გამო, რამაც მას უარი ათქმევინა შევარდნაძის წასვლაზე, ხომ არ დაიკარგა მშვიდობიანი პოლიტიკური დარეგულირების შანსი?

ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხია გაცემული ქართული კომისიის დასკვნაში, სადაც ნათქვამია: „კრების (პარტიული აქტივის) მიმდინარეობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილმა კრებას აცნობა პოლიტბიუროს წინადადება თბილისში ამხანაგების შევარდნაძისა და რაზუმოვსკის დახმარების გასაწევად ჩასვლის შესახებ. ჯ. პატიაშვილმა ეს არ ჩათვალა საჭიროდ, რის გამოც არ იქნა გამოყენებული რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური დარეგულირების დამატებითი შესაძლებლობა.“ (ლივაჩოვი 2002: 42-43)

დილით კი, იმის შემდეგ, რაც ტრაგედია თბილისში უკვე დატრიალდა, პატიაშვილმა გამოგზავნა დეპეშა შემდეგი შინაარსით: „1989 წლის 8 აპრილს ღამით თბილისში, 21 საათის შემდეგ პარტიული, სამართალდამცველი ორგანოების მიერ მიღებული მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკის მთავრობის სახლის შენობასთან 15 ათასამდე კაცის მონაწილეობით მიმდინარე მიტინგებზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ნაწილებში, ექსტრემისტები უკიდურესად ძაბავდნენ ვითარებას, რომელიც კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტირუსული მოწოდებების გარდა გაისმა ექსტრემისტთა მიმართვა, ფიზიკურად გასწორებოდნენ კომუნისტებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელებსა და მათი ოჯახის წევრებს, მომიტინგენი რომელთა შორის მრავლად იყვნენ მთვრალეები, ნარკოტიკებით გაბრუებულნი, მოუწოდებდნენ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობას, დარაზმულიყო გაფიცვისათვის, სამოქალაქო ურჩობისათვის, იმათი რბევა-დაწიოკებისათვის, ვინც მათ არ უჭერს მხარს. დაიწყო

ექსტრემისტთა ჯგუფების დელეგირება მიტინგის მონაწილეებთან ერთად რესპუბლიკის ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში. ქალაქ რუსთავში განხორციელდა მეტალურგიული ქარხნის ხელში ჩაგდების ცდა. ეგრეთ წოდებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები საჯაროდ აცნობდნენ ხალხს რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს.

ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განუჭვრეტელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დილის 4 საათზე გამოყენებული ყოფილიყო ძალა მთავრობის სასახლის შენობის მიმდებარე მოედნის მომიტინგეთაგან გაწმენდისათვის. კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად გამოყენებული იქნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები...

რა გამოდის? 20 საათსა და 50 წუთზე „სიტუაციას ფლობდნენ“, 21 საათის შემდეგ კი „სიტუაცია არაკონტროლირებადი გახდა“... პატიაშვილის ოპტიმიზმმა, ასე მოულოდნელად რომ გაიჟღერა მოსკოვთან 8 აპრილს შემდგარ საუბარში, რეალური მოვლენების გამოცდას ვერ გაუძლო.

გაოცებას იწვევს შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ქვედანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც მშვიდობიანი მიტინგის დარბევაში მონაწილეობდნენ: მოტომსროლელები, ქვეითები, საჰაერო დესანტი, შინაგანი ჯარები, საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფები, ტანკები, ჯავშნოსანი მანქანები, რომ აღარაფერი ვთქვათ ცეცხლმსროლელ, ქიმიურ იარაღსა და მესანგრეთა ხელბარებზე. გორკიდან გადმოსროლეს სამხედრო კურსანტები, ბაქოდან – ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მეომრები, ამავე ნაწილების მეთაურები ჩამოფრინდნენ მოსკოვიდან, ჩამოვიდნენ ქვედანაყოფები ვორონეჟიდან, პერმიდან, და ეს ყველაფერი განხორციელდა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე (**სონდულაშვილი 2010:32**).

1989 წლის 8 აპრილს გამოქვეყნდა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს მკაცრი ბრძანებულება, მიტინგებისა და დემინსტარციების აღკვეთის შესახებ.

7 აპრილს თბილისში მოულოდნელად ჩამოსული სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი კონცტოვი საფიქრებელია, შეუდგა იმის სამზადისს, რაც 9 აპრილს უნდა მომხდარიყო. ცნობილი ფაქტია, რომ ტრაგედიის შემდეგ გენერალმა როდიონოვმა სცადა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო – ვილაცის დაფარვის მიზნით, მაგრამ არც კონცტოვი და

არც როდიონოვი არავის დაუსჯია. რადგან ი. როდიონოვი საქართველოს ხელისუფლებას დადგენილი „წესის“ მიხედვით არ ემორჩილებოდა, ამიტომ ის ვერ შეასრულებდა რესპუბლიკის ხელმძღვანელის განკარგულებას. კონცეტოვისა და როდიონოვისათვის შეეძლო ებრძანებინა მხოლოდ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს გენერალ იაზოვს. მაგრამ იაზოვი დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, მით უმეტეს თბილისის მიტინგის დარბევაში მონაწილეობდა შინაგანი ჯარიც, რომელიც მას არ ემორჩილებოდა. ამდენად, იაზოვისა და ბაკატინისათვის ასეთი უფლება შეეძლო მიეცა მთავრობის თავმჯდომარეს, ან პოლიტბიუროს, უფრო ზუსტად, უმაღლეს მთავარსარდალს - მ. გორბაჩოვს

8 აპრილამდე მთავრობის სახლსა და ეზოში დიდძალი მილიცია იყო მობილიზებული. 8 აპრილს ნაშუადღევს დაიწყო მათი გაყვანა მანქანებით. მთავრობის სახლის გასწვრივ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიციელი (რომლებიც განიარაღებულნი ყოფილან წინასწარ). ამასობაში ზვიად გამსახურდიას აცნობეს, რომ ცხვარიჭამიაში შემოსულა შინაგანი ჯარების დიდი ნაწილები, რომელნიც უთუოდ დაარბევდნენ დემონსტრაციას და მათ ათასამდე ადამიანის მოკვლის ნებართვაც ჰქონდათ, მაგრამ ეს ყოველივე მორიგ შანტაჟად ჩაითვალა.

9 აპრილს 2.50 საათზე მომიტინგეთა წინაშე გამოვიდა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი რ. ვ. გვენცაძე, რომელმაც მოუწოდა ხალხს დაშლილიყო, სანამ ჯარები ძალას გამოიყენებდნენ. მაგრამ წ. გვენცაძე მომიტინგეებმა მიკროფონით არ აღაპარაკეს და იძულებული იყო გადასატანი მეგაფონი ესმარა. ოპერაციის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მომიტინგეებს მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. კათალიკოსის გამოსვლა ღრმა დუმილით მოისმინეს, კეთილგონიერებისაკენ მოწოდების შემდეგ, შვიდ წუთს ყველა დუმდა, მერე კი ამას მოჰყვა საერთლო ლოცვა „მამაო ჩვენო“. მომიტინგეებმა შეინარჩუნეს წესრიგი, სიმშვიდე, არავის ეტყობოდა შიშის ხილული ნიშნები. ბევრნი მღეროდნენ და ცეკვავდნენ. შემდეგ გამოვიდა არაფორმალების ერთ-ერთი ლიდერი ი. წერეთელი და ხალხს მოუწოდა, არ დაშლილიყვნენ, არ გაეწიათ წინააღმდეგობა, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე. მერე ურჩია უმჯობესია დავსხდეთო („მჯდომარე კაცს არ ერჩიან!“), რაც ბევრმა გააკეთა კიდევ, უმთავრესად მთავრობის სახლის კიბის მიდამოებში. მან თავისი მოწოდება

დაასრულა 3. 59 საათზე. 4.00 საათზე გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა ბრძანება გასცა, დაეწყოთ გამოდგენის ოპერაცია **(სობჩაკი 2000:162-163)**.

ამ დროს ზვიად გამსახურდიას სთხოვეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შესულიყო მთავრობის სახლის თაღებქვეშ, სადაც ქალაქის მილიციის უფროსმა რ. გვენცაძემ მას ამცნო, რომ ჯარი და სამხედრო ტექნიკა მოსულია უკვე მოედანზე და 15 წუთში თუ არ დაშლიდა მიტინგს, მოხდებოდა ტრაგედია. ზვიად გამსახურდიამ მიტინგის დასაშლელად დრო ითხოვა.

მან განუმარტა, რომ მიტინგის დაშლა მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული, საჭირო იყო თათბირი, რასაც ერთი ან ორო საათი დასჭირდებოდა მაინც და მოითხოვა დრო დილაძე. მაგრამ ისინი მაინც თავისას გაიძაძხნენ და მიტინგის დაუყოვნებლივ დაშლას მოითხოვდნენ. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიას მიმართ გაისმა მუქარაც: სახლს აგიფეთქებენ ცოლ-შვილიანად და შენც გაგანადგურებენო **(გამსახურდია 1990:№7)**.

ამ დროისათვის მოედანზე რეალურად შექმნილი ვითარება (დაახლოებით 10 ათასი კაცის არსებობა) და მზადყოფნა, რომლითაც მიტინგის მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ გაეგრძელებინათ იგი, მოითხოვდა განსაკუთრებით აწონდაწონილ, წინდახედულ გადაწყვეტილებებს. მაგრამ ეს გარემოებანი არ იქნა მიღებული მხედველობაში აზრთა გაზიარების დროს, რომელიც 3.30 საათზე გაიმართა ჯ. პატიაშვილსა და ი. როდიონოვს შორის ტელეფონით. აღნიშნულმა თანამდებობის პირებმა გამოიჩინეს აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობა, როდესაც უსიტყვოდ დაადასტურეს წინათ მიღებული გადაწყვეტილება.

ოპერაციაში მონაწილეობისათვის მობილიზებული იყო 2550 კაცი; 6 ჯავშანტრანსპორტიორი (ბტრ); 8 დესანტის საბრძოლო მანქანა (ბმდ); 4 სახანძრო მანქანა და 2 სანიტარიული ავტომობილი...

4.05 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდა 4 ჯავშანტრანსპორტიორი. ისინი პროსპექტის მთელ სიგანეზე მოდიოდნენ, ხალხი შეუფერხებლად ატარებდა მათ, ნაწილი მთავრობის სახლისაკენ გადავიდა, ნაწილი – მხატვრის სახლისა და ქაშვეთის ეკლესიისაკენ. ჯავშანტექნიკას მოჰყვებოდა საჯარისო ჯაჭვები, რომლებიც 4.07 საათზე გაჩერდნენ მიჯნაზე; მხატვრის სახლის შესასვლელი – მთავრის სახლის წინამდებარე მარჯვენა გაზონი. ამასთან მომიტინგეთა ძირითადი მასა მთავრობის სახლის კიბესთან შეჩერდა.

პოდპოლკოვნიკმა ა. ბაკლანოვმა მეგაფონით შესთავაზა მიტინგის მონაწილეებს, დაეცალათ რუსთაველის პროსპექტი და გააფრთხილა, რომ უარის თქმის შემთხვევაში ძალას გამოიყენებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მოედნის გუგუნის გამო ეს გაფრთხილება ბევრს არ გაუგია.

საწყის პოზიციებზე ჯარების გამოსვლის შემდეგ მომიტინგეებმა იწყეს მოედნის დატოვება, მაგრამ საკმარისი დრო დაცლისათვის არ მიუციათ, ამასთან მხედველობაში არ იქნა მიღებული არც ის, რომ მოედნიდან თითქმის ყველა გასასვლელი გადაკეტილი იყო ავტოტრანსპორტით, ე.ი. ევაკუაციის გზები მკვეთრად იყო შეზღუდული. 3 წუთის შემდეგ მოედნიდან ადამიანთა გამოდევნის ოპერაცია გაგრძელდა **(სობჩაკი 2000:163-164)**.

მე-4 მოტომსროლელი პოლკის საჯარისო ჯაჭვებმა შევიწროება დაუწყეს მომიტინგეებს როგორც მთავრობის სახლთან, ისე რუსთაველის პროსპექტის გაყოლებით. ამასთან, მიტინგის მონაწილეთა დიდი ნაწილი, რომელიც მთავრობის სახლის მარცხენა მხარეს იმყოფებოდა, კვლავ ადგილზე რჩებოდა და უნებლიედ უშლიდა ხელს ფრონტიდან გამოდევნილ ადამიანთა თავისუფალ გასვლას. სიტუაცია სერიოზულად გააღრმავა იმან, რომ ამ დროს მე-8 მოტომსროლელი პოლკის პირველმა ბატალიონმა, რომელიც გენერალ-მაიორ ი. ეფიმოვის სიტყვიერ ბრძანებას ასრულებდა, დაიწყო მოძრაობა მოედანზე ჭიჭინაძის ქუჩიდან ერთი მხრივ, სამხედრო მოსამსახურეთა ჯაჭვის მოძრაობისა. მეორე მხრივ, მომიტინგეთა წინააღმდეგობით გამოწვეული ადამიანთა მასების მზარდი შემჭიდროების შედეგად, მარცხენა გაზონის მიდამოებში წარმოიშვა ჭეჭყვა, სწორედ აქ აღმოჩნდა ყველაზე მეტი დაღუპული და დაზარალებული სამოქალაქო მოსახლეობის რიცხვიდან.

ამ ეტაპზე მომიტინგეთა ნაწილი აღმოჩნდა ალყაში, ე.ი. მოქცეული იყო სამხედროებსა და დემონსტრანტებს შორის, რომლებსაც ჯერ ვერ მოესწროთ გამოსვლა. მოხდა გააფრთხილებული შეტაკება ინსტრუქციის ყოვლად უხეში დარღვევით. რეზინის ხელკეტებისა და მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენება, მომიტინგეთა გარეკვისას მცირე ქვეითთა ბარების ხმარება.

შეისწავლა რამ მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტური მასალა სობჩაკის კომისიამ, გამიტანა მტკიცე დასკვნა, რომ არავითარი დამაჯერებელი არგუმენტები, რომლებიც ამართლებდეს მოედნიდან მომიტინგეთა გამოდევნის ოპერაციაში საბჭოთა არმიის საჰაერო-სადესანტო პოლკის ასეულის შეყვანას, არ არსებობს.

4.21 საათისათვის მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნის გაწმენდა დამთავრებული იყო, მე-8 მოტომსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონი შეუერთდა მოტომსროლელი პოლკის მე-4 ბატალიონს, რომელიც განაგრძობდა მომიტინგეთა გამოდევნას.

ოპერაციის ამ ეტაპზე შინაგანმა ჯარებმა, სძლევდნენ რა რუსთაველის პროსპექტზე შევიწროებული მიტინგის მონაწილეების აქტიურ წინააღმდეგობას, არაერთგზის გამოიყენეს სპეცსაშუალება „ჩერიომუხა“.

რესპუბლიკის მოედანთან მიახლოებისას (გასასვლელი ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით იყო ჩახერგილი). მზარდი წინააღმდეგობის გამო პოდპოლკოვნიკმა ა. ბაკლანოვმა თვითნებურად გასცა ბრძანება, ესმართ არასატაბელო ნაწარმი კ-51, რომელიც მომწამვლელ ნივთიერებას სი-ესს შეიცავს. გამოიყენეს ოთხი ხელყუმბარა, რომელთაგან ერთი არ აფეთქდა.

გამოდევნის ოპერაციის დამთავრების სტადიაზე ადგილი ჰქონდა მიტინგის ერთ-ერთი მონაწილის ცეცხლსასროლი იარაღით თავში დაჭრის ფაქტს.

ამრიგად, მომიტინგეთა გამოდევნის ოპერაციის რეალური მიმდინარეობის ერთობლივი ანალიზი უტყუარად ადასტურებს, რომ მხოლოდ, ერთი მხრივ, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის, წესდებების, მითითებებისა და ინსტრუქციების უხეში, დანაშაულებრივი დაუდევრობის ტოლფასი დარღვევებისა და მეორე მხრივ, ორგანიზატორებისა და მიტინგის მონაწილეთა ერთი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად ტრაგიკულად დამთავრდა.

რამდენიმე წუთში რუსთაველის დიდებული პროსპექტი სასაფლაოს დაემსგავსა... გაზაფხულის იმ დილას 19-მა მშვიდობიანმა ქართველმა შესწირა სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებას. მათგან უფროსი იყო 70 წლისა, უმცროსი 16 წლისა (**გვერდწითელი 1990: 244**). მათ შორის 16 ქალი იყო, 1000-ზე მეტი დაჭრილ-დასახიჩრებული და გაზით მოწამლული საავადმყოფოში მოათესეს. მათ შორის არცერთი არ ყოფილა მიტინგის მომწიკობთაგან. ისინი თავიანთ ბინებში გაქცეულნი დააპატიმრეს. მეორე დღესვე დააპატიმრეს ზ. გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მეშვიდე დღეს (9 აპრილიდან) დააპატიმრეს ირაკლი წერეთელი. თუმცა ისინი მალე გაანთავისუფლეს, რადგან მათი დაპატიმრება ზრდიდა დაძაბულობას ახალგაზრდობაში (**გაფრინდაშვილი 1997: 69**).

ბარბაროსული აქციის მსხვერპლნი გახდნენ: 1. ადამია აზა რაქდენის ასული – 22 წლის; 2. ბეჟანიშვილი ეკა თამაზის ასული – 16 წლის, კომაროვის

სკოლის X კლასის მოსწავლე; 3. გიორგაძე ნატო ალექსის ასული – 23 წლის; 4. დოლიძე თამუნა გრიგოლის ასული – 28 წლის; 5. ენუქიძე თინა სევერიანის ასული – 70 წლის; 6. თოიძე ნინო შუქრის ასული – 25 წლის; 7. კიკვიძე ზაირა აბელის ასული – 61 წლის; 8. ლოლაძე მანანა ლევანის ასული – 33 წლის; 9. მამულაშვილი თამარი ივანეს ასული – 50 წლის; 10. ნოზაძე მამუკა გივის ძე – 22 წლის; 11. სამარგულიანი ნანა ალექსანდრეს ასული – 41 წლის; 12. ჭყონია-სამარგულიანი მარინა ტრისტანის ასული – 31 წლის; 13. ჭიპაშვილი ელისო გიორგის ასული – 25 წლის; 14. ჭოველიძე თამარი არკადის ასული – 16 წლის; 15. ჯანგირაშვილი ნოდარი შოთას ძე – 40 წლის; 16. ჯინჭარაძე მზია მიხეილის ასული – 43 წლის.

მიღებული ტრავმების შედეგად საავადმყოფოში 11 აპრილს გარდაიცვალნენ: მელქაძე მანანა ამირანის ასული – 23 წლის და ქარსელაძე გია გიორგის ძე – 25 წლის.

ტრავმების შემადგენელი ნაწილი გახდა სახტელერადიოს შენობა. უბედურების მომასწავებელ ნიშნად იქცა მუხლუხებიანი მანქანების განლაგება ტელევიზიის შენობის მოპირდაპირე მხარეს. ტელევიზიის ვესტიბიული ჯარისკაცებით აივსო, მაგრამ დარბევა ქვემოლან დაიწყო.

„იკარუსებით“ მოიყვანეს სამი ასული ხელკეტებიანი ჯარისკაცი სამასამდე უიარალო კაცის დასარბევად. აქ ორღესული ბარები არ ჰქონიათ. ვერაგული გეგმა ითვალისწინებდა მომიტინგეთა ზევით, შენობისაკენ გარეკვას, რომ ვესტიბიულში ავტომატმომარჯვებულებს ტყვიით დაეცხრილათ ისინი და, რა თქმა უნდა, ყოფილიყო საბაბი პოლიტიკური ამბიციისათვის – ტელევიზიის აღება უნდოდათ.

დაიწყო აქცია! გმირთა მოედანზე მდგარმა ჯარისკაცებმა ხალხი შენიშნეს და ზოოპარკში კიჟინით შეცვივდნენ. გაქცეულებმა ზოოპარკის სიბნელეს მისცეს თავი.

9 აპრილს თბილისში დაძაბული მდგომარეობა გრძელდებოდა. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში – საბურთალოში, ვაკეში, ლენინის მოედნის მიმდებარე ქუჩებსა და სხვა ადგილებში – გროვდებოდა მომხდარი ფაქტით აღშფოთებული ადამიანთა ჯგუფები – ძირითადად ახალგაზრდობა და გამოსატავდნენ უკმაყოფილებას ჩადენილი ვანდალიზმის გამო.

თბილისში ზოგიერთი საწარმო, მათ შორის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, „თბილისის საწარმოო გაერთიანებები – „ჩარხმშენებელი“,

„ბასტრიონი“, „ისანი“, „კამეოლ-მაუდის კომბინატი“, „გრეხილი ავეჯის კომბინატი“ და მთელი რიგი სხვა საწარმოები არ მუშაობდა, არ გამართულა მეცადინეობა თბილისისი მეტწილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგიერთ საშუალო სკოლაში.

დაღუპულთა შესახებ არსებული ოფიციალური ცნობების მიუხედავად, ვრცელდებოდა ხმები ასობით ადამიანის დაღუპვაზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობას. გრძელდებოდა მჯდომარე გაფიცვები სამახატვრო აკადემიასთან (სონღულაშვილი 1999:51).

აღნიშნული ვითარების გამო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მრავალი მძღოლი სამუშაოზე არ ცხადდებოდა, რის შედეგადაც მოიშალა მიწისზედა ტრანსპორტის გრაფიკით მუშაობა. როგორც ჩანს ამას მოითხოვდნენ არაფორმალური ჯგუფები. მათი აზრით საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება ხელისუფლებისადმი პროტესტს გამოხატავდა.

მცირე რაოდენობით ხაზზე გამოსული ტრანსპორტის მოძრაობას წინ აღუდგნენ მოპიკეტეები.

ისინი უნომრო მანქანებით დაქროდნენ ქალაქის ქუჩებში და ტრანსპორტის მძღოლებს მანქანის ფარებსა და მინებს უმსხვრევდნენ. მგზავრები ჩამოყავდათ ავტობუსებიდან და აიძულებდნენ ფეხით ევლოთ. იყო მანქანების დაწვის მუქარაც თუ მათ მოთხოვნას არ დაემორჩილებოდნენ.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ თბილისში, 10 აპრილიდან ვითარების ნორმალიზაციამდე, შეწყვიტა აღკოპოლიანი სასმელების რეალიზაცია საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა ობიექტში.

საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში: ქუთაისში, ყვარელში, სამტრედიისში, ბათუმში, ახალგორში, სოხუმში, გაგრაში, რუსთავში, ბორჯომში, დუშეთში იმართებოდა საპროტესტო მიტინგები მომხდარი ტარაგედიის გამო. მხოლოდ დუშეთში გამართულ მანიფესტაციაში 1500 კაცი მონაწილეობდა. გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ, როგორც თბილისიდან ჩასული, ასევე ადგილობრივი ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

9 აპრილს ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ მანქანები შავი ლენტეხითა და მუდმივად ჩართული სიგნალებით. ადამიანთა ჯგუფი ცდილობდა ქალაქის №1 საავადმყოფოდან სიონის საკათედრო ტაძარში გადაესვენებინა მიცვალებულთა გვამები, მაგრამ სამხედროებმა გაფანტეს ეს ადამიანები. გავლილი მანქანიდან

ესროლეს ქუჩაში გამგლეელ მოქალაქეებს, დაიჭრა რამდენიმე კაცი. მათ შორის 13 წლის ბიჭი.

იმავე დღიდან სამხედრო შენაერთებმა და საბრძოლო მანქანებმა დაიკავეს ხიდები, განლაგდნენ მნიშვნელოვანი ობიექტების ახლოს. თბილისის თავზე დაფრინავდნენ ვერტმფრენები, ქუჩებში მოძრაობდნენ ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. პატრული მოქალაქეთა ავტომანქანებიდან ხსნიდა შავ ლენტებსა და სამგლოვიარო ნიშნებს.

9 აპრილს 23 საათიდან თბილისში დაწესდა კომენდანტის საათი. 23 საათიდან დილის 6 საათამდე ქალაქში წყდებოდა ქვეითების თავისუფალი სიარული. თბილისის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა სისხლიანი აქციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გენერალ-პოლკოვნიკი – ი. როდიონოვი. კომენდანტის საათი გაგრძელდა 1989 წლის 18 აპრილამდე.

11 აპრილს საქართველოში გლოვის ნიშნად ძირს იქნა დაშვებული სახელმწიფო აღმები. თითქმის ყველა ოჯახის აიენიდან გადმოფინეს შავი დროშები. აიკრძალა სანახაობანი, რესპუბლიკურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს მკითხველთა წერილები, რაშიც გამოხატული იყო ღრმა მწუხარება მომხდარის უბედურების გამო.

კომენდანტის საათის შემოღებიდან 2 საათის შემდეგ პატრულმა მოკლა უდანაშაულო კაცი გია ქარსელაძე. როგორც სამხედრო პატრული ამტკიცებდა მანქანაში მსხდომ ახალგაზრდებს თითქოს წინააღმდეგობა გაეწიათ და გაქცეულიყვნენ, არადა ახალგაზრდას ტყვია შუბლში ჰქონდა მოხვედრილი. მოგვიანებით დაზუსტდა გია ქარსელაძის მკვლეელ – კაპიტან ლოხინის ვინაობა. როგორც ვხედავთ ჯარისკაცებმა დაუსჯელობის იმედით ქართველებზე ნადირობა გამართეს.

15 აპრილს ათასობით თბილისელმა გააცილა უკანასკნელ გზაზე ტრაგიკულად დაღუპულნი. დაკრძალვის ცერემონიები გაიმართა ვაკის, საბურთალოს, კუკიის, მუხათგვერდის, დიდმის, თბილისის ზღვისა და ავლაბრის სასაფლაოებზე. დაკრძალვის დროს მოეწყო სამგლოვიარო მიტინგები.

33 წლის წინათ, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიისას ქართველ ხელისუფალთ ეყოთ „სინდის-ნამუსი“ კვლავ გაეგრძელებიონათ ხელისუფლების სათავეში დოგმა. მაგრამ ამჯერად ხელისუფლებს ის ვაჯკაცობა მაინც ეყოთ, რომ გადამდგარიყვნენ თანამდებობებიდან (ყორანაშვილი 2001: 71). 10 აპრილს

თბილისში ჩამოფრენილმა ე. შევარდნაძემ და გენერალმა რაზუმოვსკიმ ცეკას ჯუმბერ პატიაშვილი გადაარჩევინეს და მის ნაცვლად გივი გუმბარიძე აარჩევინეს პირველ მდივნად. (ახალი ხელმძღვანელობა ვითარებას ვერ აკონტროლებდა და რესპუბლიკის საჭირობო სკითხებს ე.წ. არაფორმალური წყვეტდნენ. შექმნეს 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევითი კომისია, რომლის მუშაობაში მონაწილეობზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ უარი თქვა (გაფრინდაშვილი 1997:96-97).

დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, სახელმწიფოთა პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ პროცესებს, მაგრამ სახელმწიფოთა ხელისუფლებები, რა თქმა უნდა, ოფიციალურად თავს იკავებდნენ, ეროვნული მოძრაობების მხარდაჭერისაგან. 1989-1990 წლებში, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ის დრო, როცა დასავლეთის რომელიმე ქვეყანა და მათ შორის აშშ ღიად გამოხატავდა სიმპატიას, რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისადმი.

ამ რეალური კანონებით აიხსნებოდა, ის თავისებური გულგრილობა, რომლითაც დასავლეთის მთავრობები შეხვდნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას. არც ერთი დასავლური სახელმწიფოს მეთაური ან უმაღლესი რანგის მოხელე, საგარეო საქმეთა მინისტრის დონეზე მაინც, არ გამოსულა და ოფიციალურად არ დაუგმია საბჭოთა ხელისუფლების ქმედება, არ მოუხდენია მომხდარის პოლიტიკური შეფასება.

სამაგიეროდ 9 აპრილის მოვლენები სრულიად საღად და ობიექტურად შეაფასეს დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა და პოლიტიკური ელიტის მეორე ეშელონის წარმომადგენლებმა. სამწუხაროდ გამომხატვრებს თუ მხარდაჭერას მხოლოდ მორალური მხარე ჰქონდა, რადგანაც არ ასახავდა შეერთებული შტატების ოფიციალურ კურსს.

თავის დროზე შეიქმნა სამი კომისია: ირაკლი მენაღარიშვილის (მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი) ინიციატივით შეიქმნა 9 აპრილის პირველი საზოგადოებრივი კომისია, („საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია“, რომელიც სხდომებს ჯანდაცვის სამინისტროში ატარებდა. კომისია საზოგადოებრივი იყო, ამდენად – თავისუფალი და რაკიდა მასში ბრწყინვალე ექსპერტები შედიოდნენ, პრინციპული და უშიშარი მოღვაწენი, პირველად სწორედ მან დაარქვა სახელი ყველაფერს – მომწამვლელ გაზებს, საბრძოლო

ნიჩბებს, სამხედროთა სიცრუეს (შევარდნაძე 2006:227-229). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ბელორუსიის უს თავმჯდომარის გ. ტრაზევიჩის თავმჯდომარეობით). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი (იურისტ თამაზ შავგულიძის თავმჯდომარეობით) და სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობისა (ასევე იურისტ ანატოლი სობჩაკის თავმჯდომარეობით). აღსანიშნავია ისიც, რომ მეორე კომისიაში 37 პირი შედიოდა და აქედან არც ერთი არ გახლდათ ისტორიკოსი! ხოლო მესამე კომისიის 24 წევრთაგან მხოლოდ სეგეი სტანკევიჩი (მოსკოველი) იყო ისტორიკოსი.

დასახელებული კომისიებიდან არც ერთი არ გამოირჩეოდა ობიექტურობით. ამ მხრივ ყველაზე მეტი შესცოდა ტრაზევიჩისეულმა კომისიამ. თამაზ შავგულიძისეულ კომისიაზე ცოტა მეტად ობიექტური იყო ანატოლი სობჩაკის კომისია, მაგრამ სასურველამდე ამ შემთხვევაშიც შორს იდგნენ. კერძოდ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის მთავარ სამიზნედ იქცა რესპუბლიკის იმჟამინდელი უმაღლესი ხელისუფალი ჯუმბერ პატიაშვილი. საოცარია, რომ აღნიშნული კომისიის წევრებმა, უპირველესად მისმა თავმჯდომარემ, ვერაფერი კრიტიკული ვერ შენიშნეს საქართველოს იმდროინდელი უმაღლესი ხელისუფლის გივი გუმბარიძის ქმედებაში (როცა რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი იყო). მოტივიც გასაგებია: არ მოისურვეს აღზევებული პირის განაწყენება. დიდად საეჭვო იყო აგრეთვე შსს იმჟამინდელი მინისტრის ქმედებაც, მაგრამ კომისია იმ შემთხვევაშიც აშკარად შეეცადა მისთვის ხელი დაეფარებინა. თამაზ შავგულიძისეულ მოხსენებაში ვკითხულობთ: „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს და მას დაქვემდებარებულ საქართველოს მილიციას ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადა და იგი თვით იქცა საჯარისო ნაწილების დამფარავ ობიექტად”.

ამ თვალსაზრისით უფრო კრიტიკული, და თანაც ობიექტური იყო ანატოლი სობჩაკის კომისია. მისმა წევრებმა აშკარად შენიშნეს გუმბარიძის უკეთესი ქმედება. ხოლო შოთა გორგოძის შესახებ კომისიის დასკვნის მესამე პუნქტში აღნიშნულია: „გარკვეულწილად ეკისრება ვადღებულება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გორგოძესაც, რომელიც განზე გაუდგა თავის უშუალო მოვალეობათა შესრულებას და რომლის მოქმედების შედეგადაც ვერ მოხერხდა სამხედრო მოსამსახურეებისა და მილიციის ძალების

მოქმედების ერთგვარი შესატყვისობა, რამაც უკვე გამოიწვია განსაზღვრული ტრაგიკული შედეგები იმ დღეს”.

საერთოდ, არაობიექტურობამ, ტენდენციურობამ ისე მკვეთრად იჩინა თავი რესპუბლიკის დონეზე, ე.ი. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ, მაშინ რაღა უნდა ითქვას საკავშირო დონეზე, შესაბამის უმაღლეს ხელისუფალთა მიმართ. ამ მხრივ თითქოს სოლიდურად გამოიყურებოდა ა. სობჩაკის კომისია, მისი წევრები შეეხნენ უმაღლეს ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. საქართველოში ამ შემთხვევაში მთელი დარტყმა გადაიტანეს ეგორ ლიგაჩოვზე.

თუმცა, ვინ იყო კონკრეტული დამნაშავე? შექმნილმა კომისიებმა ამ კითხვაზე პასუხი ვერ გასცეს.

ეს კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია.

1989 წლის 9 აპრილის დამეს თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს მოიხსენიებენ „თბილისის საქმის” სახელით.

„პერესტოიკის” წლებში ეს მასობრივი უწესრიგობის პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი როდი იყო. თბილისის მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე საშინელი დარბევა მოხდა აზერბაიჯანის სუმგაითში, რასაც ათობით უდანაშაულო ემსხვერპლა. თბილისის შემდეგ უწესრიგობამ მოიცვა ფერდანა (უზბეკეთი), სადაც მსხვერპლი კიდევ უფრო მეტი იყო. უპრეცედენტო იყო სისხლიანი შეტაკებები ოშში (ყირგიზეთი), ბოლოს კი დნესტრისპირეთში (მოლდოვა), სადაც მილიციამ სროლა აუტეხა მოსახლეობას, იყო მსხვერპლი...

მაგრამ არცერთ ამ ღრმადსამწუხარო მოვლენას, რომელთაც გაამწვავეს ვითარება ცალკეულ რაიონებში, არ ჰქონია ისეთი მძლავრი პოლიტიკური რეზონანსი, როგორიც „თბილისის საქმეს”. არცერთი მათგანი, გარდა თბილისის ისტორიისა, არ განხილულა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობებზე, არცერთი არ ყოფილა ამდენ კომისიათა გამოძიების საგანი.

9 აპრილმა გამოავლინა საბჭოთა იმპერიის დაშლის შეუქცევადი პროცესი. მიუხედავად წინა დროის (1956 წლის 9 მარტის) სისხლიანი გამოცდილებისა, ქართველი ხალხი თავის მომავალს დამოუკიდებლობაში ხედავდა და ამ შეგნებითა და ცნობიერებით შემართული არაფრისგან უკან დახევას არ აპირებდა.

9 აპრილის აქციის დარბევის შემდეგ დაიწყო აქციის ხელმძღვანელთა მიმართ რეპრესიები, მეორე დღესვე დააპატიმრეს ზ. გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მეშვიდე დღეს (9 აპრილიდან) დააპატიმრეს ირაკლი წერეთელი (მიქაუტაძე 2003: №095). მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ-ის 263 მუხლით. მისი დაპატიმრების შემდეგ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ყველაზე აქტიური წევრები განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, რომლის მიზანია დესტაბილიზაცია; მიმართავენ ცდებს, მოაწყონ თავყრილობები და მსვლელობები „პოლიტიკურ ტუსადთა“ განთავისუფლების მოთხოვნით.

ამრიგად, 1989 წლის 9 აპრილს, შუალამისას, რუსი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების მხეცურად და ვერაგულად დარბევამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა საბჭოთა იმპერიული მანქანის პირსისხლიანი სახე და მასთან ერთად გამოავლინა საქართველოს მთავრობის უუნარობაც საკუთარი სავარძლებისა და ცრუ იდეების ნაცვლად საკუთარი ხალხისათვის მიენიჭებინა უპირატესობა და მასთან ერთად მოექებნა გამოსავალი შექმნილი რთული ვითარებიდან. ხელისუფლებისა და მიტინგის ორგანიზატორთა (ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა) ხისტმა და გაუთლელმა, არაგეგმაზომიერმა ქმედებებმა გამოიწვია თბილისში 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები. ამასთანავე, 9 აპრილმა აჩვენა ქართველი ხალხის უადრესად მტკიცე ნებისყოფა, უდრეკი სული, მისი უკომპრომისობა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში და კიდევ ერთხელ დაადასტურა ერისათვის ამ უმაღლესი და მარადიული იდეებისა თუ იდეალების უკვდავება.

**§ 5. პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში და
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი დიდი გამარჯვება**

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შეიქმნა რამოდენიმე პოლიტიკური პარტია, ჩატარდა 26 მაისის ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ზეიმი, დაინიშნა უზენაეს საბჭოს ახალი არჩევნები.

საქართველოში სულ უფრო მეტ გავლენას იძენდნენ ულტრა-რადიკალები. ე. შევარდნაძის პირადი მითითებით ციხიდან გაათავისუფლეს ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია და სხვები **(ნათმეცადე 2004:351)**.

1989 წლის 13 ოქტომბერს სოფ. ბორითთან მომხდარ ავტოკატასტროფაში, რომლის მიზეზებიც დღემდე გაურკვეველია, დაიღუპა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ მიიღეს სხეულის უმძიმესი დაზიანება. მკურნალობის შემდეგ, რომელიც უტარდებოდა თბილისის ნევროლოგიურ ინსტიტუტში, ზურაბ ჭავჭავაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელა, მაგრამ დღითი დღე უმჯობესდებოდა, მდგომარეობა საბედისწეროდ გაართულა მოულოდნელად შეყრილმა ბოტკინის დაავადებამ. ძნელი სათქმელია, რა იყო ამის მიზეზი, საბჭოთა სისტემაში ყველგან გამეფებული დანაშაულებრივი დაუდევრობა თუ სხვა რამ...

ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1989 წლის 21 დეკემბერს. ავტოკატასტროფიდან 69-ე დღეს.... **(აბუანდაძე 1993: 4-5)**.

ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების გაარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. მერაბ კოსტავა, რომელიც დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა, ყოველთვის შემარიგებელ პოზიციაზე იდგა ურთიერთდაპირისპირებულ ეროვნულ ძალებს შორის. მისი დაღუპვის შემდეგ განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში კიდევ უფრო დაჩქარდა, გაღრმავდა და მოგვიანებით სავალალო შედეგებიც გამოიღო.

1990 წლის 13-15 მარტს თბილისში შედგა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო კონფერენცია, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების საპირისპიროდ და ახალი არჩევნების მოსაწყობად შექმნა ეროვნული ფორუმი, რომელიც 1990 წლის 24 აპრილს გაითიშა. დანარჩენებთან იდეურ-პოლიტიკური და ტაქტიკური უთანხმოების გამო ფორუმის რიგები დატოვეს „ჰელსინკის კავშირმა“, „წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ“, „მონარქისტულმა პარტიამ“

და „მერაბ კოსტავას პარტიამ“, რომლებმაც იმავე წლის 7 მაისს ახალი პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა“ დააფუძნეს.

„მრგვალი მაგიდა“ გაემიჯნა ფორუმის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზად დასახულ „საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის“ იდეას, იგი არარეალისტურად მიიჩნია და საზოგადოებას საყოველთაო არჩევნები შესთავაზა. არჩევნების თარიღად დადგინდა 1990 წლის 28 ოქტომბერი.

მომავალი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა რაოდენობა 250 კაცით განისაზღვრა. მათგან 125 პროპორციული და 125 მაჟორიტარული სისტემით უნდა არჩეულიყო. სადეპუტატო მანდატების მოსაპოვებლად საჭირო იყო 4%-იანი ბარიერის გადალახვა.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამ არჩევნებსაც ბოიკოტი გამოუცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალპარტიულობის პირობებში ტარდებოდა. მათ ჯერ ეროვნული ყრილობა მოიწვიეს, შემდეგ კი არჩევნების გზით ეროვნული კონგრესი შექმნეს.

ამას უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანია არ შეუწელებია. არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციები თავიდან ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთ მხარეს კომპარტია იყო, ხოლო მეორე მხარეს - ყველა დანარჩენი. უშუალოდ არჩევნების წინ ძალთა ეს განლაგება დაირღვა. კომუნისტებისადმი დაპირისპირებულმა ბანაკმა ერთიან ბლოკად გამოსვლა ვერ შეძლო. საბოლოოდ ჩამოყალიბდა 6 საარჩევნო ბლოკი და 8 დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართველოს სახალხო პარტია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს სახალხო ფრონტი და სხვ.).

რეგისტრაცია გაიარა პროპორციული გზით ასარჩევმა 2400-მდე და მაჟორიტარული სისტემის 1000-მდე დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

28 ოქტომბრის არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებელთა სოლიდური კორპუსი დაესწრო. მათ მსოფლიოს გასაგონად განაცხადეს, რომ არჩევნებმა საქართველოში ობიექტურად ჩაიარა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 70%-მა. ხმების უმრავლესობა, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მოიპოვა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა. მათ 114 დეპუტატი გაიყვანეს, მეორე ადგილზე გასულმა კომპარტიამ მიიღო 61 მანდატი.

დანარჩენი ადგილები სხვა პარტიებს ერგოთ. ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ მოვიდა.

„ზ. გამსახურდიას შეფასებით: „საქართველოში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა 1990 წ. 28 ოქტომბერს, იგი იქცა უსისხლო რევოლუციად, რომელშიც კომუნისტები იძულებულნი შეიქმნენ ხელი აეღოთ ძალაუფლებებზე ბლოკ „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ და ჩემი, როგორც მისი მეთაურის სასარგებლოდ. ამის შემდეგ კომუნისტებმა მოსკოვსა და თბილისში და მთელმა მათთან დაკავშირებულმა მაფიამ დაიწყეს რევანშის მზადება“ (სალუაშვილი 1995: 3).

28 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანი გზით შეიცვალა. ძალაუფლება კანონიერად, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებში წარმატების შედეგად ხელში აიღო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულმა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა.

1990 წლის 14 ნოემბერს შედგა საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა. სესია დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ფარული კენჭისყრით ერთხმად აირჩიეს „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი ზვიად გამსახურდია. დამტკიცდა ახალი მთავრობა თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეეცვალა სახელწოდება - ქვეყანას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“. აღდგენილ იქნა სახელმწიფო სიმბოლიკაც - საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921წ.წ.) გერბი, დროშა და ჰიმნი.

საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება დაემხო. საქართველოს რესპუბლიკაში გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა განსაზღვრული არ ყოფილა. ახლად არჩეულ ხელისუფლებას საქართველოს სუვერენული არსებობის პოლიტიკურ-სამართლებრივი, ასევე სათანადო ეკონომიკური საფუძვლები უნდა შეემზადებინა.

**§ 6. 1991 წლის 26 მაისი. საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენა**

1990 წლის გაზაფხულიდან საბჭოთა კავშირი დეზინტეგრაციის გზას დაადგა. ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმა, მათ შორის რუსეთის ფედერაციამაც დამოუკიდებლობის დეკლარაციები გამოაცხადეს. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნა უკანონოდ იქნა აღიარებული თვით კომუნისტური მმართველობის მიერ. უზენაესი საბჭოს სესიამ დაგმო 1921 წლის 25 თებერვლის გასაბჭოების აქტი, როგორც ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენცია და ოკუპაცია. ბათილად გამოცხადდა 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულება „ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკების კავშირის შესახებ“. ასევე უკანონოდ იქნა ცნობილი 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც ქართველი ხალხის ნების გამომხატველი ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, უფრო მიზანმიმართულად შეუდგა საქართველოს ეროვნული მისწრაფების - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. პოლიტიკური პრობლემების გარდა, თავი იჩინა ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული, ეთნიკური თუ სხვა ხასიათის სირთულეებმა, რომლებიც მოსკოვთან დაპირისპირების პარალელურად კიდევ უფრო მწვავედებოდა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრიორიტეტულ ამოცანებს საბჭოთა ინსტიტუტების გაუქმება და სანაცვლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, დემოკრატიული სტრუქტურების ფორმირება წარმოადგენდა. შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, დაიწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა, წვრილი საწარმოებისა და ობიექტების პრივატიზაცია, ჩაისახა თავისუფალი მეწარმეობა, გაჩნდა კერძო ბანკები, მომრავლდა დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები, გამოიკვეთა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირველი ნიშნები. უზენაესმა საბჭომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეაჩერა საბჭოთა კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც

ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს. შეიქმნა შინაგარი ჯარი – ეროვნული გვარდია. 1991 წლის მარტში ჩატარდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები და სხვა.

მოგვიანებით დაწერილ თავის შეფასებაში ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ: „იმ დღიდან, რაც არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“, არ შეწყვეტილა მცდელობა დესტრუქციული ძალებისა ჩენი ხელისუფლების დამხობისაკენ მამრთული, რაც მათ ვერ განახორციელეს, ვინაიდან „მრგვალ მაგიდაშიც“ ვინარჩუნებიდით ერთიანობას და მტერი, მიუხედავად ათასგვარი ხრიკებისა, ვერ ახერხებდა ჩვენს დეზორგანიზებას და დამარცხებას.

პირველი ბზარი ჩვენს ერთიანობაში მაინც გაჩნდა, როდესაც თავი იჩინა დალატმა, როდესაც ყოფილ პარტოკრატებთან და მაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ფსევდოოპოზიციამ შესძლო თანდათან გადაბირება „მრგვალი მაგიდის“ ჯერ ცალკეული წევრებისა, ხოლო შემდეგ – მთელი პარტიებისა და ორგანიზაციებისა. ამასთან, ძირითადი იერიში მოჰქონდათ ჩემზე, როგორც „დიქტატორზე“. „დემოკრატიის მტერზე“, რომელმაც, თურმე, საქართველოში, დაამყარა ტოტალიტარული რეჟიმი. მოსკოვს გადახვეწილი საქართველოს მოღალატე პარტოკრატები, შევარდნაძის მეთაურობით, იმპერიულ ძალებთან ალიანსში, კარგად ახერხებდნენ დასავლეთის დეზორიენტირებას, რის შედეგადაც არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ დასავლეთშიც, უპრეცედენტო დეზინფორმაციის კამპანია გააჩაღეს ჩემს წინააღმდეგ.

მე არ მსურს იმის მტკიცება, თითქოს მე შეუმცდარი ვიყავი ჩემს ყოველ ქმედებაში, ან არ მიმიძღვის არავითარი ბრალი, თუნდაც იმიტომ, რომ დროზე არ მივიღე მკაცრი ზომები ერის მტრებისა და მოღალატეების ასალაგმავად. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის უდიდესი სირთულეები, რასაც წავაწყდი კომუნისტების 70-წლიანი მმართველობით გაპარტახებული ქვეყნის მართვისას. მე ვერ ვიპოვე თანამდგომი და მხარდამჭერი ჩემს ბრძოლაში. ამასთან ე. წ. ოპოზიცია და მისი მოკავშირე პარტოკრატია ოსტატურად მოქმედებდნენ, რათა ჩვენთვის არ მოეცათ მუშაობის საშუალება, ესარგებლათ ჩემი უნებლიე შეცდომებით და თავიანთი საბოტაჟისა და დესტრუქციული ქმედებების შედეგები ჩემთვის გადმოებრალებინათ” (სალუაშვილი 1996: 3-5).

იმპერიის შესანარჩუნებლად კრემლში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიმუშავეს. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად – ახალ, ნებაყოფლობით, დემოკრატიულ ფედერაციულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხელშეკრულების ხელისმოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მას ზოგიერთმა სხვა რესპუბლიკამაც დაუჭირა მხარი. შექმნილ ვითარებაში საკავშირო სახელმწიფოს გადარჩენის ბოლო საშუალებათ მიჩნეეს პლებისციტი, რომლის ჩატარება 1991 წლის 17 მარტისათვის დაინიშნა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალა საკავშირო პლებისციტი და მის საპირისპიროდ ეროვნული რეფერენდუმის ჩატარების დადგენილება მიიღო (**ჯანელიძე 2009: 204-205**).

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყო მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა. მის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3 მილიონ სამასი ათასზე მეტმა ამომრჩეველმა. გამოკითხულთა 98%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, მათ შორის რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამაც.

რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1991 წლის 14 აპრილს უზენაესი საბჭოს სესიამ საქართველოს პირველ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ასათიანი. იმავე სესიის დადგენილებით 26 მაისისათვის დაინიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები. დამაჯერებლად გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია. მას ხმა მისცა ელექტორატის 87%-მა. საქართველოს სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

დასკვნა

ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და XX საუკუნის II ნახევარში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმატებით დაგვირგვინდა. ეს იყო უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი რომელშიც ჩართული იყო ქართული საზოგადოების ყველა ფენა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები, რომელთა დამსახურებაც, როგორც ამ მოძრაობის წარმმართველი და სულისჩამდგმელი ძალისა უაღრესად მნიშვნელოვანია, ასევე ინტელიგენცია, მართლმადიდებელი ეკლესია და საზოგადოების დიდი ნაწილი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებამდე (1991 წლის 9 აპრილი) საქართველომ ბრძოლისა და თავდადების გარკვეული ეტაპები გაიარა, რომელიც სათავეს ანექსიისა და გასაბჭოების (1921 წლის 25 თებერვალი) პირველივე დღეებიდან იღებს. XX საუკუნის II ნახევარში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში 1921–1923 წლებში განვითარებული საპროტესტო ღონისძიებები, შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები სტიქიურ და ეპიზოდურ ხასიათს ატარებდნენ, რის გამოც საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებაში ვერ გადაიზარდა.

ასევე უშედეგოდ დასრულდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებით ძირითადად დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება მთლიანად განპირობებული იყო ეროვნული მოტივით. აჯანყება ქართველი ერის პასუხი იყო უცხო ძალის მიერ საქართველოს დაპყრობაზე და მიზნად ისახავდა წართმეული თავისუფლების დაბრუნებას, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და განახლებას.

2. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ქვეყანაში (სსრკ-ში) შექმნა იმგვარი ფსიქოლოგიური კლიმატი, რომ სხვათა უსაფუძვლო დასმენა, ცილისწამება და მისთანანი, დასაძრახ მოვლენად კი აღარ აღიქმებოდა, არამედ „სოციალიზმის სადარაჯოზე“ დგომად და მოსაწონ და საპატიო საქმედ მიიჩნეოდა.

პოლიტიკური რეპრესიების უამს საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაკარგა ადამიანური სახე, ჩაეფლო უზნეობისა და მორალური დეგრადაციის ტყვეობაში. ერთმანეთს აბეზღებდნენ ანგარების, შურის, ქონების დაუფლების სურვილითა თუ სხვა მანკიერი საბაბით. უსამართლოდ განიკითხავდნენ და ზურგს აქცევდნენ შერისხულთა ოჯახებს, გაურბოდნენ მათთან ყოველგვარ კავშირს. მსხვერპლის გამოსარჩლება უაზრო თავგანწირვას ნიშნავდა.

საბედნიეროდ, მრავალმა, იმ გაუსაძლისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის პირობებშიც შეინარჩუნა ღირსება და გამოავლინა ჰუმანიზმი რეპრესირებულთა მიმართ.

მასობრივმა რეპრესიებმა მთლიანად გაანადგურა ანტისტალინური ოპოზიციის ყველა ძირითადი მიმართულება, ყველა შესაძლო პოლიტიკური ოპონენტი, განამტკიცა ი.ბ. სტალინის დიქტატურა.

3. XX საუკუნის მეორე ნახევრი დაიწყო საქართველოს დედაქალაქში მომხდარი უდიდესი ტარგედიით. ქართველი ახალგაზრდების 1956 წლის 9 მარტის გამოსვლა იყო ანტისამთავრობო პროტესტი ეროვნული შეფერხილობით. ცენტრმა 1956 წლის 9 მარტის ტარგედია თბილისში შეაფასა, როგორც ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ხასიათის გამოსვლა.

9 მარტის გამოსვლამ თბილისში სტიმული მისცა ტოტალიტარიზმის დაგმობას, ისტორიულ ღირებულებათა გადასინჯვას, ქართველი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებას.

აღმოცენდა რადიკალური ეროვნული მოძრაობაც. რომლის მიმდევრებიც რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც თვლიდნენ, რომ შეუპოვარი ბრძოლით დაასუსტებდნენ რუსეთის იმპერიას, შემდეგ კი მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მხარდაჭერით, ჩაგრულ ხალხებთან კავშირში, შეძლებდნენ მხაგვრელის უღლისაგან თავის დაღწევას. ეს გზა მეტად სარისკო და ამბიციური იყო. ბუნებრივად მიმდინარე პროცესების რამდენადმე დაჩქარების მოტივით, იგი საფრთხეში აგდებდა ათასობით პატრიოტის სიცოცხლეს. მაგრამ მისი მიმდევრები ხშირად, უკომპრომისო, თავგანწირული მოქმედებით, მასების სიმპატიას იხვეჭდნენ და წამებულის გვირგვინებითაც იმოსებოდნენ. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ რადიკალური მიმართულების მომხრეები არავითარ სხვა გზას, ალიანსს, ინტეგრაციას არ სცნობდნენ. არა თუ რაიმე თანამშრომლობაზე არ თანხმდებოდნენ, არამედ განსხვავებული

აზრის მქონეთ დაუნდობლად ნათლავდნენ ეროვნული მოძრაობის მტრებად, კრემლის აგენტებად და ა.შ.

4. ქართველი ახალგაზრდობის ერთსულოვანმა გამოსვლამ მშობლიური ენის დასაცავად 1978 წლის აპრილში კიდევ ერთხელ აჩვენა საბჭოთა იმპერიას ქართველი ხალხის შეუპოვრობა ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის საქმეში და გამარჯვებამც არ დააყოვნა. 1978 წელს საქართველო გახდა პირველი და ერთადერთი რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუციაშიც ჩაიწერა ნორმა ეროვნული სახელმწიფო ენის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გაიმეორეს ანალოგიური ნორმები სომხეთის, აზერბაიჯანის და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებმა.

ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილის მიერ თავისი დამსახურების, ავტორიტეტის, დიდი ძალისხმევისა და რისკების, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რიგ შემთხვევებში თავგანწირვის ფასადაც კი ძირითადად მოხერხდა 70-80-იან წლებში საქართველოს მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერების გაღვივება, განვითარება და განმტკიცება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დამთავრებაში.

5. ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის პარალელურად, მარქსისტული იდეოლოგიის მიერ ათეიზმის ქადაგების პირობებში მოსახლეობაში სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ქართული ეკლესიის, ერის სულიერი წინამძღოლის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის როლისა და ავტორიტეტის ზრდა. ფართო იდეოლოგიური პროპაგანდის თუ პარტიულ-კომკავშირული სტრუქტურების მხრიდან აკრძალვების მიუხედავად, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკლესიას მიაწედა. მრავალი სტუდენტი და მოსწავლე სტიქაროსანი გახდა და ადამიანთა ცხოვრებაში სარწმუნოება თავის კუთონილ ადგილს იკავებდა.

საქართველოს ეკლესიის მესვეურნი ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას, ეკლესია პოლიტიკაში არ ერევაო, მაგრამ უაღრესად პოლიტიზირებული მრევლი აიძულებდა მათ, არაიშვიათად ზომაზე მეტად ჩარეულიყვნენ პოლიტიკაში. იმ რთულ ვითარებაში ვერ განხორციელდა უმაღლესი საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლების არა თუ ერთიანობის, არამედ ურთიერთნდობის პრინციპიც კი. მართლმადიდებლობის დამცველი მღვდელმთავარნი პატრიარქის

მეთაურობით ებრძოდნენ უზნეობას, ცდილობდნენ დაპირისპირებულ ძალთა შერიგებას, რაც ხშირ შემთხვევებში ამაო იყო.

6. 1989 წლის 9 აპრილს, შუაღამისას, რუსი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების მხეცურად და ვერაგულად დარბევამ კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენა საბჭოთა იმპერიული მანქანის პირსისხლიანი სახე და მასთან ერთად გამოავლინა საქართველოს მთავრობის უუნარობაც საკუთარი სავარძლებისა და ცრუ იდეების ნაცვლად საკუთარი ხალხისათვის მიენიჭებინა უპირატესობა და მასთან ერთად მოექებნა გამოსავალი შექმნილი რთული ვითარებიდან. ხელისუფლებისა და მიტინგის ორგანიზატორთა (ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა) ხისტმა და გაუთლელმა, არაგეგმაზომიერმა ქმედებებმა გამოიწვია თბილისში 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები. ამასთანავე, 9 აპრილმა აჩვენა ქართველი ხალხის უადრესად მტკიცე ნებისყოფა, უდრეკი სული, მისი უკომპრომისობა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში და კიდევ ერთხელ დაადასტურა ერისათვის ამ უმაღლესი და მარადიული იდეებისა თუ იდეალების უკვდავება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საარქივო მასალა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო (ა.ა.რ.მ.ს.დ.ს.ს.), პარტიული ფონდი 18^ა, აღწ. 1, საქ. 51, ფურ. 40.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (ს.უ.ი.ც.ა.), ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე № 279, გვ. 1.
3. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1. საქ. 386, გვ. 7.
4. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1. საქ. 386, გვ. 7¹.
5. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1. საქ. 386, გვ. 14.
6. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1. საქ. 279, გვ. 9.
7. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 1880, აღ. 1. საქ. 279, გვ. 4-8.
8. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 4.
9. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 5.
10. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 6.
11. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 8.
12. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 9.
13. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 10.
14. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 11.
15. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 12.
16. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 13.
17. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 14.
18. ს.უ.ი.ც.ა. ფ.1880, აღ.1. საქ. 520, გვ. 15.
19. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 600, აღ. 18, საქ. 95, გვ. 81.
20. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 600, აღ. 18, საქ. 95, გვ. 82.
21. ს.უ.ი.ც.ა., ფ. 600, აღ. 18, საქ. 95, გვ. 83.
22. ქუთაისის ცენტრალური არქივი (ქ.ც.ა.), ფ. 186, აღწ. 1, საქ. 210, ფურც. 22-26

2. ლიტერატურა:

1. აბუანდაძე 1993: „ღმერთო მამული უცოცხლე“, გამომცემლობა „მერწყული“, თბილისი.
2. ანანიაშვილი 2009: გულაბერ ანანიაშვილი „საქართველო და რუსეთი ორის გოდუნოვიდან ბორის ელცინამდე და ვ. პუტინამდე“, თბილისი.
3. ბენიძე 1991: ბენიძე ვალერი, „1924 წლის აჯანყება საქართველოში“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი.
4. ბენდიანიშვილი 1999: ბენდიანიშვილი ალექსანდრე, „საქართველოს ისტორია“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
5. ბერულავა 2011: ბერულავა ლაშა, 956 წლის 9 მარტი - „მაოხრებელი გზირის“ კიდევ ერთი სისხლის კალო“. (ონ-ლაინ სტატია) (განთავსებულია 9 მარტიდან, 2011); მის.: <http://www.presa.ge>.
6. ბიბილეიშვილი 2011: ბიბილეიშვილი იური, „საქართველოსათვის“, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
7. ბლუაშვილი 2010: უჩა ბლუაშვილი, „ქართულ ისტორიოგრაფიაში ამკვიდრებული ზოგიერთი სტერეოტიპის შესახებ“, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ჟურნალი „ანალები“ №6, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
8. ბლუაშვილი 1994: ბლუაშვილი უჩა, „პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988 –1991 წწ“, გამომცემლობა „ხატინი“, თბილისი.
9. ბუაჩიძე 1998: ბუაჩიძე თენგიზ, „1956 წლის მარტის ტრაგედია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8 აპრილი, № 15, თბილისი.
10. გამსახურდია 1990: გამსახურდია ზვიად, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“ გაზ. „საქართველო“, 9 აპრილი, №7, თბილისი.
11. გამსახურდია 1999: გამსახურდია ზვიად, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, ჟურნალი „მიჯნა“, №12, თბილისი.

12. **გამყრელიძე 1998:** გამყრელიძე ოთარ, „ისევ თვითმფრინავის გატაცების საქმის გამო“, გაზ. „ახალი საქართველო“, 14-20 მაისი, №12, თბილისი.
13. **გაფრინდაშვილი 1997:** გაფრინდაშვილი მიხეილ, „საქართველოს უახლესი ისტორია“, თბილისი.
14. **გოცირიძე 1990:** გოცირიძე ირაკლი „სიმაღლის კვალდაკვალ“, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი.
15. **გოგუაძე 2007:** გოგუაძე ვახტანგ, „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“, გამომცემლობა „საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირი“, თბილისი.
16. **გვენეტაძე 2011:** გვენეტაძე ედიშერ, „საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
17. **გვასალია 1990:** გვასალია ჯონდო, „სისხლიანი 1956“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 მარტი, №10, თბილისი.
18. **გვერდწითელი 1990:** „მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს“, 9 აპრილი, თბილისი.
19. **ეცადაშვილი 1989:** ეცადაშვილი ილია, „იმ ავადსახსენებელ 56 წელს“ გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 18 მაისი, №114, თბილისი.
20. **ვეფხვაძე 2001:** ვეფხვაძე გივი, „9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ“, გამომცემლობა „მარჯი“, თბილისი.
21. **თუმანიშვილი 2008:** თუმანიშვილი დიმიტრი, „ქართული ქრისტიანული ხელოვნება“, გამომცემლობა შპს „სეზანი“, თბილისი.
22. **იმნაძე 1989:** იმნაძე ავთანდილ, „ეროვნული მოძრაობა ფართო სპექტრით“ გაზ. „სახალხო ფრონტი“, 21 ივნისი, №1, თბილისი.
23. **კვესელავა 1999ა:** კვესელავა იგორ, „საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი.
24. **კვესელავა 1999 ბ:** კვესელავა იგორ, „დისიდენტური მოძრაობა საქართველოში“ გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი.
25. **კვესელავა 1999გ:** კვესელავა იგორ, „გარდაქმნა ("პერესტროიკა") და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი.

26. **კვესელავა 2007:** კვესელავა იგორ, „1989 წლის ტრაგედია კრემლის მიერ იყო დაგეგმილი“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, აპრილი, №61, თბილისი.
27. **კვინიკაძე 2001:** კვინიკაძე ნესტან, „ამარგი“, გამომცემლობა „საარი“, თბილისი.
28. **კუპრაშვილი 1999:** კუპრაშვილი ჰენრი, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გნოსეროლოგიური ასპექტები“, გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი.
29. **ლიგაჩოვი 2002:** ლიგაჩოვი ეგორ, „თბილისის საქმე“, გამომცემლობა „რესპუბლიკა“, თბილისი.
30. **მაჭავარიანი 2007:** მაჭავარიანი ზაურ, „51 წლის წინათ, 9 მარტს, თბილისის სანაპიროზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 მარტი, №9, თბილისი.
31. **მიქაუტაძე 2003:** მიქაუტაძე ზაირა, „9 აპრილის სისხლიანი დილა“, გაზ. „რეზონანსი“, 9 აპრილი, №095, თბილისი.
32. **მჭედლიძე 1999:** მჭედლიძე გიორგი, „ისტორია უდისტანციოდ“, გამომცემლობა „სტამბა“, ქუთაისი.
33. **მჭედლური 1995:** მჭედლური დავით, „თავისუფლების სახელით“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
34. **ნათაძე 1989:** ნათაძე ნოდარ, „9 მარტი, 1956“ გაზ. „სახალხო განათლება“, 14 ივნისი, №28, თბილისი.
35. **ნათაძე 1991:** ნათაძე ნოდარ, „სისხლიანი პარასკევი“, გამომცემლობა ფირმა „ორნატი“, თბილისი.
36. **ნათმელაძე 2004:** ნათმელაძე მაყვალა, დაუშვილი ალექსანდრე, „საქართველოს უახლესი ისტორია“, გამომცემლობა „მემატიანი“, თბილისი.
37. **ნოზაძე 1992:** ნოზაძე შოთა, „1956 წლის ტრაგიკული 9 მარტი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
38. **ოქროპირიძე 2010:** ოქროპირიძე უჩა, „ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სასამართლო პროცესის ისტორიისათვის“, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები IX, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

39. რაფი 1990: რაფი სერჟ, „თბილისი – ბარიკადებისგან განთავისუფლების ჟამი“, გაზ. „საქართველო“, 29 ივლისი, №14, თბილისი.
40. საარქივო 2010: ჟურნალი „საარქივო მოამბე“ 2010 წ. №9, თბილისი.
41. საქართველო 1997: „ტრაგიკული 9 მარტი“, გაზ. საქართველო, 10-13 მარტი, №5.
42. საქართველოს რესპუბლიკა 2006: „წითელი იმპერიის პირველი შეტორტმანება“, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 8 მარტი, №48, თბილისი.
43. საქართველოს რესპუბლიკა 2006: „წითელი იმპერიის პირველი შეტორტმანება“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მარტი, №48, თბილისი.
44. სახალხო განათლება 1989: „ქართული ეროვნული ცნობიერება“, გაზ. „სახალხო განათლება“, 21 ივნისი, №29, თბილისი.
45. სალუაშვილი 1995: სალუაშვილი მიხეილ, „ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე“, გამომცემლობა „ხმა ერისა“, თბილისი.
46. სალუაშვილი 1996: სალუაშვილი მიხეილ, „მრგვალი მაგიდის ისტორია“, თბილისი.
47. სამსონაძე 2001: სამსონაძე მიხეილ, „საქართველო 1921–1991 წლებში“, გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი.
48. სობჩაკი 2000: სობჩაკი ანატოლი, „თბილისის ჟამტეხილი ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა“, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი.
49. სონღულაშვილი 1999: სონღულაშვილი ავთანდილ, „9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
50. სონღულაშვილი 2010: სონღულაშვილი ავთანდილ, „ისტორიული ნარკვევები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
51. სურგულაძე 1990: სურგულაძე აკაკი, სურგულაძე პაატა, „საქართველოს ისტორია“, თბილისი.
52. ურუშაძე 2005: ურუშაძე ოთარ, „ჩემი თაობის რევოლუცია“ გაზ.

- „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მარტი, №54, თბილისი.
53. **ქინქლაძე 1990:** ქინქლაძე ოთარ, „მწუხრისა და განკითხვის უამი“, გამომცემლობა საქართველოს კპ ცკ-ი, თბილისი.
54. **ქირია 2003:** ქირია შალვა, „9 მარტის სისხლიანი კვირა“ გაზ. „რეზონანსი“, 10 მარტი, №065, თბილისი.
55. **ყორანაშვილი 2001:** ყორანაშვილი გურამ, „9 აპრილი მითი და სინამდვილე“, გამომცემლობა „ახალი საქართველო“, თბილისი.
56. **შამუგია 2002:** შამუგია მედეა, „მასალები XX საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის (1988 წელი)“, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის ჟურნალი „ამირანი“, VI, თბილისი.
57. **შევარდნაძე 2006:** შევარდნაძე ედუარდ, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი.
58. **შუკაკიძე 2006:** შუკაკიძე მაკა, „თვითმფრინავი, რომელიც ცაში დარჩა“, გაზ. „ახალი ვერსია“, 9-15 იანვარი, №2, თბილისი.
59. **ცომაია 2003:** ცომაია ალექსანდრე, „საქართველო 1956 წლის მარტი“, გაზ. „ახალი 7 დღე“, 10-16 ოქტომბერი, თბილისი.
60. **ძაბირაძე 2007:** ძაბირაძე ვახტანგ, „ეროვნული მოძრაობის შუქჩრდილები“, გამომცემლობა შპს „თბილისელები“, თბილისი.
61. **ჭანტურია 1990:** ჭანტურია გიორგი, „ეროვნული მოძრაობის კონცეპციის საკითხები“ გაზ. „სახალხო განათლება“, 12 აპრილი, №29, თბილისი.
62. **ჭანტურიშვილი 1998:** ჭანტურიშვილი თ., „რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობიდან“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 მარტი, №71, თბილისი.
63. **ჯანელიძე 2009:** ჯანელიძე ოთარ, „საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
64. **ჯანელიძე 2009:** ჯანელიძე თამაზ, „რაც მოგონებად აიკინძა“ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, № 42, თბილისი.
65. **ჯახუა 2007:** ჯახუა გივი, „მღელვარე გულთა აფეთქება“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მარტი, №44, თბილისი.
66. **ჯოჯუა 2003:** ჯოჯუა დაზმირ, „საქართველოს ეროვნული მოძრაობის

პერიოდიზაციის საკითხისათვის XX საუკუნის II ნახევარში”, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ჟურნალი „საისტორიო ძიებანი”, №6, თბილისი.